

საბჭოთა საბჭოთა

ს.ს.ს.რ.
იუსტისსახარების
ფრანკული
ფრანკული

→ შინაგანი ←

№ 9
1 მაისი
1928

- ი. ვარძიელი.—პირველი მაისი.
 - თ. დოლიძე.—როგორ უნდა მუშაობდეს მაზრის პროკურორი.
 - მ. ხშირნოვისა.—განზრახული რეფორმა რ. ს. ფ. ს. რ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა.
 - გ. რცხილაძე.—გაუთვალისწინებელი ხელშეკრულებანი.
 - ზ. ნარიშკინი.—უმდაბლესი კვალიფიკაციის პირთათვის გასა მრჯელოს მიცემა, როცა ისინი დროებით ასრულებენ უმაღლესი კვალიფიკაციის მუშაკთა მოვალეობას.
 - ი. ფირცხალაიშვილი.—შრომის საქმეებზე გადაწყვეტილებათ განსაზღვრების წესის გაუქმების შესახებ.
 - კ. შიქელაძე.—კომლის და მის წევრთა უფლებების მოცულობის მოქმედების საფუძვლები.
 - ბ. ფურცხვანიძე.—საურავი საკანონმდებლო აქტებსა და სასამართლო ორგანოების პრაქტიკაში.
 - იუსტისსახარების მოწვეული თათბირი—სისხ. სამ. საპროც. კოდექსის ამარტივების შესახებ.
- რედაქციისგან.
- სასამართლო და ცხოვრება.
- რ. კალანდაძე.—დამც. კოლეგიის პრეზიდიუმის საყურადღებოდ.
 - ა. კალანდაძე.—„წვრილმანი“—მსხვილმანი.
- პრონიკა.
კანონმდებლობის მიმოხილვა.
ოფიციალური ნაწილი.

1928 წლის 1 იანვრიდან

გ ა მ ო დ ი ს ს. ს. ს. რ. იუსტიციის სასახლას კომისარიატის
ოჯახიერი ორგანო

„ს ა ბ ჭ ო ტ ა ს ა მ ა რ ტ ა ლ ი“

„საბჭოთა სამართალი“ ისახავს მიზნად გაუწიოს იდეური ხელმძღვანელობა იუსტიციის მუშაკებს და გააშუქოს სასამართლო-უფლებრივი საკითხები, როგორც თეორიული აგრეთვე პრაქტიკული ხასიათისა საბჭოთა კანონმდებლობის და ხელისუფლების პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიხედვით.

„საბჭოთა სამართალი“ დიდ ყურადღებას აქცევს სასამართლო მუშაობის პრაქტიკულ მხარეს და დაეხმარება სასამართლოს დარგში ყველა ომუშავეთ საანადო მასალას მაწოდებათ. ადამ საკითხების განმარტებით, სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვით, კოდექსების სხვა და სხვა მუხლების ახსნა-განმარტებით და კომენტარებით

„საბჭოთა სამართალი“ დიდ ყურადღებას მიაქცევს აგრეთვე სასამართლო დაწესებულებებში ბიუროკრატიზმთან ბრძოლას და დაუნდობლად ამხელს იუსტიციის მუშაკთა უარყოფით მხარეებს.

ჟურნალში დათმობილი აქვს ადგილი კენიჭანციაკულ, სამილიციო და სისხლის სამართლის სამკაბრო მილიციის მუშაობას.

გარდა თეორეტიული და პრაქტიკული ხასიათის წერილებისა ჟურნალში არის აგრეთვე
შემდეგი განყოფილებები:

საბჭოთა კანონმდებლობის მიმოხილვა, სასამართლოს ცხოვრება, ქრონიკა, ბიბლიოგრაფია, იურიდიული დახმარება (კითხვა-პასუხი), ოფიციალური ნაწილი (დადგენილებები, განმარტებები, ინსტრუქციები, ცირკულარები), ფოსტა, განცხადებები და სხვ.

ჟურნალში თანამშრომლებს შემდეგი ამსახვები:
(ანბანზე)

ალხოვი ა., ამალლობლი ს., ანდრონიკაშვილი ლ., ბააზოვი გ., გაბაშვილი დ., გალუსტიანი ა., დოლიძე თ. ვარდანიანი ს., ვარძიელი ი., ვაჩიშვილი ა., იუზბაშვილი გ., კაჭარავა ა., კოსტავა ა., კუსიკოვი ა., ლუნკევიჩი ვ., მახარაძე ფ., მესხიშვილი შ., მიქელაძე კ., ნანეიშვილი ვ., ნუცუბიძე შ., პავლიაშვილი ი., პლეტნიკოვი კ., როინაშვილი ი., რცხილაძე გ. სიჭინავა ი., ხურგულაძე ი., ტალახაძე ი., ტატიშვილი ე., ქავთარაძე პ., ქორქაშვილი მ., შავერდოვი ა., შურღია ლ., ჩხეიძე ს., ჯაფარიძე ს. და სხვ.

პასუხისმგებელი რედაქტორი: ი. შარკიძე

სარედაქციო კოლეგია: ა. კაჭარავა, თ. დოლიძე, პროფ. შ. ნუცუბიძე,
ი. როინაშვილი, ს. ჯაფარიძე, კ. მიქელაძე, პ. ქავთარაძე

ხელის მოწერის ფასი: წლიურად—10 მან., 6 თვით—5 მ. 50 კაპ., 3 თვით—3 მ.
ფასი თითო ნომრისა—50 კაპ.

სამ თვეზე ნაკლები ხელაგორება არ მიიღება.


რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, ტრიბუნალის ქ. № 32 ტელეფონი № 13—68.



34051

ს. ს. ს. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შერტდით!

საპარკი



ტელ. № 13-68

სალიკოვარის ფასი:

წლიურად — 10 მან.
6 თვით — 5 მ. 50 კ.
3 თვით — 3 მ.
1 ნომერი 50 კ.

№ 9

1 მაისი 1928 წ.

№ 9

პ ი რ ვ ე ლ ი მ ა ი ს ი

1889 წ. პარიზში მუშათა ინტერნაციონალურ კონგრესზე მიღებული იყო დადგენილება ინტერნაციონალურ მანიფესტაციის და 1889 წლის 1 მაისის საერთაშორისო მუშათა კლასის დღე გამოცხადების შესახებ. ამ დადგენილების ძლიერ განსაზღვრულ დროს უნდა მოეწყოს ხოლმე ინტერნაციონალური მანიფესტაცია, იმ მიზნით, რომ ყველა ქვეყნის მუშებმა ერთ და იმავე დღეს შეერთებული გამოსვლით წარუდგინონ ხოლმე ბურჟუაზიულ მთავრობებს მოთხოვნილება რვა საათის სამუშაო დღის დაწესების, ხელფასის გადიდების და საერთოდ თავისი ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. შესრულდა 38 წელი, რაც საერთაშორისო პროლეტარიატი წლიდან წელზე უქმობს პირველ მაისს და ეს დღე წითელი ასობით ჩაეწერა მუშათა მოძრაობის ისტორიაში, როგორც მსოფლიო მუშათა კლასის ინტერნაციონალური დღესასწაული. 1 მაისს მსოფლიო პროლეტარიატი ამჟღავნებს კაპიტალიზმის წინაშე თავის კლასიურ ინტერესთა ერთიანობას და ამტკიცებს ყველა ქვეყნების პროლეტარიატის პოლიტიკურ და სოციალურ მისწრაფებათა სოლიდარობას. პირველ მაისს მსოფლიოს პროლეტარიატი ირანხმება უფრო მედგარ ახალ ბრძოლისათვის თავის კლასიურ მტრების წინააღმდეგ და ამიტომ პირველი მაისი არის გამოცდის დღე მუშათა კლასისა. ბურჟუაზია, კაპიტალისტები, იმპერიალისტები ზიზით შეხედებიან ხოლმე პირველ მაისს, რადგან იციან, რომ თითოეული ასეთი მუშათა დემონსტრაცია, უფრო უღრმავებს მათ იმ ისტორიულ სამარეს, რომელსაც უკვე უახლოვდება კაპიტალიზმი. პირველი მაისი, საერთაშორისო რევოლუციის წინსვლის აღსანიშნავი დღეა. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ დღეს იმპერიალიზმი მუშათა სოლიდარობას უპირდაპირებს თავის ტლანქ ძალას და გაერთიანებული ფრონტით იერიში მიაქვს მუშათა კლასზე. ინგლისში ის ებრძვის პროფესიონ. კავშირ. ყველგან ის ატარებს ხელფ. დაწესების მტკიცე პოლიტიკას და სამუშაო დღის გადიდებას, ციხეები იყვება რევოლუციონერი მუშებით, კაპიტალიზმის ტლანქი ძალები ყოველგვარი პროვოკაციის საშუალებით სისხლის მორევში ახრჩობენ ასობით და ათასობით თავისუფლებისათვის მებრძოლ რევოლუციონერ მუშებს და გლეხებს. მსოფლიო ფაშისმის შავი ძალები ყოველ გვარ ხრიკებს მიმართვენ, რომ ჩააბან თმში სიბჭოთა რესპუბლიკების კავშირი. მაგრამ მსოფლიო რევოლუციონური პროლეტარიატი, ჩინეთის მებრძოლი მუშები, კოლონიალურ ქვეყნების ჩაგრული ერები და ჩვენი საბჭოთა კავშირის მშრომელი ხალხი არ შეუშინდა, არც შეუშინდება და არც წამოეგება იმპერიალისტების პროვოკაციის ანკესხ. 1 მაისს მუშათა კლასი ერთხელ კიდევ პასუხს გასცემს ბურჟუაზიას თავის მებრძოლ რიგების მაქსიმალურად განმტკიცებით, თავისი კლასიურ ინტერესების უაღრესად შეზავებით, სოციალ პატრიოტებისმოლალატურ პოლიტიკის გამო-

აშკარაებით და მომავალი ისტორიულ ბრძოლისათვის უფრო შეგნებულად და გამოცდილად თავის რაგების დარაზმით. იმპერიალიზმთან ბრძოლაში ჩვენი საბჭოთა კავშირი არ არის განცალკევებული. ჩვენთან ერთად ლენინიზმის დროშის ქვეშ დღეს თავს იყრის აღმოსავლეთ და დასავლეთ ქვეყნების ახალ ახალი რიგები.

ჩვენი კავშირის მშრომელი ხალხი, მისი რევოლუციური მთავრობა მტკიცედ ადგია ზავის პოლიტიკას, მას არ სურს თმ არავისთან, რადგან იმპერიალისტურ ომის შემდეგ მხოლოდ მშვიდობიანობის პირობებში შესაძლებელია ჩვენი მეურნეობის აღდგენა, განვითარება და სოციალისტური მშენებლობა.

1 მაისს საბჭოთა კავშირში, საბჭოთა საქართველოში ჩვენ ვხედავთ რევოლუციის გამარჯვებას. მეტერთმეტე წელია კავშირში, მერვე წელია საქართველოში რევოლუციური მუშები და გლეხები კომპარტიის მეთაურობით აწარმოებენ განუწყვეტლივ აღმშენებლობით მუშაობას. ამ აღმშენებლობაში ჩვენ მივიღწიეთ დიდ შედეგებს როგორც ქალაქად ისე სოფლად. ქალაქის და სოფლის მეურნეობა დღითი დღე იზრდება. მეურნეობის აღდგენის და განვითარების პროცესში ჩვენ ზოგან გადავაპარბეთ იმ დონეს, რომელიც აწსებობდა ომამდე. ჩვენი ქვეყნის მეურნეობის კულტურულად და ტექნიკურად უფრო წინ წაწევის და ყველა ეკონომიურ და საწარმოო საშუალებათა ამოძრავების მიზნით კომპარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დაისახეს ინდუსტრიალიზაციის გეგმა და ამ გეგმის ერთ ერთ ნაწილს ჩვენ ქვეყანაში წარმოადგენენ როგორც უკვე აშენებული ისე ასაშენებლად დაწყებული ქარხნები და ფაბრიკები (ტფილისში, ქუთაისში, ოზურგეთში, აბაშაში, მარელისში, ხონში, გორში, ბორჯომში, თელავში და სხვ. აგრეთვე ავტონომიურ რესპუბლიკებში). პირველ მაისს ჩვენ ვხედავთ ამ გამარჯვებას და ვისახავთ მომავლისათვის ახალ ამოცანებს უფრო მძლავრ გამარჯვებისათვის სოციალიზმის დროში ხელში. პირველი მაისი ყოველთვის გვმატებს ახალ რევოლუციურ მანევრებს და უნარიანობას; მსოფლიოს რევოლუციურ პროლეტარიატთან ხელჩაკიდებულნი, აღმოსავლეთ მშრომელ ხალხთან ძმური თანაგრძნობის იდეებით შეკავშირებულნი მტკიცე ნაბიჯებით მივდივართ წინ საბოლოო გამარჯვებისაკენ.

პირველ მაისს ჩვენ იუსტიციის მუშაკნი მთელი ჩვენი ენერჯით შეუდგებით იმ ლოზუნგების განხორციელებას, რომელნიც შეადგენენ ჩვენი პარტიის და ხელისუფლების დღევანდელ ძირითად ამოცანებს.

- 1) ჩვენ შევიწინარჩუნებთ და უფრო გავამტკიცებთ მუშის და გლეხის კავშირს.
- 2) ჩვენ ხელს შეუწყობთ ღარიბ და საშუალო გლეხის კავშირს კულაკურ ელემენტებზე გასამარჯვებლად.

3) დაეხმარებით პარტიას და ხელისუფლებას, ადგილობრივ საბჭოებს მუშაობის გაძლიერებაში, სახელმწიფო აპარატის გამარტივებაში და მის მშრომელ მასასთან დაახლოებაში.

4) სასტიკ ბრძოლას გაუწევთ ბიუროკრატიზმს, ხელს შეუწყობთ სოციალისტურ რაციონალიზაციის წარმოებას, და გაუადვილებთ მშრომელ მოსახლეობას თავის უფლებრივ მოთხოვნებთან, დაკმაყოფილებას.

5) ჩვენ უფრო შეგნებულად და გაორკეცებული ძალღონით, პროლეტარული კანონების გამოყენების საშუალებით შევებრძოლებით ყველა ისეთ მოვლენებს, რომელნიც ასე თუ ისე ასუსტებენ საბჭოთა მუშურ გლენურ სახელმწიფოს ფუძეს და არ დავინდობთ „ძველი ქვეყნიდან“ დარჩენილ ნაშთებს, რომლებიც მოინდომებენ ხელი შეუშალონ პირველ პროლეტარულ სახელმწიფოს მის დიად კულტურულ ეკონომიურ აღმშენებლობაში და სოციალიზმისაკენ წინსვლაში.

და ასეთი მტკიცე იმედებით, გასაღკლდევებული ნებისყოფით—ჩვენ კვლავ ვეგებებით საერთაშორისო მუშათა კლასის ძლიერადილ დღესასწაულს—პირველ მაისს.

ი. ვარძიელი.

როგორ უნდა მუშაობდეს მაზრის პროკურორი.

2.

როგორც პირველ წერილში მივუთითებდით, მთავარი და ძირითადი მოვალეობა მაზრის პროკურორისა არის საერთო ზედამხედველობის წარმოება. სოფლად რევოლუციური კანონიერების განმტკიცება არ შეიძლება მარტო სასამართლოსა და საგამომიებლო ორგანოებში მუშაობით განისაზღვროს. სამუშაოთ დღემდის ეს ასე იყო. თუ საერთო ზედამხედველობა მკვიდრ ნიადაგზე დაყრდნობილი არ არის, ის იმას ნიშნავს, რომ რევოლუციური კანონიერება სოფლად სამოცი პროცენტით არ არის გატარებული. ამიტომ დღეიდან ჩვენ უნდა შევეცადოთ საერთოდ ზედამხედველობის გაჯანსაღებას და მის უნაკლოთ გატარებას ცხოვრებაში.


მაზრის პროკურორს თავისი მაზრა კარგად უნდა ქონდეს შესწავლილი. მაზრის მუშაობის ყველა დარგთან ის საკმაოდ გაცნობილი და დაახლოებული უნდა იყოს; ყოველთვის და ყოველგან ის თვალყურს უნდა ადევნებდეს, როგორც საბჭოთა, ისე სამეურნეო ორგანოების მუშაობას და თუ რაიმე უკანონო მოქმედებას აღმოაჩენს უნდა მიიღოს ზომები მის სასწრაფოთ გამოსასწორებლად კანონით გათვალისწინებული წესით. ეს მძიმე და ფრიალდასპასუსხისმგებლო მოკალოება პროკურორმა რომ პირნათლად და უნაკლოთ შეასრულოს საჭირო არის გეგმა შეწონილი მუშაობა, საჭიროა ერთნაირი გეგმისა და მუშაობის მეთოდის გამოიმუშავება. უგეგმოთ მუშაობა პროკურორმა უკუ უნდა ავდოს, თორემ მის მუშაობას არავითარი თვალსაჩინო შედეგი არ მოყვება. ზოგიერთი მაზრის პროკურორი გეგმის შედგენას უარყოფითად შეუტრებს და მის მნიშვნელობას არ აფასებს, რაც დიდ შეცდომათ უნდა ჩაითვალოს. გასული წლის ბოლოს ცენტრალურმა პროკურატურამ გამოიმუშავე ყველა მაზრებისათვის ერთნაირი სანიმუშო გეგმა, რომლითაც დღემდის მაზრის პროკურორები ხელმძღვანელობდნენ. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს სანიმუშო გეგმა უნაკლო იყოს, არა, მას ნაკლი აქვს და ეს ნაკლი უმთავრესად გამოიხატება მის არა რეალობაში. გეგმა უნდა იყოს რეალური, ე. ი. სინამდვილესთან შეფარებული, შიგ ალნუსხული უნდა იყოს მხოლოდ ის, რის დავკეთებაც განსაზღვრულ დროის განმავლობაში დაახლოებით მაინც შეიძლება. რა საჭიროა გეგმა ვაბერილი იყოს და ის მხოლოდ ქალღმად დარჩეს ხელუხლებლად და ცხოვრებაში გაუ-

ტარებლად. იუსტიციის სახ. კომისარიატი ამ ნაკლის ალო მომავალში გამოასწორებს, და სანამ ეს არ მოხდება, მაზრის პროკურორი ვალდებულია არსებული სანიმუშო გეგმით იხელმძღვანელოს და თავის დროზე წარმოადგინოს საკუთარი სამუშაო გეგმა. აქედან დასკვნა ის არის, რომ პროკურორი გეგმის მიხედვით უნდა მუშაობდეს და მაშინ ნისი მუშაობა უფრო მიზანშეწონილი და ნაყოფიერი იქნება.

რას უნდა აქცევდეს მთავარ ყურადღებას მაზრის პროკურორი და როგორია მისი მოვალეობა საერთო ზედამხედველობის დარგში. ეს არის შემდეგი: 1. სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმისა და პლენუმის სხდომებზე მონაწილეობის მიღება, 2. თემალმასკომებისა და თემსაბჭოების მუშაობის დათვალეობა და შემოწმება, 3. აღმინისტრაციული ორგანოების მიერ დადებულ სასჯელის კანონიერების შემოწმება, 4. თვალყურის დევნება სასოფლო სამეურნეო გადასახადის სწორად განაწილებისა და მისი კანონიერად გატარებაზე, 5. თვითდაბეგვრის მიზანშეწონილობისა და სისწორით გატარების შემოწმება, 6. თვალყურის დევნება არჩევნების კანონიერად ჩატარებაზე, 7. კოლპერატული ორგანიზაციის, გლენკომების და სხვა ორგანოების მუშაობის გაცნობა და სხვა.

სამაზრო აღმასკომის სხდომებს პროკურორი სისტემატიურად უნდა ესწრებოდეს და აქტიურ მონაწილეობას უნდა მიუძღვნოს მის მუშაობაში. აქ ის საკმაოდ ავტორიტეტულ და თვალსაჩინო ფიგურას უნდა წარმოადგენდეს. რასაკვირველია მაზრის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო სამაზრო აღმასკომი არის, ეს ორგანოა სოფლად რევოლუციური კანონიერების გამტარებელი და განმტკიცებელი, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ის არ არის დახვეწილი შეცდომებისაგან და ამიტომ მაზრის პროკურორი უნდა სდარაჯობდეს მას არა როგორც რევიზორი-კონტროლი, არამედ როგორც დამხმარე პირი, შეიძლება ითქვას როგორც მთავარი იურისკონსულტი, რომელიც როგორც საბჭოთა კანონების უფრო მკოდნე, დახმარებას უწევს კანონიერ დადგენილებათა გამოტანასა და გატარებაში. მაზრის პროკურორი სამაზრო აღმასკომის სხდომების დღის წესრიგს წინასწარ უნდა ღებულობდეს და ეცნობოდეს. მაზრის აღმასკომის ავტორიტეტი და ხელმძღვანელო არის სამაზრო აღმასკომის თავჯდომარე. ამ უკანასკნელიდან ბევრი რამ არის დამოკიდებული საკითხის გადაჭრის დროს. ის სხდომაზე მთავარი ტონის მიმცემია. ამიტომ კარგი იქნება მაზრის პროკურორი წინასწარ მოელაპარაკებოდეს აღმასკომის თავჯდომარეს, მოახდენდეს აზრთა გაცვლა გამოცვლას და გაიგებდეს თუ რას ფიქრობს ის ამა თუ იმ საკითხზე. ამით ისინი ორივე ემზადებიან სხდომისათვის, ორივე მზათ არიან საკითხები საბჭოთა კანონიერების საფუძველზე გადაჭრან. თუ ურთიერთ შეთანხმება არ მოხდა, პროკურორს შეუძლია თავისი წინადადება დაიცვას სხდომაზე და თუ აქაც არ გაიზიარებენ მის წინადადებას, მას უფლება აქვს იუსტიციის სახალხო კომისრის მეშვეობით პროტესტით შევიდეს ცაკში, სადაც მომხსენებლად თვით იუსტიციის კომისარი, ან მისი მოადგილე გამოდის. მე ვფიქრობ თუ ასე დააყენებენ საქმეს როგორც სამაზრო აღმ. თავჯდომარე, ისე მაზრის პროკურორი, მაშინ ადგილი აღარ იქნება იმ უკონტაქტო და საქმიან საფუძველზე შეუთანხმებელ მუშაობას, რომელსაც ზოგიერთ მაზრაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს.

თემალმასკომებისა და თემსაბჭოების მუშაობის დასათვალეობლად და შესამოწმებლად პროკურორს ორი საშვალეობა აქვს. პირველი იმ ოქმების და დადგენილებების გადათვალეობა, რომლებიც თემებიდან სამაზრო აღმასკომში იგზავნება, მეორე საშვალეობა კი ადგილობრვად გამგზავრება და იქ შემოწმება. პირველი, შედარებულად ადვილი საქმეა. მეორე კი უფრო ძნელი. ამიტომ მაზრის პროკურორი ვალდებულია სამაზრო აღმასკომში თემებიდან შემოსული ოქმები თვეში თუ ოთხჯერ არა, სამჯერ მაინც გადაათვალეიროს და თუ რაიმე უკანონობას აღ-



მოაჩენს, წინადადებით შევიდეს სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმში მის გასაუქმებლად. აქაც მიზანშეწონილი და კარგია სამაზრო აღმასკომის თავჯდომარესთან წინასწარ მოლაპარაკება და შეთანხმება. ამ ნაირად ამ პირველი საშეაღებო მანქანის პროკურორი საერთო ზედამხედველობას უწევს მაზრაში შემავალ ყველა თემებს. მაგრამ მართა ეს საქმარისი არ არის. პირველი ადგილი ჩვენ თემების მუშაობის ადგილობრივად დათვალისა და შემოწმებას უნდა დავუთმოთ. სულ მხვავა ქალაქების საშეაღებო შემოწმება და სულ სხვა არის თემალმასკომთან და საბჭოსთან ცოცხალი კავშირის გაბმის მეთოდით მუშაობის შემოწმება და შეცდომების გამოსწორება. ადგილობრივად შეიძლება ისეთ უკანონო მოქმედებას წააწყდეს, რაც ოქმებში არც კი ყოფილა აღნიშნული. რამდენი არის თემებში ისეთი სამუშაო, რომლის ყოველთვის სხდომებზე გატარება და აღნუსხვა შეუძლებელია და ასეთი კატეგორიის სამუშაოს შესრულების დროს შეიძლება უბრალოდ იყოს დარღვეული კანონი და ეს მხოლოდ ადგილობრივად მცხოვრებლებმა იცოდენ და ოქმში კი მისი უკანონო არა ჩნდეს. ადგილობრივი ხელისუფლების მოქმედებისა და მუშაობის მთავარი კონტროლი თვით მშრომელი გლეხკაცობა არის. ამიტომ საჭირო არის პროკურორი ამ მშრომელ მასასთან უშუალოდ დაკავშირებული და დაახლოებული იყოს. თუ ეს ასე არ არის, მაშინ პროკურორი ბევრის ვაკეთებას ვერ შესძლებს. საჭირო და აუცილებელია პროკურორის თემში მისვლა თემის ფართე მისახლოებამ იცოდეს. ამიტომ მაზრის პროკურორი ვალდებულია სამი თხზილი დღით ადრე აცნობებდეს თემალმასკომს თემში მისვლის შესახებ. თავჯდომარე კი თვალსაჩინო ადგილებზე გამოაკრავს ცნობას ამის შესახებ, რითაც მშრომელ მასას საშეაღებო მიეცემა პროკურორის მიმართოს ის ცნობა, რაც მან იცის და პროკურორიდანაც მიიღოს საჭირო იურიდიული რჩევა დარიგება. თემალმასკომის უკანონო დადგენილებათა და მოქმედებების გასაუქმებლად პროკურორმა ყოველთვის სამაზრო აღმასკომს არ უნდა მიმართოს. მით უმეტეს საჭირო არ არის ეს, როცა პროკურორი ადგილობრივად ათვალისა და იხილავს თემალმასკომის და თემსაბჭოს საქმიანობას. პროკურორი უნდა შეეცადოს დაჯერებითი მეთოდით თვით თემალმასკომს და თემსაბჭოს გააუქმებოს უკანონო და მიზანშეუწონელი დადგენილება და თუ ეს აღარ მოხერხდება, მხოლოდ მაშინ უნდა შევიდეს პროტესტით სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმში. პროკურორის ადგილობრივად მისვლა ფორმალურ და „კაზინურ“ ხასიათს არ უნდა ატარებდეს. არ კმარა პროკურორის თემში ერთი დღით მისვლა. აუცილებელი არის პროკურორმა თემში დაჰყოს არა ნაკლებ ორი დღისა მაინც. მან საფუძვლიანათ უნდა გაეცნოს თემალმასკომის და საბჭოს მუშაობას. თუ სამაზრო აღმასკომში თემებიდან შემოსულ ოქმების გადათვლიერებით და შემოწმებით პროკურორი თითქმის მაზრაში შემავალ ყველა თემებს უწევს საერთო ზედამხედველობას, ადგილობრივად დათვალისა და იხილავს თემების მუშაობას, ვერ შესძლებს, ყველა თემებს ის ერთი თვის განმავლობაში ვერ დაათვალისა და იხილავს. მან უნდა შეეცადოს თემში 3-4 თემის საფუძვლიანათ შესწავლა და შემოწმება. თუ ის ამას იზამს ეს დიდი პლიუსი იქნება საერთო ზედამხედველობის დარგში. თემიდან დაბრუნების შემდეგ პროკურორი სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმში უნდა აკეთებდეს მოხსენებას თემის მდგომარეობის შესახებ და იქ აღმოჩენილ შეცდომებზე და უკანონობაზე უნდა მიუთითებდეს (თუ ასეთი იქნება), რის შემდეგ სამაზრო აღმასკომს გამოაქვს ესა თუ ის დადგენილება. კარგი და აუცილებელი იქნება, რომ ამ ოქმის ამონაწერი ყველა თემებს გაეგზავნებოდეს. ამით დანარჩენი თემებიც შეეცდებიან თავიანთი ნაკლი გამოასწორონ და უკანონო მოქმედება გააუქმონ. ეს ერთნაირი სკოლა იქნება თემალმასკომებისა და თემსაბჭოებისათვის.

ზემოთ მე-7 მუხლში ჩამოთვლილ მოვალეობიდან ჩვენ შევხებით მხოლოდ ორ მთავარს, დანარჩენ 5 მუხლში

აღნიშნული უფლება მოვალეობა კი განუყოფელი ნაწილია უკვე განხილულ ორ მუხლისა და ამიტომ ჩვენ მას ცალკე ცალკე აღარ შევხებით.

აღნიშნულის გარდა პროკურორი ვალდებულია განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მაზრაში მოჯამაგირების მდგომარეობას. მას მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს მიწა-ტყის კავშირთან და მასთან ერთად იღებდეს ყოველივე ონეს მოჯამაგირეთა კულაკებისაგან დასაცავათ. არსად და არც ერთ კავშირის შრომის პირობების შესწავლა და ამ პირობების დაცვა ისე ძნელი არ არის, როგორც მიწა-ტყის კავშირისა. აქ ჯერ კულაკების მიერ მოჯამაგირები კიდევ უდიერად იყვლითებიან და ამ მართულებით ბრძოლა პროკურორის ერთ უმთავრეს მოვალეობას უნდა შეადგენდეს. სოფლად მეფავშეობას კიდევ ადგილი აქვს. კულაკები სარგებლობენ უღარიბესი გლეხობის ხელმოკლეობით და განუსაზღვრელი პროცენტებით ატყავებენ მათ. ამ ბოროტების წინააღმდეგ მაზრის პროკურორმა სასტიკი ზომები უნდა მიიღოს. დანაშაუნი პროკურორის თვალს არ უნდა გამოეპაროს და სისხ. სამ. წესით უნდა იქნენ მიცემულნი პასუხისმგებანი.

ამასთან პროკურორმა თვალყური უნდა ადევნოს ადგილობრივ მაზრის მდგომარეობას. ხშირად სპეკულიანტები მაზრაზე ხელოვნურად სწევენ საქონლის ფასს და მით მიძიმე მდგომარეობაში აყენებენ, როგორც მომხმარებლებს, ისე ჩვენს საყაბრო ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანოებს. ეს დანაშაულებია ისჯება სისხ. სამ. წესით და პროკურორმა უნდა ეცადოს, რათა ასეთი დანაშაუნი არ ასკდნენ მოსალოდნელ ღირსეულ სასჯელს. ყველაფრის აღნუსხვა ერთი და ორი წერილით რასაკირველია არ შეიძლება, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ მოკლეთ მაინც არის ჩვენს მიერ განსაზღვრული თუ როგორ უნდა მუშაობდეს მაზრის პროკურორი და ის მიძიმე მოვალეობა, რომელიც მას საბჭოთა ხელისუფლებამ და მისმა ხელმძღვანელმა კომუნისტურმა პარტიამ დააკისრა. პროკურორის მომხმარებლისა და მაზრაში კულტურული მუშაობის წარმოების საკითხს ჩვენ შემდეგ შევხებით.

თ. დოლიძე.

განზრახული რეფორმა რუსეთის სფსრ სისხლი სამართლის საპროცესო კოდექსისა.

მიმდინარე წლის აპრილში „რევოლიუცია და სამართალ“-ში მოთავსებულია დიდად საინტერესო მოხსენებები ამხ. კრილენკოს და ამხ. ესტრინის საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის რეფორმის შესახებ. ამ საკითხზე კამათი მოწყობილი იყო კომუნისტურ აკადემიასთან არსებულ სამართლისა და სახელმწიფოს სექციის მიერ. კამათმა გამოიწვია გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ამხ. კრილენკოს დებულებანი და იუსტიციის სახალხო კომისარიატის თეზისები სასტიკად იქნენ გაკრიტიკებული. თვით მომხსენებელი ამხ. კრილენკომ კამათის პროცესში დასთმო ზოგიერთ თავისი პოზიციები.

მე ვფიქრობ, რომ ჩვენშიაც საკითხი სისხლის სამართლის პროცესის რეფორმის იწვევს დიდს ინტერესს, ამიტომ „საბჭოთა სამართლის“ მკითხველთათვის საინტერესო იქნება გადმოცემა იმ კამათის შინაარსისა, რომელიც სწარმოებდა კომუნისტურ აკადემიაში.

ამხ. კრილენკო, რომელიც არის ინიციატორი სისხლის სამართლის პროც. ცვლილებებისა და თითქმის მთლად ავტორი იუსტსახკომის თეზისებისა, სთვლის, რომ სისხლის სამართლის პროცესის რეფორმა საჭიროა პროცესის გამარტივებისათვის, ჩვენი პროცესი დიდად რთულია და გაუგებრობითაა ზედმეტი ფორმალისებით, რაც იწვევს ვოლკოტას და საქმეების მსვლელობის დაბრკოლებას. საჭიროა პროცესი გამარტივებულ იქნეს, საჭიროა დაუ-

ბრუნდეთ იმ საფუძვლებს, რომლებზედაც პროცესი იყო აშენებული სახალხო სასამართლოს შესახებ 1918 და 1920 წლების გამოცემის დებულებაში. მაშინ არ იყო გატარებული განსხვავება სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის საქმეთა წარმოების შორის, თვით პროცესი კი გამოიხატებოდა შემდეგში: თვითეული საქმე დაიწყებოდა მოსარჩლის ან ბრალმდებლის მოხსენებიდან. მაშასადამე, სისხლის სამართლის პროცესში ბრალმდებლის სიტყვიდან იმ მტკიცებათა მოყვანით, რომელზედაც ემყარება ბრალდება. ამ სიტყვის შემდეგ სიტყვის უფლება მიეცემოდა ბრალდებულს ან დამცველს. ამის შემდეგ კი სასამართლო გადადიოდა მტკიცებათა გასინჯვაზე (მოწმეთა დაკითხვა და სხვა) ამასთან სასამართლოს ჰქონდა უფლება თავი თავისით დაენებებია მტკიცებათა გასინჯვას სრულ და საქმის გარემოებებთან შეფარდებულ, შეთანხმებულ ბრალდებულის გამოტყდომის გამო. როცა სასამართლო ჰპოვებდა, რომ საქმე საკმაოდ გამორკვეულია, ის აძლევდა მხარეებს ნებას გამოთქვათ თავისი მოსაზრებანი. მხარეთა კამათი იყო სავალდებულო. ამხ. კრილენკოს აზრით ეს მომენტი შეიძლება იყოს ამოწილი და სასამართლოს მიეცეს ნება გადასწყვიტოს საკითხი ამის შესახებ თავისი შეხედულებისამებრ, მხარეთა კამათის შემდეგ სასამართლო გადის სათათბირო ოთახში განაჩენის გამოსატანად. ეს არის ძირითადი მომენტები პროცესისა, რომლებიც გამოთქმულია სახალხო სასამართლოს 1923 წლის დებულების 3—4 გვერდის სვრცეზე. ამ დებულებათა გარეგნული სიმარტივე ხიბლავს ამხ. კრილენკოს. „მე ვითხოვ—ლაპარაკობს ის, ყურადღებით მოეპყროთ ამ მუხლებს, რადგანაც სისხლის სამართლის პროცესის განხრახული რეფორმის ძირითად მომენტს წარადგენს ტენდენცია ჩვენი პროცესი სახალხო სასამართლოში დავაბრუნოთ ამ სამ პატარა მუხლებისაგან და ამით იმ პირობებისაგან, რომლებშიც აყენებდნენ ისანი მოსამართლესა და მხარეებს და აგრეთვე საქმის გარჩევას.

განიხილავს რა ჩვენი პროცესის შემდგომ ისტორიულ განვითარებას, ამხ. კრილენკო ნახულობს, რომ პირველმა ხუთმა წელმა იქამდე მიიყვანა, რომ პროცესი დიდად გართულდა და ჩამოყალიბდა 458 მუხლში. 1920 წლის სისხლის სამართლის პროცესი გამოხატავს კანონის მძიმე და გაქვავებულ ფორმას. მისი აზრით, საჭიროა დაფუძრუნდეთ იმ მარტივ აზრს, რომელიც იქნა გამოთქმული ამხ. სტუჩკას მიერ ათი წლის წინათ და რომელიც შეიცავდა დებულებას, რომ „მომავალი წესდება სასამართლოს წარმოებისა იქნება მხოლოდ და მხოლოდ ინსტრუქცია სახელმძღვანელო სასამართლო საქმეების გადასაწყვეტად“. ამხ. სტუჩკამ შემდეგში ეს შეხედულება უარყო, ამხ. კრილენკო კი ცდილობს მას სიცოცხლე მისცეს. „ჩვენ სახალხო სასამართლოებს, ლაპარაკობს იგი, უნდა მიეცეს ძირითადი საფუძვლები, ძირითადი პრინციპი, რომლებიც მათ უნდა იცოდნენ როგორც პროცესის ძირითადი სახელმძღვანელო დებულებები, რომლების არ არსებობდა ეწინააღმდეგება მის არსს“... გამოდას რა ამ აზრიდან, იუსტიციის სახალხო კომისარიატის პროექტი იმ მიზანს ისახავს, რომ ჩამოაყალიბოს სისხლის სამართლის პროცესი 83 მუხლში (ამხ. კრილენკო მოწადინებულია კიდევაც ჩამოაყალიბოს პროცესი 32 მუხლში), სხვა დანარჩენი მითითებანი მიეცეს ნაკაზის მუხლების სახით, რომლის შეცვლა თავისუფლად შეუძლია იუსტიციის სახ. კომისარიატს გამოცდილების დაგროვების მიხედვით.

რა დადებით, შეუცვლელ მხარეს პოულობს ამხ. კრილენკო ამ უამად მოქმედ სისხლის სამართლის პროცესში? თვით პროცესის სტრუქტურის შესახებ ის ლაპარაკობს შემდეგს: „1922 წლის სისხლის სამ. პროცესმა გამოხატა საკლებით ძირითადი პრინციპები, რომელსაც ჩვენ არ ვუარყოფდით და არ ვუარყოფთ, როგორც სიტყვიერება პროცესისა, უშუალოდა განსაზღვრულ ფარგლებში, განხილვა ბრალდებულისა როგორც მხარის და ამ მნიშვნელობით პროცესის შეჯობაზე.“

აი მთავარი, ძირითადი პოზიცია ამხ. კრილენკოს რამდენად ეს ხაზი დაცულია იუსტიციის სახ. კომისარიატის თეზისებში, ამის გამორკვევას ჩვენ შევეცდებით შემდეგში.

იუსტიციის სახ. კომისარიატის თეზისების ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ მიენიჭოს უპირატესი მნიშვნელობა სახალხო სასამართლოს. სახალხო სასამართლო არის ძირითადი უჯრედი ჩვენი სასამართლო სისტემისა, იქ უნდა იქნეს გადაცემული ყველა საქმე საფუძვლად იმ სასამართლოდან გარდა საქმეთა ზოგიერთ კატეგორიისა; სამსახურებრივ და სამეურნეო დანაშაულებზე საქმეები და აგრეთვე კონტრ-რევოლიუციის საქმეები; სახ. სასამართლოს კომპეტენცია დიდად ფართოვდება იმ დროს, როდესაც საფუძვრითი სასამართლოს კომპეტენცია ძალზე მცირდება. სახალხო სასამართლო, ამხ. კრილენკოს აზრით, შეიქნება ნამდვილ სკოლად პოლიტიკური აღზრდისა და მასების უმეშვეოთ ჩაბმისა მმართველოში, ვინაიდან აქ აღიზრდებიან მასები“... სახ. სასამართლოს უნდა გადაეცეს ყველა ყოფაცხოვრების საქმე.

როგორღა უნდა იყოს აშენებული პროცესი სახალხო სასამართლოში? ამაზე ამხ. კრილენკო შეძლებიან რა უპასუხებს: ყველა იმ დებულების საფუძველზე, რომლებიც მას ეკუთვნოდა სახ. სასამართლოს შესახებ 1920 წლის დეკრეტით. კერძოდ დაცვის საკითხის შესახებ ამხ. კრილენკო და იუსტიციის სახ. კომისარიატის თეზისები წამოაყენებენ როგორც ძირითად პრინციპს „დაცვის დამცველის ფაქულტატივობას“. დაცვის დამცველა სავალდებულოა მხოლოდ სამ შემთხვევაში: ბრალმდებლის მონაწილეობის დროს, როდესაც ბრალდებულს ფიზიკური ნაკლის გამო არ შეუძლია თავი დაიცვას და როდესაც დაცვის დამცველი თხოულობს პრ. კვაკეშირი. ამ უკანასკნელი ფორმის დაცვას ამხ. კრილენკო განსაკუთრებულ მნიშვნელობას აკლავს. დაცვაში, რომელსაც პროცესში იღებენ აწყობს, ის ნახულობს იმ ახალ დაცვას, რომელსაც პროცესის სასამართლოს შეუძლია ენდოს. ეხლანდელ დაცვას, რომელიც არსებობს როგორც ავტომატიური ორგანიზაცია, ის სთვლის ხელოვნურ ელემენტად საბჭოთა სისტემაში. ამის შემდეგ ამხ. კრილენკო გადადის საფუძვრითი სასამართლოში პროცესის რეფორმაზე და აი აქ ის გადადის სრულებით ახალ პრინციპებზე, პროცესი საფუძვრითი სასამართლოში უნდა იყოს აშენებული სხვა ფუძეზე. საქმის წარმოების ის საფუძვლები, რომლებიც დასაშვებია სახ. სასამართლოში, სრულებით მიუღებელია საფუძვრითი სასამართლოსათვის. ამხ. კრილენკო ამუოთებულია, რომ ეხლანდელი საფუძ. სასამართლო ერთსა და იმავე პროცესულურ ნორმების საფუძველზე არჩევს „კომსომოლციის“ მიერ „კომსომოლის“, მკვლელლობის საქმის და ეკონომიურ კონტრ-რევოლიუციის საქმისათ; „მე კიდევ ხეხმის, იძახის იგი, დაშვება შეჯობაზე მითითებული პროცესისა ფართოდ გატარებულ ფორმაში საქმეებზე, როგორცაა, მკვლელობა იქვიანობის მიხედვით, მე მზად ვარ ვიცნო ის თანამდებობრივ დანაშაულთა ზოგიერთ კატეგორიის მიმართაც, მაგრამ მე ვსთვლი, როგორც დამცირებას საფუძვრითი სასამართლოსი მასში ეკონომიურ კონტრ-რევოლიუციის საქმის განხილვას ფართოდ გატარებული პროცესის წესით“. საფუძვრითი სასამართლო უნდა იყოს განსაკუთრებული სასამართლო და პროცესი მასში უნდა იყოს სასტიკად განსაზღვრული. თუ სახ. სასამართლოში პროკურორატურა საერთო წესის სახით მონაწილეობას არ იღებს, აქ ის მონაწილეობს 100 პროცენტით. „პროკურორი პროცესის ბატ-ნ პატრონია“. საქმე იწყება პროკურორის სიტყვით; შემდგომ სიტყვა მიეცემა ბრალდებულს ან მის დამცველს. ამის შემდეგ სასამართლო განსაზღვრავს, რომ ის ვასინჯავს და წამოაყენებს კითხვათა მთელ რიგს, რომლებიც უნდა იქნენ განხილული სასამართლო გამოძიების წესით. არაერთი კამათი მხარეებისა არ დაიშვება, როგორც დათმობას სასამართლო წარმოების ზოგად საფუძვლებსადმი ამხ.

კრილენკო მზადა დაუშვას ბრალდებულის უკანასკნელი სიტყვა და მეტი არაფერი.

საგუბერნიო სასამართლოში დაცვის დაშვების შე-სახებ ამხ. კრილენკო გამოხატავს იმ აზრს, რომ ამის ერთადერთი მოტივს შეადგენს სირთულე საქმისა. ამ მხრივ იუსტისსაკომის კოლეგია და ამხ. კრილენკომ ერთ-მანეთს დასცილდნენ. კოლეგია იმის მომხრეა, რომ დაცვა იქნეს დაშვებული საფუბერნიო სასამართლოში იმავე საფუძველზე, როგორც სახ. სასამართლოში. იმავე მტკიცედ განსაზღვრულ პრინციპს, რომელიც არ შეესაბამება სასამართლო პროცესის ცნებას, ამხ. კრილენკო სდებს საკაციაო განსაჩივრების საფუძველად. კასაცია დაუშვებუ-ლის როგორც იმ მოტივით, რომ საქმის გამოძიება არ არის მიყვანილი ბოლომდე, და აგრეთვე იმ მოტივით, რომ განაჩენი მეტად მძიმეა. ყველა იმას, ვინც ამას წაი-კითხავს, უნდა იღებდეს დაეხმება კითხვა: ეს სასამართლოა? და ამაზე საპასუხოდ ამხ. კრილენკო გულახდილად ამ-ბობს: საგუბერნიო სასამართლოს ძირითადი მიზანია ბრძოლის წარმოება უმძიმესი ღონისძიებით სოციალურად საშიშ მოვლენებთან. თუ ჩვენ გვსურს დაუშვათ სას-ტრუქო რეპრესია არა სასამართლოს წესით, რათ უნდა გვეშინოდეს დაუშვათ ის სასამართლოში? აქ რა პრინცი-პიალი განსჯავდება?

ამ კითხვების საპასუხოდ კომუნისტურ აკადემიის სექციამ სამართლისა და სახელმწიფოს წამოაყენა თავისი მოსწინებლის ამხ. ესტრინის სახით და თავისი დიდად საინტერესო კონტრათეზისები, შედგენილი ამხ. სტუჩკას მიერ.

თანამოსწინებელი ამხ. ესტრინი ეთანხმება იმას, რომ სისხლის სამართლის პროცესი არ არის დამაკმაყო-ფილებელი, რომ ის რთულია, რომ პროცესი ქმნის ვო-ლოკიტას, საქმის გაკვირვებას და თითქმის საქმეების 50 პროც-ის გაუქმებას. მაგრამ ამის მაზეხი არა მარტო სისხლის სამართ. პროცესშია, არამედ განსაკუთრებით სა-გამომძიებლო და სასამართლო აპარატის სისუსტეში. უბედურება იმაში კი არაა, რომ ჩვენ შევიტყვისეთ ზო-გიერთი ბურჟუაზიული საფუძველი, არამედ იმაშია, რომ არა დამაკმაყოფილებელი აპარატია, რომელიც ბრალი არ მიუძღვის ს. ს. პროცესს. კომკადემიის თეზისები იღიდ ყურადღება საქმეებს გამოძიების აუცილებელ რე-ფორმას, იმ კითხვ ს, რომელსაც ამხ. კრილენკო სრულე-ბით არ შეხებია თავის მოხსენებაში.

რაც შეეხება პროცესის რეფორმას, აქ ამხ. ესტრი-ნი აწესებს შემდეგ ძირითად პრინციპს: „უპირველეს ყო-ვლისა ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი პროცესი სა-სამართლოში არის უფლებრივი პროცესი და ეს უნდა დარჩეს“. რომ ჩვენი პროცესი არის უფლებრივი პროცე-სი, ეს იმას მოწმობს, რომ ბრალდებულს აქვს განსაზღ-ვრული უფლებები, მარის უფლებები და რომ სასამარ-თლო არის ორგანო რომელიც სწყვეტს დავას ამ მხარი-სას მეორე მოწინააღმდეგე მხარესთან. აქედან გამომდი-ნარეობენ პრინციპები შეჯიბრებისა, საჯაროებისა და სი-ტყვიერებისა. პროცესის ამ პრინციპებმა უნდა დააყენონ სა-სამართლო სათანადო სიმაღლეზე. კომკადემიის თეზისე-ბი ამ საკითხზე ჩამოყალიბებულია ვაბედულად და მტკი-ცედ.

„ასეთი საფუძველები, როგორც პიროვნების ხელუ-ნელობა, უმეშვეობა, სიტყვიერება პროცესში და უფ-ლება დაცვისა კულტურული მონაპოვარანია, რომლებიც სხვა მონაპოვართა რიგში უნდა დავაყენოთ პროლეტარ-იატის კლასიურ სახელმწიფოშიც, ე. ი. პროლეტარულ დემოკრატიაში, როგორც უმაღლეს რიგის დემოკრატია-ში, მასთან ჩვენ უეჭველად უნდა უკუვადლოთ ყველა ის, რაც მასში ზედმეტია, მავნებელია და ეწინააღმდეგება მშრომელთა ინტერესებს“. აქედან ბუნებრივად გამომდი-ნარეობს დაცვის სრული ცნობა და აუცილებლობა, ამხ. ესტრინი თანახმაა, რომ დაცვა იმ სახით როგორც ამ უმაღლ არსებობს, არ ასრულებს თავის ამოცანებს, მაგრამ ეს იმ დასკვნამდე ვერ მიგვიყვანს, რომ ის უნდა იყოს

გაუქმებული ან შეზღუდული. „დაცვა და არა ბრალდება ნათქვამია თეზისებში, არის შეჯიბრებითი პროცესის სა-სებითი მხარე, როგორც დემოკრატის მტკიცე მონაპო-ვარისა. დაცვა უნდა იქნეს რეორგანიზაციამხილი, და არა გაუქმებული“.

საეჭვოა, რომ შეიძლება იმის მტკიცება, რომ სასამართლო არის საუკეთესო დამცველი. დაცვა საქიროა თვითეულ გლახეისათვის და მუშისათვის, რომლისთვისაც გამართლებული მეტის-მეტად მიუწოდომელი რამ იქნება. დაცვა ყველას სჭირდება და არ არის არავითარი საფუძველი, რომ მას, მოვაკლოთ ყველა დანარჩენი ელე-მენტი.

როგორია საქმეები უნდა განიხილოს სახალხო სასა-მართლომ? კომპეტენციის განსაზღვრის საკითხში სახალ-ხო სასამართლოსა და საგუბერნიო სასამართლოს შორის ესტრინის თეზისები და კომუნისტური აკადემიის თეზი-სები შეესაბამებიან ამხ. კრილენკოს თეზისებს. საგუბერ-ნიო სასამართლოებმა უნდა განიხილონ საქმეები სახელ-მწიფოებრივ დანაშაულის საქმეები, განსაკუთრებული მნი-შვნელობის სამეურნეო საქმეები და თანამდებობრივი. სხვაფერი რომ ვთქვათ, ყველა ის საქმე, რომლებიც უშუ-ალოდ ეხებიან საბჭოთა ხელისუფლების ინტერესებს რო-გორც ასეთის. მაგრამ აქედან ამხ. ესტრინი არ აკეთებს იმ დასკვნებს, როგორსაც ამხ. კრილენკო. აქ იწყება მა-თი ერთმანეთისაგან კოორდინალური დაცილება. დეე სა-გუბერნიო სასამართლო იყოს განსაკუთრებულ სასამარ-თლოდ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ განსამართლება მას-ში უნდა იყოს შეცვლილი ანგარიშის გასწორებით (pac-პრაიზი). ამ ფუნქციას აქამდე ასრულებდნენ საქმაოდ კარ-გად და ამ უმაღლეს ასრულებენ სახელმწიფოს პოლიტი-კური სამმართველოს ორგანოები. სასამართლოს პროცესს კი აქვს მიზანი არა მარტო დასჯა ნამდვილ დამნაშავე-სი, არამედ მან უნდა გამოამყვანოს ყველა დევექტი ჩვენი აპარატია, რომელიც ქმნის და აადვილებს შესა-ძლებლობას დანაშაულის ჩადენისას. რატომ, გვეკითხება ამხ. ესტრინი, ჩვენი საგუბერნიო სასამართლო, რომე-ლიც მომქმედ სისხ. სამ. კოდექსითაც არ არის მოკლე-ბული შესაძლებლობას გაამარტივოს პროცესი, ამას მაინც არასოდეს არ სჩადის? იმიტომაც, რომ ცხოვრება ამას არ მოითხოვდა, პირიქით, საქმეთა უმრავლესობა იმგვარი იყო, რომლების გარჩევა თხოვლობდა დიდ ყურადღებას.

აი ამიტომაც არის, რომ კომკადემიის თეზისები იცავენ თავის პრინციპიალურ ხაზს ბოლომდე და აცხა-ლებენ: „საგუბერნიო სასამართლოს ქვემდებარეობის შე-ცვლის დროს ჩვენ მაინც ვტოვებთ ამ საქმეებისათვის რეპრესიის სასამართლოს წესს. ჩვენ მოწინააღმდეგეა-ც განსამართლებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი სო-ციალური საშიშროება დამტკიცებულია. ჩვენ ამ საქმეებს სასამართლოში ვასრულებთ არა მარტო იმ მიზნით, რომ ულმობელად გაგასწორობოთ კლასიურ მტრებსა, რო-მლებიც უკანასკნელ ორ კატეგორიის საქმეებში სრუ-ლებით არ შეადგენდნენ პასუხისგებაში მიცემულთა უმრავლესობას, არამედ იმ მიზნით, რომ სრულად იქნეს გამოაშკარავებული ასეთ ქმედობათა და პირთა სოცია-ლური საშიშროება, აგრეთვე ამ დანაშაულთა ორგანიზა-ცია იმ მიზნით, რომ ისინი ვაგვეფრთხილებია მათი გა-ფრთხილებისა და მიზანშეწონილად აღმოფხვრისათვის“. შემდგომ: „არ არის საფუძველი შემოვიღოთ განსაკუთ-რებული წესი საქმეთა წარმოებისა სახალხო სასამარ-თლოებში და საგუბერნიო სასამართლოებში“.

ამრიგად საქიროა ავანსენოთ ერთიანი პროცესი სა-სამართლო წარმოებისა მტკიცე წესების საფუძველზე კა-ნონის სახით. ამხ. ესტრინი კატეგორიულად ილაშქრებს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დაყოფისა კანონზე და ნაკაზზე. ეს იქნებოდა მხოლოდ იუსტიციის სახალხო კომისარიატის თავისუფლება ადვი-ლად და მარტივად მუხლების შეცვლისა სრულიად რუ-სეთის ც. ა. კ-ის ნებადაურთველად. ის გარემოება, რომ ჩვენში უამისოდაც საკონონმდებლო შემოქმედება ადვი-

ლად მიმდინარეობს, იწვევს სერიოზულ საკითხს კანონმდებლობის სტაბილიზაციის აუცილებლობის შესახებ. ასეთია ძირითადი და არსებითი პუნქტები უთანხმოებისა ორივე მომხსენებლის თეზისებში.

რას ვლტებულობთ ჩვენ ამხ. კრილენკოს წინადადებებიდან, სვამს კითხვას ამხ. ესტრინი და პასუხსაც იძლევა: „ჩვენ ვლტებულობთ, რომ არა თუ საგუბერნიო სასამართლოს, არამედ სახალხო სასამართლოსაც უნდა ჰქონდეს უფლება მოსპოს სასამართლოს გამოძიება ყოველ წამს, შესწყვიტოს მოწყობა დაკითხვა, და არ დაჰკითხოს მოწყობები, თუ საქმე ნათელია, არ დაუშვას მხარეთა კაიათი, თუ მისთვის საქმის ვითარება ნათელია. მხოლოდ ამას“.

შემდეგში განხილვა სისხლის სამართლის საპრ. კოდექსისა გავრძელდება უთანხმოების ამ ხაზით.

მ. სმირნოვისა.

გაუთვალისწინებელი ხელშეკრულებანი.

სამოქალაქო სამართლის კოდექსში გათვალისწინებული ხელშეკრულებითი ვალდებულებანი სხვადასხვა ნიშნის მიხედვით შეიძლება დალაგებულ იქნენ ჯგუფებათ. ერთ-ერთი ასეთი ნიშანი არის ის ეკონომიური ფუნქცია, რაც ხელშეკრულებით შესრულდება. ამ ნიშნის საფუძველზე სამ. კოდექსში გათვალისწინებული ხელშეკრულებანი განიყოფიან ხუთ შემდეგ ჯგუფათ: ა) გასხვისების ხელშეკრულებანი (ნასყიდობა, ვაცვლა, ჩუქება); ბ) სარგებლობის და გამოყენების ხელშეკრულებანი (ქირაგონობა, სესხი), გ) ნაკეთობის ხელშეკრულებანი (ნარდათ მუშაობა, მიყიდვა-მიწოდება, მინდობილობა, რწმუნებულება, კომისია), დ) ამხანაგობის ხელშეკრულებანი (მარტივი ამხანაგობა, სრული ამხანაგობა, ნდობის ამხანაგობა, შეზღუდულ პასუხისმგებლობის ამხანაგობა, სააქციო საზოგადოება) და ე) უზრუნველყოფის ხელშეკრულებანი (ვირავნობა, თავდებობა, ჯარიმა, ბე, დელკრედერი, დაზღვევა).


ხელშეკრულებათა ეს დალაგება ჯგუფებათ ეკონომიურ დანიშნულების მიხედვით ერთად ერთ შესაძლებლობას არ წარმოადგენს. იმავე ნიშნის მიხედვით შესაძლებელია აგრეთვე სხვანაირი დალაგება; მისაღებია, მაგ., ცალკე ჯგუფათ იქნენ გამოყოფილი კრედიტის ხელშეკრულებანი, მაგრამ ამ სხვაობას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან დალაგების, ე. ი. სისტემატიზაციის წესს თავის თავად გადაწყვეტი ძალა არ ეკუთვნის ხელშეკრულებასთან შეკავშირებულ იურიდიულ საკითხებისათვის და ის მხოლოდ გვეხმარება გავითვალისწინოთ, რა იურიდიული საშუალებით მიიღწევა სამოქალაქო ბრუნვაში ესა თუ ის ეკონომიური მიზანი. გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ სამოქალაქო სამ. კოდექსში თითოეულ ჯგუფის თითოეულ სახის ხელშეკრულებათზე ცალკე ლაპარაკობს და თითოეულისთვის ცალკე ნორმებს აწესებს. ეს ნორმები ჰქმნიან თითოეულ ხელშეკრულების ტიპს და არკვევენ, რა უფლებანი და მოვალეობანი ეკუთვნის ამა თუ იმ ტიპის ხელშეკრულების მონაწილეებს (მხარეებს) ერთმანეთის მიმართ.

სრულიად უდავოა, რომ სამ. კოდექსში გათვალისწინებული თითოეული ტიპი ხელშეკრულებისა მიუთითებს, რა უფლება და რა მოვალეობა აქვს ხელშეკრულების თითოეულ მონაწილეს, მაგრამ ამ უდავო დებულებით გადაწყვეტილი არ არის საკითხი იმის შესახებ, თუ რა შეადგენს უფლებათა და მოვალეობათა კუთვნილების წყაროს ამ კითხვაზე წარმოსადგენია ორი სხვადასხვა ნაირი პასუხი: ერთი ის, რომ უფლებათა და მოვალეობათა წყარო არის სამ. კოდექსის დადგენილება (ე. ი. ნორმა), ხოლო მეორე ის, რომ წყაროს მნიშვნელობა აქვს ხელ-

შეკრულებას და არა ნორმას, რომელიც არაა ვიქმნიან უფლებას და მოვალეობას, მხოლოდ უჩვენებს და მითითებს ამ უფლებებზე და მოვალეობებზე, როგორც უკვე წარმოშობილებზე დადებულ ხელშეკრულებიდან. არა გვგონია საჭირო იყოს საგანგებო შეაჩეროთ ყურადღება იმ მნიშვნელობაზე, რაც ამ ორ საწინააღმდეგო პასუხის შესაძლებლობაშია ჩაქსოვილი. თუ სიმართლე პირველ პასუხს ეკუთვნის, თუ ხელშეკრულებითი უფლებანი და მოვალეობანი ჩნდებიან სამ. კოდექსის ნორმებიდან, ლოგიკურათ აუცილებელია დასკვნა, რომ არავითარი უფლება და მოვალეობა არ შეიძლება წარმოსდგეს ისეთი ხელშეკრულებისაგან, რომელიც მოხსენებული და გათვალისწინებული არ არის სამ. კოდექსში; პირიქით, თუ სიმართლე მეორე პასუხს ეკუთვნის თუ უფლებანი და მოვალეობანი კოდექსის ნორმის მიერ მხოლოდ აღინიშნებიან, წარმოშობით კი ხელშეკრულებიდან წარმოიშობიან, ამ შემთხვევაში აუცილებელია ვითქვითო, რომ ხელშეკრულება, თუნდაც გათვალისწინებული და მოუხსენებელი კოდექსში, მაინც შესძენს მის მონაწილეთ უფლებებს და მოვალეობებს, რომელნიც კოდექსში ნაჩვენებია და მითითებული არ არიან, მაგრამ მაინც ნამდვილათ წარმომდგარი არიან. ამნაირათ მეტათ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხი, ჩნდება თუ არა ელდებულება ისეთი ხელშეკრულებიდან, რომელიც გათვალისწინებული არ არის სამოქ. სამართ. კოდექსში, გადაწყდება საბოლოოთ დადებითად ან უარყოფითად იმის მიხედვით, თუ რა იქნება აღიარებული უფლებათა და მოვალეობათა წყაროთ, კოდექსი თუ ხელშეკრულება.

უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო სამართლის კოდექსის თანაბარი მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ ყოველ კანონს, რომელიც კი ტიპიურ ხელშეკრულებას ითვალისწინებს. კოდექსი უფლებათა და მოვალეობათა წყაროთ შეიძლება იყოს არა იმ თავის თავისებურობის გამო, რომელიც მას გამოაცალკეებს სხვა საკანონმდებლო აქტებიდან, არამედ იმ თავის ხასიათით, რომელიც მას ეკუთვნის როგორც კანონს და საერთო აქვს ყველა სხვა საკანონმდებლო აქტებთან. ამიტომ ზემოთ მოცემულ საკითხის დაყენებაში სამოქალაქო სამართლის კოდექსის ნაცვლათ ყველგან შეგვიძლიან ვიგულისხმოთ პირდაპირ კანონი, სულ ერთია რა სახელწოდება ან გარეგანი ფორმა აქვს მას, კოდექსის, დეკრეტის, დებულების, დადგენილების თუ კიდევ სხვა რამ.

ჩვენ მიერ დაყენებული საკითხი ცნობილია სამართლის მეცნიერებაში დახურულ რიცხვის (numerus causus) პრინციპის სახელით. ამ საკითხს სანივთო და ვალდებულების სამართლისთვის ყოველთვის ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი და განცალკევებულია არკვევენ. ადგილი გასაგებია რატომ. სანივთო უფლებათა ყოველთვის ერთგვარ საჯარო მომენტს შეიცავს, მას აბსოლუტური ხასიათი აქვს, და რა თქმა უნდა, ყოველად მიუღებელია ხელშეკრულება, დადებული განსაზღვრულ კერძო პირებით თანხმობის საფუძველზე, რაიმე გავლენას მოიპოვებდეს იმ პირების უფლებათა და მოვალეობათა გარეშე, ვინც ხელშეკრულება დასდეს. ამ ძირითად მოსაზრების საფუძველზე სრულიად უდავოა, რომ სანივთო სამართალში დახურულ რიცხვის პრინციპი ურყევად და მტკიცეთ უნდა ტარდებოდეს. საქართველოს უზენაეს სასამართლოს სამოქალაქო საკასაციო საკრებულოს და პლენუმის პრაქტიკაში, მართალია, ზოგჯერ იურიდიული მნიშვნელობა აქვს მიცემული ისეთ სანივთო უფლებრივ ხელშეკრულებას, რომლის ტიპიც არც სამ. კოდექსში, არც სხვა რაიმე საკანონმდებლო აქტში გათვალისწინებული არ არის, მაგალითად სიკვდილამდე ნივთებით უსასყიდლო სარგებლობის (უზუსტურუქტუს) დამაწესებელ ხელშეკრულებას, მაგრამ ამის მაგალითები იშვიათი და შემთხვევითი ხასიათისანი არიან. რაც დაბრკოლებას არ წარმოადგენს ან არ უნდა წარმოადგენდეს იმისთვის, რომ გადაჭრით იქნეს აღიარებული ჩვენს სანივთო სამართალში დახურული რიცხვის პრინციპი.



თლათ სიანს, რომ ინდივიდუალიზმის დასაძლევად საბჭოთა სამართალი საჭიროთ არა სთვლის ჩამოაცალოს ხელშეკრულებას ვალდებულების წარმოშობის ძალა; ამ მიზნისათვის საბჭოთა სამართალი სრულიად სხვა ღონიძიებას მიმართავს, ვინაიდან სამართალში ინდივიდუალიზმის უარყოფითი გამოვლინების დაძლევა უფრო ფართე ამოცანაა ვიდრე ვალდებულებათა საფუძვლების დაწესება. მართალია, რომ ხელშეკრულებათა საბოლოოთ კერძო ნებისყოფას ემყარება, თუნდაც თვით ნებისყოფის ხაცვლათ მის გარეგან გამოვლინებას მიეწერებოდეს იურიდიული მნიშვნელობა თანახმათ ხელშეკრულების სოციალური თეორიისა, მაგრამ არ უნდა დაევიწყოთ, რომ საბჭოთა სამოქალაქო სამართლის მთელი სისტემა გამოწვეულია იმ ახალ ეკონომიურ პოლიტიკით, რომელიც 1922 წლიდან გადაჭრით აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებათ აღიარებს ქვეყნის ეკონომიურ ძალთა განვითარებისთვის მიჩუმებულ საზღვრებში თავისუფალი ასპარეზი მიეცეს კერძო თაოსნობას და წაქეზებულ იქნეს თითოეული მოქალაქე ამ ასპარეზზე მოქმედების გასაშლელათ. რამდენათაც სამოქალაქო სამართალი აუცილებლივ კერძო თაოსნობის სამოქმედო ასპარეზის საკანონმდებლო მოწესრიგებაა, იმდენათ საბჭოთა სამოქალაქო სამართალიც იურიდიულ მნიშვნელობას ფაქტათ სთვლის ხელშეკრულებას იმის და მიუხედავათ, ვათვალისწინებულა თუ არა კერძოთ ტიპი ამა თუ იმ ხელშეკრულებისა კოდექსში ან სხვა რამ სპეციალურ კანონში.

გ. რცხილაძე.

უძღაგლასი კვალიფიკაციის პირთათვის გასამრჯელეს მიხება, როგორც ისინი დროებით ასრულაგან უგაღლასი კვალიფიკაციის გუზაგთა გოვალაგას.

მიუხედავათ იმისა, რომ შრომის სამართლის შესახებ არსებობს მდიდარი საკანონმდებლო მასალა, ზოგიერთი საკითხი დღემდის მაინც მოუწესრიგებელია, ერთერთ ასეთ საკითხად უნდა ჩაითვალოს ამ წერილის სათაურში აღნიშნული საკითხიც.

იმ პირთ, რომელთაც თავისი სამსახურებრივი მოღვაწეობის გამო საქმე აქვსთ შრომის კანონთა კოდექსთან უძნელდებათ მოავგარონ საკითხა უმდაბლესი კვალიფიკაციის პირთათვის გასამრჯელეს მიცემის შესახებ, როცა ისინი დროებით ასრულებენ უმაღლესი კვალიფიკაციის მუშაკთა მოვალეობას. ასეთი შემთხვევები შესაძლებელია შრომის უნარიანობის დროებითი დაკარგვის დროს (დაქირავებულის ავადმყოფობა, მივლინება, შევებულება და სხვ.) შრომის კანონთა კოდექსი კი არ შეიცავს სპეციალ მუხლებს, რომელიც უმეშვეოდ ენებოდეს ამ საკითხს.

ზოგიერთები იმ აზრისა არიან, რომ უმაღლესი კვალიფიკაციის სამუშაოს შესრულებისათვის თანამშრომელს გასამრჯელო უნდა მიეცეს შესაფერი უმაღლესი განაკვეთით, — ეს პრინციპი ტარდება სხვა კვალიფიკაციის სამუშაოთა შესრულების დროსაც *) და თავისი აზრის დასასაბუთებლად ეყრდნობიან შრომის კანონთა კოდექსის მუხ. მუხ. 36 და 62. ასეთი დასკვნა, შესაძლებელია სწორიც იყოს, როგორც დამყარებული კანონის ტექსტზე (მუხ. 62), მაგრამ იგი ფრიად თეორიულია და სჭირდება განმარტება, რადგან არ იძლევა პრაქტიკულ პასუხს საკითხების მთელი რიგისას, — მაგალითად, როგორია რაოდენობა განსხვავებისა, რომელიც უნდა მიეცეს სხვადასხვა კვალიფიკაციის სამუშაოთა შესრულებისათვის, როგორ უნდა იქნეს გამიანგარიშებული ხელფასის განსხვავება —

ძირითადი სატარიფო განაკვეთის მიხედვით თუ მხედვლობაში უნდა იქნეს მიღებული დატვირთვა?

შრომის კანონთა კოდექსის არც 36 და არც 62 მუხ. არ ვეაძლევს ამ საკითხის გადაწყვეტის შესაძლებლობას. თითოეული ცალკეული კონკრეტი შემთხვევის განმარტებანი ნათლად ვერ არკვევენ ამ საამდლეო საკითხს. რ. ს. ფ. ს. რ. ზრომის სახ. კომისარიატი ამ საკითხის შესახებ მიღებულ შეკითხვების გამო განმარტავს, რომ საქმე უნდა გადაწყდეს ან მხარეთა შეთანხმებით ან საკონფლიქტო წესით, თუ ამის შესახებ არ არსებობს შესაფერი საკანონმდებლო რესპუბლიკის მიერ გამოცემული სპეციალი დადგენილება. რ. ს. ფ. ს. რ. შრომის სახ. კომისარიატში საკითხი უმდაბლესი კვალიფიკაციის პირთა დაჯილდოვებისა, როცა ისინი ასრულებენ უმაღლესი კვალიფიკაციის პირთა სამუშაოს, არ არის რეგლამენტირებული სპეციალი განმარტებით, შრომის კანონთა კოდექსის „დამატებად და განვითარებად“ გამოცემულით. ძეგლია ოლონდაც იმის შესახებ დავა, რომ შექმნილი მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავლად უნდა ჩაითვალოს მხარეთა შეთანხმება, როგორც კონფლიქტის ლიკვიდაცია, თანახმად რსტსრ შსკ განმარტებისა. მაგრამ მდგომარეობა მნიშვნელოვანად რთულდება, თუ შეთანხმება არ მოხდა და დატვირთვების პრეტენზია ღებულობს კონფლიქტის ნასიათს. იბადება საკითხი: რა ვიხელმძღვანელოთ, როცა კანონში არ არის რაიმე პრაქტიკული ჩვენება აღძრული საკითხის შესახებ.

მდგომარეობას არ აადვილებს არც ს. ს. რ. კ. შრომის სახ. კომისარიატის განმარტება, მოთავსებული 1926 წლის „შრომის საკითხების“ № 1-ში (გვ. 177, პასუხი № 10). ამ განმარტების მიხედვით გამოდის, რომ ფერშალს, რომელიც შეენაცვლა დროებით ექიმს იქ, სადაც შტატით გათვალისწინებულია მხოლოდ ეს ორი თანამდებობა, უფლება აქვს „რაღაც კომპენსაციას ზედმეტდნაწარმოები მუშაობისათვის“, თუ შრომის ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული ექიმის სამუშაოს შესრულების ვალდებულება. ამასთანავე განმარტებაში ნათქვამია, რომ კომპენსაციის ოდენობა არ არის დამოკიდებული ექიმის განაკვეთზე, არამედ წესდება მხარეთა შეთანხმებით ან საკონფლიქტო წესით.


გავარჩიოთ განმარტების პირველი ნაწილი. უნებლიეთ იბადება საკითხი: როგორ უნდა გავიგოთ „რაღაც კომპენსაცია“, რომელიც არ არის დამოკიდებული ექიმისა და ფერშალის განაკვეთთა განსხვავებაზე?

გამოთქმა „რაღაც კომპენსაციას“... იურიდიულად გამოურკვეველია და სრულიად არაფერს არ ჰქმნის — არ უფლებას და არც მოვალეობას. შენაცვლებულის დაჯილდოვებაში უარსებითესი გასამრჯელოს რაოდენობა, რაც ისევ გაურკვეველი რჩება რასაკვირველია საკითხის მხარეთა შეთანხმებით გადაწყვეტა ჰგავრავს ყველა სადაო საკითხს და კონფლიქტის დროს კი აძნელებს განმარტების პრაქტიკულად გამოყენებას. თუ მშრომელმა სასამართლოს მიმართა, იგი მოკლებულია შესაძლებლობას განსაზღვროს თავის სასარჩლო მოთხოვნილება და შრომითი სესია კი ულონოა დააკმაყოფილოს თანახმად ს. ს. რ. კ. შრომის სახ. კომისარიატის განმარტების სარჩელი, რაკი ხელთა აქვს სსრკ შსკ ზემოთ აღნიშნული განმარტება კოდექსის 62 და 36 მ. შ. შესახებ.

განმარტებაში შემდეგ ნათქვამია: „შუკთუ ფერშალი ასრულებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოს, მაგრამ ექიმის უმოკველობის გამო ასრულებდა მას უფრო მეტი რაოდენობით და უფრო ინტენსიურად, დამატებითი გასამრჯელო მას შეუძლია მიიღოს შრომის კანონთა კოდექსის 60 მუხ. თანახმად, თუ ფაქტიურად სამუშაო სრულდებოდა გაკვეთილი დროს გარეშე და მუშაობა მას დავალებული ქონდა შრომის კანონთა კოდექსის 104 და სხვ. მ. შ. წესით.“

თუ შენაცვლების ვალდებულება გამომდინარეობს შრომის ხელშეკრულებიდან და მასშია გათვალისწინებული

*) იხ. ხმელნიცკის წერილი უფრანდ „საბჭოთა იუსტიციის მოამბე“ 1925 წლის № 13 (უკრაინის).



და თვიური ხელფასიც ისეა დაწესებული, რომ შენა-
ვლების შესაძლებლობა მიღებულია მხედველობაში, რა
საუფლებლო წარმოიშვება ფერშლისათვის დამატებითი
გასამრჯელოს მიღების უფლება? რა შუაშია აქ შრომის
კანონთა კოდექსის 50 მ., რომელიც აწესებს ზედმეტი
მუშაობისთვის გასამრჯელოს რაოდენობას?

ან როგორ უნდა იქნეს შეფარდებული შრომის კა-
ნონთა კოდექსის 104 და სხვ. მ. მ., რომელნიც ითვალის-
წინებენ ზედმეტი მუშაობის დავალების წესს. ფერშლის
მოვალეობა შეენაცვლოს ექიმს თავის თავად უკვე გულის-
ხმობს მუშაობის უფრო მეტი რაოდენობით და ინტენ-
სივობით შესრულებას, როდის და წარმოიშვება ფერშ-
ლისათვის დამატებითი ჯილდოს მიღების უფლება? ამი-
სათვის საჭიროა ორი პირობა: მუშაობის ინტენსივობა
და მეტი დროის დახარჯვა ან თითოეული მათგანი ცალ-
კუთხედს უკვე თვით წარმოადგენს დამატებითი ჯილდოს
მიღების საფუძველს. ესეც სრულიად გაუგებარია. გამო-
დის, რომ თუ ფერშალი უფრო დიდ ხანს მუშაობს ექი-
მის ნაცვლად, მაგრამ არა ინტენსიურად (ან ვინ ამოწ-
მებს ინტენსივობას?), მაშინ ზედმეტი მუშაობისათვის
ჯილდოს სრულიად არ ღებულობს?

ს. ს. რ. კ. შრომის სახ. კომისარიატის განმარტება
თავდება შემდეგი დებულებით: „ბეითალ-ფერშლისათვის,
ექიმის ხელფასის ოდენობამდე დამატებითი ჯილდოს მი-
ცემა არ იქნებოდა დასაბუთებული, რადგან ექიმის განა-
კვეთის ოდენობა წესდება მისი კვალიფიკაციის გათვა-
ლისწინებით, ფერშლის კვალიფიკაცია კი სულ სხვაა.“
არ ვიცი შემთხვევა, რომ ექიმი და ფერშალი ერთნაირად
იყვნენ კვალიფიციურებულნი. მაშინ ექიმი არ იქნებოდა
ექიმი და ფერშალი ფერშალი. კვალიფიკაცია ოღონდაც
განსხვავებულია არსებობდაც და ფორმალი მხრივაც,
მაგრამ აქედან იმის დასკვნა, რომ ექიმის დროებითი შე-
ნაცვლებისას ფერშალს, რომელიც შრომის ხელშეკრულებ-
ით არ არის ვალდებული შეენაცვლოს ექიმს, ჰკარგავს
განაკვეთების განსხვავების მიღების უფლებას მხოლოდ
კვალიფიკაციის სხვაობის გამო, არ არის სწორი. რადგან
შრომის კანონთა კოდექსის 62 მ. მოითხოვს უმაღლესი
კვალიფიკაციის მიხედვით დაჯილდოვებას, როდესაც
სრულდება სხვადასხვა კვალიფიკაციის სამუშაო. ხოლო
თუ დავუშვებთ, რომ ს. ს. რ. კ. შრომის სახ. კომისარია-
ტის განმარტება ფერშლის კვალიფიკაციის განსაზღვრი-
ნას გამოდიოდა იმ მოსაზრებიდან, რომ ფერშალს არ
აქვს ექიმის დიპლომი, ასეთი დანასკვიც არ არის სწო-
რი, რადგან ეწინააღმდეგება შრომის კანონთა კოდექსის
63 მ. ამ მუხლის ძალით დაქირავებულს, იმაზედ დამოუ-
კიდებლად, აქვს თუ არა მას სამეცნიერო ხარისხი (დიპ-
ლომი) ან „სპეციალი მომზადების მოწმობა“ უფლება
აქვს „ისეთი სამუშაოს შესრულებისათვის, რომლისთვისაც
საჭიროა სპეციალი ცოდნა ან განსაკუთრებული მომ-
ზადება“ მოითხოვოს თავის შრომისათვის გასამრჯელო
„შრომის ამ კათეგორიისათვის დაწესებული რაოდენობით“.
რა შუაშია აქ კვალიფიკაცია, როცა საფუძვლად დად-
ებულია „შრომის უწყებელი კათეგორიისათვის“ დაწესე-
ბული შრომის დაჯილდოვების პრინციპი დამოუკიდებ-
ლად რაიმე პირობებზედ და ამასთანავე დაჯილდოვება
სავალდებლოა ყოველ შემთხვევაში—დროებითი ხასია-
თის გარემოებაშიც (შენაცვლება) და მუდმივი საშტატო
სამუშაოს შესრულებისასაც (რადგან შრომის კანონთა კო-
დექსის 63 მ. არავითარ შეზღუდვას არ შეიცავს).

მაშასადამე, განაკვეთის განსხვავების მიღების უფ-
ლება ფერშალს არ აქვს, „რომელიც კომპენსაციის“
გამორკვევა შეუძლებელია. მაშინ სრულიად გაუგებარია,
რისა უფლება აქვს იმ ფერშალს, რომელიც თავის საუ-
ბედლოდ, შეენაცვლა ექიმს. განა უკეთესი არ იქნებოდა
ფერშლისათვის პრეტენზიაზედ სრულიად უარი ეთქვათ,
როგორც ამას მოიქმედებდა ამიერ-კავკასიის შრომის სახ.
კომისარიატი, თავისი № 64 დადგენილების 1 მ. მითი-
თებით, რომლის ძალით ფერშალს არავითარი უფლება

არა აქვს დამატებითი ჯილდოს მიღებისათვის, რადგან
„თავისი სამსახურის ხასიათით იგი მოწოდებულია შეე-
ნაცვლოს ექიმს“.

ამიერ-კავკასიის შრომის სახ. კომისარიატმა შკე გან-
მარტებისა და დამატების სახით ამ საკითხს უძღვნა ორი
დადგენილება: დადგენილება № 64 1923 წლის 1 ავგის-
ტოს თარიღით, რომელიც შეცვლილი იქნა 1926 წლის
18 თებერვლის № 9 დადგენილებით.

ორივე დადგენილება გამოცემული იქნა იმ მიზნით,
რომ ბოლო მოღებოდა გაუგებრობას „იმ პირთა დაჯილ-
დოებისას, რომელნიც დროებით შეენაცვლებიან ხოლმე
უფრო მაღალი კვალიფიკაციის მუშაკთ“.

იმისათვის, რომ გამოირკვეს, თუ როგორ უნდა მო-
წერიდეს „გაუგებრობა“ ამ საკითხში ამიერ-კავკასიის
საკავშირო რესპუბლიკებში, განვიხილოთ თითოეული დად-
გენილება ცალკეულად. მოვიყვან დადგენილების № 64
1 მ. ტექსტს:

„თუ უმდაბლესი კვალიფიკაციის მუშაკს, რომელ-
მაც დროებით შეენაცვლა უმაღლესი კვალიფიკაციის მუ-
შაკს, უჭირავს მოადგილის, თანაშემწის თანამდებობა ან თა-
ვისი მუშაობის ხასიათით საერთოდ მოწოდებულია შეე-
ნაცვლოს უმყოფელს (ავთიმყოფის შეგებულების და სხვ.
გამო), მაშინ მას გასამრჯელო ეძლევა თავისი მუდმივი
ტარიფის მიხედვით“.

ამგვარად, აღებულია სამსახურებრივი თანახელ-
ქვეითობის პრინციპი. მოადგილე-თანაშემწის მოვალეობა
ჰგულისხმობს გამვის, ხელმძღვანელის და უფროსის სამუ-
შაოს შესრულებას, მათი უმყოფელობის დროს საგანგებო
ჯილდოს მიუტყემლად.

1 მუხლის შემდეგი შინაარსი, რომელიც აწესებს
შენაცვლების მოვალეობას „საერთოდ თავისი სამსახურის
ხასიათით“, უსაზღვროდ აფართოვებს იმ პირთა წრეს,
რომელნიც მოწოდებულნი არიან შეასრულონ უმყოფელ-
თა სამუშაო და ამით უფლებას უსაზღვრს მშრომელთ მიი-
ღონ რამე დამატებითი ჯილდო ყველა შემთხვევაში
უქლისად. დადგენილებაზე № 64 დამყარებული ძნელია
დამტკიცება, რომ ორთქმავლის მეღუმელეს უფლება აქვს
მიიღოს დამატებითი ჯილდო მემანქანის თანაშემწის შე-
ნაცვლებისას, უარყოფა კი, რომ მეღუმელე „საერთოდ
თავისი სამსახურის ხასიათით“, არ არის მოწოდებული
შეასრულოს მემანქანის ავადმყოფი თანაშემწის მოვალეო-
ბა. შეუძლებელია. არც დადგენილების № 64 2 მუხლი
შველის მდგომარეობას, რომელიც მუხლიც ამბობს, რომ
დროებით შენაცვლებული თანამდებობის განაკვეთით და-
ჯილდოვება სავალდებულოა მხოლოდ იმ შემთხვევებში,
როცა შემცვლელი ასრულებს სამუშაოს, რომელიც არ
ეკუთვნის იმ მოღვაწეობის დარგს, რისთვისაც იგი და-
ქირავებულია. ამ მუხლის ტექსტი აღებულია შრომის კა-
ნონთა კოდექსის 64 მუხლის პირველი ნაწილიდან, რომ-
ლითაც აღკრძალულია დაქირავებულისათვის დავალება
ისეთი სამუშაოს, რომელიც არ ეკუთვნის იმ მუშაობის
დარგს, რისთვისაც მოწვეულია და ეს ნებადართულია
მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში „მოსალოდნელი
საშიშროების ასარიდებლად“.

დადგენილების № 64 2 მუხლი კი, რომელიც არ
შეიცავს არავითარ შეზღუდვას, რაც აღნიშნულია შრო-
მის კანონთა კოდექსის 36 მუხლში, მიმართულია მშრო-
მელთა უფლებების მინიმუმის შემცირებისაკენ, და, რო-
გორც მშრომელის ჰდგომარეობის, გამაუარესებელი შრო-
მის კანონთა კოდექსის მოთხოვნილებებთან შედარებით,
ბათილად უნდა ჩაითვალოს. 62 მ. შესაძლებლად სცნობს
ისეთი სამუშაოს დაკისრებას, რომელიც არ ეკუთვნის იმ
მუშაობის დარგს, რისთვისაც დაქირავებულია მოწვეულია
დამოუკიდებლად ყოველგვარ პირობებზედ.

უკეთეს № 64 დადგენილების 2 მუხლს გათვალის-
წინებული ჰქონდა მუშაობის დაკისრება განსაკუთრებულ
გარემოებაში მოსალოდნელი საშიშროების ასაცილებლად,
მაშინ მუხლი არ აძლევს თანამშრომელს შესაძლებლობას

მიიღოს რაიმე დამატებითი ჯილდო უმაღლესი კვალიფიკაციის სამუშაოს შესრულებისათვის. დადგენილების № 64 პრაქტიკული შეფარდებისას ძნელია გარკვეული შინაარსი აღმოაჩინო ისეთს წყალ-წყალა იურიდიულ ცნებებში, როგორიც არის „მოღვაწეობის დარგი“ და სხ.

ამიერი კავკასიის შსკ № 9 დადგენილების არ შეუტანია არავითარი გარკვეულობა ამ საკითხში. იგი თითქმის უცვლელად სტოვებს № 64 დადგენილების 1 მუხლს, ხოლო 2 მუხლით აწესებს ხელფასის მიღების უფლებას სატარიფო განაკვეთების განსხვავების ფარგლებში „უმაღლესი კვალიფიკაციის ტექნიკური მუშაკის მიერ უმაღლესი კვალიფიკაციის ტექნიკური მუშაკის დროებითი შენაცვლებისას“, თუ „საერთოდ მუშაობის ხასიათის მიხედვით“ იგი მოწოდებული არ არის შეენაცვლოს უწყოფელს. განმეორებულია მოჩვენებითი უფლება სატარიფო განაკვეთების განსხვავების მიღებისა და ისიც მხოლოდ უმაღლესი კვალიფიკაციის ტექნიკური მუშაკის მიერ უმაღლესი კვალიფიკაციის ტექნიკური მუშაკის შენაცვლებისას. მაშინ კი, როცა უმაღლესი კვალიფიკაციის ტექნიკური მუშაკი შეენაცვლება უმაღლესი კვალიფიკაციის პასუხისმგებელ მუშაკს განსხვავების მიღების უფლება № 9 დადგენილების ძალით მას ალბად არ ჰქონია. იგივე პრინციპია გატარებული სპეციალისტის მიმართ: ერთი სპეციალისტის მიერ მეორე სპეციალისტის შენაცვლებისას, როცა უკანასკნელი არ აკმაყოფილებს ამ დადგენილების 1 პუნქტის პირობებს და ლეზულობს უმაღლეს ხელფასს, შენაცვლების დროისათვის ჯილდო წესდება მხოლოდ ძირითადი სატარიფო განაკვეთის განსხვავების საზღვრებში.

ხოლო თუ სპეციალისტი შეენაცვლა პასუხისმგებელ მუშაკს, რომლის ძირითადი სატარიფო განაკვეთი მეტია ვიდრე სპეციალისტის ძირითადი სატარიფო განაკვეთი, მაშინ გამოურკვეველია—აქვს თუ არა უფლება სპეციალისტს მიიღოს განსხვავება ან თუ აქვს ამის უფლება, რამდენი უნდა მიიღოს, როცა არ არის № 9 დადგენილების 1 მუხლში აღნიშნული პირობები (თუ ასეთი პირობების წარმოდგენა სეერთოდ შესაძლებელია პრაქტიკულად).

დასასრულ, № 9 დადგენილების 4 მუხლს ალბად მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ მის შემოღებამდე მოქმედი № 64 დადგენილებით შეუძლებელი იყო მოწესრიგება იმ „გაუფებრობათა, რომელთაც იწვევდა უმაღლესი კვალიფიკაციის დროებით უწყოფელ მუშაკთა მონაცვლე პირობათვის ხელფასის მიცემა“ და ამიტომ იძლევა რჩევას, რომ № 9 დადგენილება შეფარდებული იქნეს ყველა შემთხვევაში უკლისად, რომელიც არ არის მოწესრიგებული მის გამოქვეყნებამდე“. № 9 დადგენილების პრაქტიკული მნიშვნელობა უკვე საკმაოდ გამოირკვა,—იმის ხელმძღვანელობა ფრიად გაძნელებულია.

უფრო მეტი გარკვეულობა შეაქვს ცბ ნ-ის 12.VIII.24 № 1656 ბრძანებას რკინისგზის ტრანსპორტის მუშაკთა მიერ იმ თანამდებობათა შენაცვლებისას, რომელთათვის დაწესებულია, პერსონალური განაკვეთები. თუ იმ პიროს შენაცვლება, რომელსაც ეძლევა სპეც განაკვეთი მეორე სპეცის მიერ, რომელიც არის მისი პირდაპირი მოადგილე-თანაშემწე, გამოწვეულია სამსახურებრივი ხასიათის გარემოებით, როგორცაა მივლინება და სხვ., მაშინ მოადგილე-თანაშემწე დამატებით არავითარს ჯილდოს არ ლეზულობს, მაგრამ თუ კი უწყოფელი არ ასრულებს არავითარს სამსახურებრივს სამუშაოს, „აზამედ იმყოფება სამსახურის გარეშე—მაგალითად ავთიმყოფობა, დროებითი მივლინება ისეთ სამუშაოზე, რომელიც არ არის დაკავშირებული მის პირდაპირ მოღვაწეობასთან, ან სხვა დაწესებულებაში და სხ.“—მოადგილეს ეძლევა განსხვავება თავისი და შენაცვლებული თანამდებობის ძირითადი სატარიფო განაკვეთებისა იმაზედ დამოუკიდებლად, ლეზულობს თუ არა მოადგილე ან თანაშემწე „თავის პერსონურ სპეც განაკვეთს თუ მხოლოდ გასამრჯელოს ტა-

რიფით“. განსხვავების დამატებითი მიცემა წესდება ტოლკულ შემთხვევაში, გზების უფროსის მიერ და უთანხმდება რკინისგზების პროფკავშირს პერსონურ ხელფასის მიმღებ პირთათვის არსებული წესით.

ამ სადაო საკითხთან დაკავშირებულ შემთხვევათა მრავალნაირობა და შრომის ძირითად კანონთა კონტრის გამოცემამდე მათი მოწესრიგების საძნელე მოათხოვს განსაკუთრებული განმარტების აუცილებელ საჭიროებას, რათა საბოლოოდ გადაწყვეტილი იქნეს პრაქტიკულ მუშაკთათვის ეს მტკივნეული საკითხი.

ზ. ნარიშანოვი.

შრომის საქმეებზე გადაწყვეტილებათა განსაზღვრების წესის გაუმჯობესების შესახებ*).

ამხ. ლარინის წერილი გახდა საერთო მსჯელობის საგნად, განსაკუთრებით სასამართლოს მუშაკთა, პროფესიონალურ კავშირებში მომუშავეთა და სამეურნეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელების წრეებში.

პროფკავშირთა საბჭოს მიერ მოწყობილი თათბირი და პერიოდულ განოცემებში მოთხსენებული წერილები დამადასტურებელია ამ საკითხისადმი დიდი ინტერესისა.

უდავოა, რომ შრომის საქმეთა მოძრაობის გაქანურებასთან, „ვოლოკიტასთან“ უნდა იქნეს წარმოებული ბრძოლა. საჭიროა ღონისძიებანი, რომ სასამართლოს ყველა საქმე, — შრომის, სისხლის სამართლის, სამოქალაქო და საბინაო, რაც შეიძლება ადრე დასრულდეს წარმოებით. შრომის საქმეები კი მომეტებული სიჩქარით უნდა ირჩეოდნენ. ამაზე ორი აზრი შეუძლებელია. როგორ უნდა მოგვარდეს საქმე, რომ მშრომელი-მომჩივანი დარჩეს ეპიყოფილი და დამპირავებელმა პასუხი აგოს მომჩივის წინაშე მხოლოდ კანონიერ ფარგლებში, როგორ უნდა შემცირდეს თვით კონფლიქტების რიცხვი, ეს საკითხები დიდი მნიშვნელობის და ყურადღების საკითხებია, მაგრამ ამჟამად ჩვენ ინტერესს შეადგენს მხოლოდ საკითხი შრომის საქმეების გაქიანურებასთან ბრძოლისა.

ჩვენი მსჯელობის და საერთო ღონისძიებათა გამოწახვის პროცესში ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ერთი გარემოება, თუ გვსურს, რომ მართლმსაჯულებას ჰქონდეს მტკიცე ნიადაგი. ეს ისაა, რომ მხარეები პროცესში, როგორც მშრომელი-მოსამართლე, ისე სახელმწიფო ორგანო მოპასუხე უნდა იყვნენ ჩაყენებული უფლების დაცვის თანაბარ პირობებში. თუ საქმის სწრაფი გარჩევა უფრო მნიშვნელოვანი საკითხია, ვიდრე მისი სწორი გადაწყვეტა, ამ შემთხვევაში საკასაციო წესით საქმის განხილვა—განსჯევა უნდა მოისპოს ორივე მხარისათვის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქმის სწორი გარჩევა უფრო მნიშვნელოვანი პირობაა და ამიტომ საკასაციო ინსტანციის განსახილველად საქმის განსაზღვრება უნდა დარჩეს ორივე მხარისათვის, ხოლო გაქიანურების წინააღმდეგ უნდა იქნეს მიღებული შესაფერის ღონისძიება.

ის შეხედულება, რომ უფლება საქმის საკასაციო წესით განსაზღვრებისა უნდა ჰქონდეს მხოლოდ მშრომელს, ეწინააღმდეგება მხარეთა თანასწორობის პრინციპს სასამართლო პროცესში. ან ორივე მხარეს უნდა ჰქონდეს გადაწყვეტილების განსაზღვრების უფლება, ან არცერთს მხარეს არ უნდა ჰქონდეს ასეთი უფლება. მაგრამ მიუხედავად ამისა მოყვანილი შეხედულების გაზიარება შეიძლებოდა, რომ იყოს იმის ვარანტია, რომ სასამართლო არ შეეცდება საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დროს, რომ სასამართლო ყველა საკითხს სწორათ და კანონებთან შეფარდებით გადაწყვეტს. მაგრამ როდესაც ასეთი ვარანტია არ არის, შეუძლებელია იმის დასაბუთება, რომ

* დისკუსიის წესით.

საქართველო
საქართველო

ერთი მხარე იყოს მოკლებული განსაზღვრების უფლებას, მეორეს კი ასეთი უფლება ჰქონდეს. გარდა ამისა გაუგებარია, რათ უნდა ჰქონდეს მინაჭებული ასეთი უპირატესობა ერთ მხარეს. იმ მდგომარეობის დაშვება, რომ მხოლოდ მოსარჩლეს ჰქონდეს უფლება გადაწყვეტილების განსაზღვრებისა, იმაზე მიუთითებს, რომ სასამართლოს არ შეუძლია მიუდგომლობა გამოიჩინოს. გამოდის, რომ შრომის სასამართლოს შეუძლია არ მიუდგეს მოპასუხის წინაშე უელახოს მშრომელის ინტერესები.

„საბჭოთა სამართლის“ 5-№-ში უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარის მიერ მოთავსებულ წერილში მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, რომ საკასაციო წესით გაუქმებულ საქმეთა პროცენტი საგრძნობია, მაგრამ ამავე დროს იქცევა ყურადღებას, რომ ეს პროცენტი თანდათან მცირდება. ეს ცნობები იმის მაჩვენებელია, რომ საკასაციო ინსტანცია დიდ სამახსოვრს უწყევს მართლმსაჯულების განმტკიცებას, რომ საკასაციო ინსტანციის მოღვაწეობას პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებათა გასინჯვის სფეროში აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს. საკასაციო ინსტანციას მეტი მნიშვნელობა აქვს იმ მუშაკებისთვის, რომლებიც მართლმსაჯულებას ემსახურებიან პროვინციაში. პროვინციაში მოქმედ სასამართლოს გადაწყვეტილებათა განსაზღვრების წესის გაუქმება ჩააყენებს, მოსამართლეებს და მართლმსაჯულებას მძიმე მდგომარეობაში.

შრომის კანონმდებლობა ვითარდება დიდის სისწრაფით, გამოდის აუარებელი დადგენილებები და განმარტებები და მოსამართლეს უძნელდება ის შეისწავლოს და მასში გაერკვიოს ისე, რომ მის გაგებაში არ შეეძლოს კანონების შესწავლისათვის და გასაგებათ ხელს უწყობდეს მოსამართლეს პირობები. ამ მხრივ ტვილისში მომუშავენი უფრო კარგ პირობებში არიან, რადგანაც თვით შემადგენლობა სასამართლოს კვალიფიკაციის მხრივ უფრო მაღლა სდგას; ამასთანავე მას აქვს მეტი შესაძლებლობა გაერკვიოს რთულ და ძნელად გასაგებ საკითხებში და მიიღოს განმარტება სათანადო ორგანოებისა. ამას კი მოკლებულნი არიან პროვინციაში მომუშავენი. გარდა ამისა ტვილისში მოსამართლეს შეუძლია იმოვოს სათანადო ლიტერატურა ყოველფე საკითხზე. ყველა ეს მაინც ვერ წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ ყოველი საქმე სწორად იქნება გადაწყვეტილი, მაგრამ როგორც უნდა იყოს ამის მიზეზი უნდა ვაღიაროთ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებათა გასინჯვა საკასაციო ინსტანციის მიერ მეტს გარანტიას იძლევა, რომ გამოჩინილი იქნება უფრო სწორი გადაწყვეტილება, ვიდრე მაშინ, როდესაც ასეთი შესაძლებლობა არ არის.

სასამართლოს მოვალეობა მდგომარეობს იმაში, რომ სწორად შეუფარდოს კანონები საქმეს. საქმის განხილვისა და კანონების შეფარდების პროცესში შესაძლებელია შეცდომები. თუ ეს შეცდომები არ იქნენ გასწორებულნი, ჩვენ არ გვეჩვენება დაცვა რევოლუციური კანონიერებისა სასამართლოს ხაზით. შეცდომებისაგან არც ერთი სასამართლო არ არის უზრუნველყოფილი. განა არ არის ისეთი საქმე, რომელიც იქნა გატარებული სასამართლოს ორ ინსტანციაში, მაგრამ მიუხედავად ამისა მან მაინც ვერ მიიღო სწორი მიმართულება? ასეთი შემთხვევები არის. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც პირველმა ინსტანციამ სწორად გადასწავიტა საქმე, მეორე ინსტანციამ კი შეცდომით გააუქმა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება.

ეს შემთხვევები იმის მაჩვენებელია, რომ სასამართლო არ არის თავისუფალი შეცდომებისაგან, მით უფრო არ არის ასეთისაგან თავისუფალი პირველი ინსტანციის სასამართლო, რომელიც ნაკლებათ გამოცდილია, ვიდრე საკასაციო ინსტანციის შემადგენლობა.

როგორაც უნდა ჰქონდებოდეს სასამართლოს საქმეები, საბოლოო ანაარიშით მართლმსაჯულება შეიძლება განმტკიცებულ იქნეს მხოლოდ დაბალი საუფხურის სასამართლოების გადაწყვეტილებათა გასინჯვის გზით საკასაციო წესით.

ერთ ან ორივე მხარისათვის პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების განსაზღვრების გაუქმება ვერ მოგვეცემს იმის გარანტიას რომ მართლმსაჯულებას გამოეცლება ნი-აღადგი. ამის გარანტიას, რა თქმა უნდა, ვერ მოგვეცემს რესპუბლიკის პროკურორის მიერ საჩივრის განხილვა ზედამხედველობის წესით. საქმის ამ სტადიაში განხილვამ არ იცის მხარეებისაგან ახსნა-განმარტების მიღება, რაც აადვალებს იმის გამოკრევეს, რომდენად სამართლიანია გადაწყვეტილება. გარდა ამისა აღსანიშნავია შემდეგი გარემოება. ამ ჟამდაც, როდესაც არის სასამართლოს გადაწყვეტილებათა განსაზღვრება, დამთავრებული საქმის განხილვა ზედამხედველობის წესით დიდხანს გრძელდება. ამის მიზეზი, ფეიქრობთ იმაში მდგომარეობს, რომ პროკურატურა დიდად დატვირთულია. აქედან ცხადია, რა მდგომარეობა შეიქმნება მაშინ, როცა გადაწყვეტილებათა განსაზღვრების წესი გაუქმებულ იქნება.

„ ფარცხალაიშვილი.

კომლის და მის წევრთა უფლებების მოხსულობა და მოქმედების საფუძველი.

(დასასრული)

9.

კომლის საადგილმამულო უფლებებთან, რომლებსაც მოქმედება დამოკიდებულია მის მიერ საქვეყნო მოვალეობის ასრულებაზე კანონით განსაზღვრული მიმართულებით, დაკავშირებულია უშუალოდ კომლის ცალკე წევრის საადგილმამულო უფლებები.

ძირითადი პირობა კომლის წევრის საადგილმამულო უფლების მოქმედებისათვის მდგომარეობს იმაში, რომ წევრი უნდა იღებდეს მონაწილეობას კომლის მეურნეობაში. თუ ასეთი მონაწილეობა არ არის კომლის წევრის მხრივ, მის საადგილმამულო უფლებებს შეიძლება დაკარგოს მოქმედების ძალა. მაგრამ ამ საერთო პრინციპმა იცის გამოწკარისი, რომელიც თავის გამართლებას ჰპოვობს საპატიო მიზეზებში. არის ასეთი მიზეზები, რომლებსაც გამო კომლის ამა თუ იმ წევრს არ ეკარგება უფლება მიწაზე და ამ უფლებასთან უშუალოდ დაკავშირებული სხვა უფლებები მიუხედავად იმისა, რომ ის არ იღებს მეურნეობაში მონაწილეობას არც პირადი შრომით და არც სახსრით. ასეთებია: სამხედრო სამსახურში მობ-ლიზაციით ან ჩვეულებრივი წესით გაწვევა, ან საბჭოთა და საზოგადოებრივ თანამდებობაზე არჩევა, ავადმყოფობა და სასწავლებელში ყოფნა. მაგრამ აღნიშნული მიზეზების გარეშე არის სხვა საპატიო მიზეზიც, რომელიც სულ ცალკე დგას. ესაა გარედ სამუშაოზე წასვლა. თვით სიტყვა გარედ სამუშაოზე წასვლა მიუთითებს იმაზე, რომ კომლის წევრს, რომელიც გარეშე სამუშაოზეა წასული, აქვს შესაძლებლობა პირადად მიიღოს მეურნეობაში მონაწილეობა, მაგრამ არის ობიექტიური პირობები, რომლებიც აიძულებენ მას ამ საშუალებას მიმართოს. გარეთ სამუშაოზე წასვლა უნდა იყოს გამოწვეული სახსრის უქონლობით და მისი შეძენის საჭიროებით, რომ ის ჩაითვალოს საპატიო მიზეზად. აქედან ცხადია რომ კომლის წევრის წასვლა გარედ სამუშაოზე არა იმ მახნით, რომ სახსარი იმოვნოს და მით გააძლიეროს დაუძლურებული მეურნეობა, ვერ ჩაითვლება საპატიო მიზეზად, რომ ასეთი წევრი არ იღებს მონაწილეობას კომლის მეურნეობაში პირადი შრომით საპატიო მიზეზთა რიგში დგას აგრეთვე კომლის წევრის მოხუცებულობა და მცირეწლოვანობა.

გარეშე აღნიშნულ საპატიო მიზეზებისა, რომლებიც ამართლებენ კომლის წევრის იმ მოქმედებას, რომ ის არ

*) იხ. „საბჭოთა სამართალი“ № 8.

იღებს მონაწილეობას მეურნეობაში პირადი შრომით, არ არის სხვა საპატიო მიზეზი, რომელიც არ იწვევდეს მიწაზე კომლის წევრის უფლების დაკარგვას.

10.

კომლის წევრის ძირითადი საადგილმამულო უფლება — უფლება მიწაზე აძიევის მას საშუალებას მიიღოს მონაწილეობა მეურნეობაში. კომლის წევრის მხრივ კომლის მეურნეობაში მონაწილეობის მიღება პირადი შრომით ან სახსრით არის საუფუძველი მისი მოთხოვნისა — გამოეყოს მას და მის ოჯახის იმ წევრთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც მოკლებულნი არიან შესაძლებლობას მეურნეობისათვის შრომა გასწიონ, საერთო შრომით შექმნილი ღირებულებიდან ნაწილი. იმის განსაზღვრა, თუ რა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად უნდა იქნეს განაწილებული კომლის წევრთა საერთო შრომით შექმნილი ღირებულებანი (შრომის ნაყოფი — მოსავალი) დაძოკიდებულია იმაზე, რა შეძლებისაა კომლი. უპირველესად ყოვლისა დასაკმაყოფილებელია პირველი აუცილებლობის მოთხოვნილებანი და მხოლოდ ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შემდეგ შეიძლება დაისვას საკითხი სხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა, თუ კი მეურნეობის არსებობისა და განვითარების ინტერესი იძლევა ასეთ შესაძლებლობას.

კომლის ამა თუ იმ წევრის პირად და ოჯახის წევრთა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების სფეროში, დავა იშვიათად აღიძვრის, რადგან კომლის წევრები ოჯახურად სცხოვრობენ. მაგრამ თუ ამ ნიადაგზე აღიძრა დავა, მისი გადაწყვეტის შესაძლებლობაც არც იმდენად ადვილი და რთული.

სირთულე კომლისა და მის წევრთა ურთიერთობისა და მათი ინტერესების განსაზღვრისა წარმოიშობა მაშინ, როცა დაისმება ვადასაწყვეტად საკითხი კომლის გაყრისა ან კომლიდან მისი წევრის გამოყოფის შესახებ. ამ საკითხებს აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა და ინტერესი. კანონის სათანადო მუხლის რედაქცია არ იძლევა საშუალებას ამ საკითხებს სწორად მიუღვეთ. საკითხის სწორი დაყენება შესაძლებელია იმ პირობაში, თუ კანონის შესაფერი მუხლის აზრის გასაგებად მოვიმარჯვებთ მიწის სამართლის საერთო პრინციპებს.

კანონის დადგენილებით კომლის გაყრის მოთხოვნის უფლება არა აქვს იმას, ვისაც არ შესრულებია 18 წელი, და აგრეთვე იმას, ვისაც არ მიუღია მეურნეობაში მონაწილეობა შრომით ან სახსრით. აზრი ამ დადგენილებისა ისაა, რომ კომლის სრულწლოვან წევრს შეუძლია კომლის გაყრა მოითხოვოს, თუ კი მას არ დაჰკარგვია უფლება მიწაზე, ასეთი შეხედულების სისწორე ამკარა იქნება, თუ მივიღებთ მხედველობაში კანონის იმ პირობას, რომელიც აკლებს კომლის წევრს უფლებას კომლის გაყრა მოითხოვოს (არ მიღება მონაწილეობისა კომლის მეურნეობაში შრომით ან სახსრით სამი წლის განმავლობაში), და აგრეთვე იმ დადგენილებას, რომელიც ჩამოთვლის საპატიო მიზეზებს, რომლების გამო კომლის წევრებს მეურნეობაში მონაწილეობის მიღება არ მოეთხოვება (სამხედრო სამსახურში მობილიზაციით ან ჩვეულებრივი წესით გაწვევა, საბჭოთა და სასოფლისეობრივ თანამდებობაზე არჩევა, ავადმყოფობა და სასწავლებელში ყოფნა).

ამრიგად კომლის გაყრის უფლება უშუალოდ არის დაკავშირებული უფლებასთან მიწაზე. კომლის წევრი კი ჰკარგავს უფლებას მიწაზე, თუ ის საპატიო მიზეზის გარეშე არ იღებს მონაწილეობას მეურნეობაში საკუთარი შრომით ან სახსრით. ამ უფლების დაკარგვისათვის დაწესებულია ხანდაზმულობა — სამი წელიწადი. ამის შესახებ გვაქვს კანონში შესაფერი მითითება, სახელდობრ, როდესაც ლაპარაკია კომლის იმ წევრზე, რომელიც გარეთ საშუალოზე წასული. ასეთ წევრს მოეთხოვება დაუბრუნდეს მეურნეობას და შეუდგეს მასში მონაწილეობის მიღებას, ვიდრე სამი წელიწადი გავიდოდეს დღიდან მისი გარეთ საშუალოზე წასვლისა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის დაჰკა-

რგავს უფლებას მიწაზე (მიწ. კოდ. 13 მუხ.). კანონის ეს დადგენილება გვაძლევს საშუალებას შემდეგი დასკვნა გამოვიტანოთ: რახან უფლება მიწაზე ეკარგება კომლის იმ წევრს, რომელიც გარეთ საშუალოზე ყოფნის გამო ვერ იღებდა მონაწილეობას კომლის მეურნეობაში და არ დაუბრუნდა მეურნეობას სამი წლის განმავლობაში დღიდან გარეთ საშუალოზე წასვლისა, არ შეიძლება ცნობილი იქნეს უფლება მიწაზე კომლის იმ წევრზეც, რომელიც საპატიო მიზეზის გარეშე არ იღებდა მონაწილეობას მეურნეობაში პირადი შრომით და სახსრით სამი წლის განმავლობაში. ეს სამი წელიწადი არის ის პირობა, რომელიც იწვევს კომლის იმ წევრის მიწაზე უფლების დაკარგვას, რომელიც არ იღებდა მონაწილეობას მეურნეობაში არა პატივსაღებ მიზეზით, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ კომლის არ შეუძლია აღძრას საკითხი კომლის შემადგენლობიდან იმ წევრის გამორიცხვის შესახებ, რომელიც არ იღებს მონაწილეობას მეურნეობაში არა პატივსაღებ მიზეზით, ვიდრე ეს ვიდა გავიდოდეს. ცხადია, იმას, ვისაც დაკარგული აქვს უფლება მიწაზე, არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს უფლება კომლის გაყრა მოითხოვოს. აქედან ცხადია აგრეთვე ისიც, რომ იმას, ვისაც აღნიშნული მიზეზით დაკარგული აქვს უფლება მიწაზე, არ აქვს კომლის წევრის უფლებებიც, რადგან უკანასკნელი არიან დაკავშირებული მიწაზე უფლებასთან და მათი მოქმედება საესებით დაძოკიდებულია მიწაზე უფლების მოქმედებაზე. რახან ეს ასეა, შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ კანონის მეორე პირობა, რომ კომლის გაყრის მოთხოვნის უფლება არ აქვს აგრეთვე იმას, ვისაც არ მიუღია მონაწილეობა მეურნეობაში პირადი შრომით ან სახსრით სამი წლის განმავლობაში, სრულებით ზემოეტი. კომლის მეურნეობაში მონაწილეობის მომენტი კიდევ ექნებოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა კომლის გაყრის საკითხში იმ პირობაში, ამაში რომ ჰქონდეს არა უარყოფით ფორმაში გამოხატულობა, არამედ დადებითი, ე. ი. ეს მომენტი რომ იყოს გამოთქმული შემდეგი სახით: კომლის გაყრის მოთხოვნის უფლება აქვს იმას, ვისაც მიუღია მონაწილეობა მეურნეობაში პირადი შრომით ან სახსრით სამი წლის განმავლობაში. უფლება მიწაზე კომლის თვითველ წევრს ეკუთვნის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უფლება კომლის გაყრის მოთხოვნისა აქვს კომლის თვითველ წევრს. კომლის გაყრის მოთხოვნის უფლების მოპოვებისათვის საჭიროა ძირითადი პირობა — კომლის წევრის სრულწლოვანობა. მაგრამ მხოლოდ ეს პირობა არ არის საკმარისი კომლის გაყრის მოთხოვნის კანონიერებისათვის. ეს ჩანს კანონის იმ დადგენილებიდან, რომელიც განსაზღვრავს იმ პირობებს, როდესაც ასეთ უფლებას არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი: არა სრულწლოვანობა და კომლის მეურნეობაში მონაწილეობის არ მიღება პირადი შრომით ან სახსრით სამი წლის განმავლობაში. ეს პირობები დადებითი სახით გამოთქმული (პირველი პირობა — სრულწლოვანობა მეორე პირობასთან მიწაზე უფლებასთან დაკავშირებული) მაინც არ არის საკმარისი კომლის გაყრის მოთხოვნისათვის. წინააღმდეგი რომ დაუშვათ, გამოვა, რომ კომლის გაყრის მოთხოვნა შეუძლია წარადგინოს ისეთ წევრსაც, რომელსაც სრულებით არ მიუღია მონაწილეობა მეურნეობაში, ან ისეთ წევრს, რომელიც თუმცა წინედ იღებდა მონაწილეობას მეურნეობაში, მაგრამ ამ ჟამად სრულებით არის მოკლებული შესაძლებლობას ასეთი მონაწილეობა მიიღოს. კომლის პირველი კატეგორიის წევრთ ეკუთვნიან მეკომურად და დაქორწინებით კომლში მიღებული პირობები, ამ პირთ ენიჭებათ უფლება კომლის საერთო სარგებლობის მიწაზე, რადგანაც ისინი ხდებიან კომლის სრულწლოვანი წევრები და ეს სრულწლოვანიობა გამოხატავს არა კომლის ყველა წევრთან ყველა უფლებაში გათანაბრებას, არამედ კომლის საერთო სარგებლობის ქონებასა და მიწაზე სარგებლობის თანაბარ პირობებს. თუმცა კანონის ის დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს კომლის გაყრის მოთხოვნის ორ პირობას, თავისი შინაარსით იძლევა ფორმალურ შესაძლებლობას კომლის გაყრის




სებობისა და კეთილდღეობისათვის, რომ კანონმდებელს არ შეეძლო არ წამოეყენებია სრულწლოვანობა, როგორც ისეთი პირობა, ურომლისოდ კომლის გაყრის მოთხოვნას არ შეიძლება ჰქონდეს ვასავალი. ამ პირობაში ჩაქსოვილია ისეთივე აზრი, რითაც საბუთდება საზოგადოდ ფიზიკურ პირზე ქმედობაუნარიანობის ცნობა. სრულწლოვანობა ცნობილია ისეთ გარემოებათ, როდესაც ფიზიკურ პირს შეუძლია გაუწიოს ანგარიში თავის მოქმედებას და გაითვალისწინოს ის შედეგები, რაც უნდა მოჰყვეს მათ, ამ მოქმედებას. კომლის გაყრის საკითხი არის კომლის მეურნეობის დაარსებისა და არსებობის საკითხი. საკითხის ასეთი მნიშვნელობა ცხადჰყოფს იმ გარემოებას, რომ მიდგომა კომლის გაყრის საკითხისადმი ფორმალურად არ შეიძლება. საჭიროა გათვალისწინება ყველა შედეგის, რაც შეიძლება მოჰყვეს კომლის გაყრას. საჭიროა აგრეთვე ანგარიში იმის მიხედვით, კომლის გაყრის მოთხოვნას რა საფუძველი აქვს გარდა სრულწლოვანობისა. აშკარაა, რომ მხოლოდ სრულწლოვანობა კომლის წევრისა არ უნდა იყოს საფუძველი კომლის გაყრის მოთხოვნისა კომლის ყველა წევრებისათვის. თუ ეს უნდა მივიჩნიოთ საკმარის საფუძვლად კომლის მკვიდრ წევრებისათვის ზოგიერთი გამონაკლისით, რომლის შესახებ ჩვენ გვექნება ლაპარაკი. ის ასეთად არ შეიძლება იწეს ცნობილი, როდესაც ჩვენ გვაქვს საქმე კომლის ან მკვიდრ წევრების მიმართ. ეს შეხედულება პოულობს თავის გამართლებას შემდეგ მოსაზრებებში.

კომლის გაყრა მდგომარეობს ერთი მეურნეობის ნაცვლად რამდენიმე მეურნეობის დაარსებაში აქედან ცხადია, რომ კომლის გაყრა უნდა იმყარებოდეს მეურნეობის წარმოების შესაძლებლობას. ასეთი შესაძლებლობის ერთი პირობა კანონშია პირდაპირ აღნიშნული. ეს პირობა იმაში გამოიხატება, რომ თვითიველ განაყოფს უნდა ხედეს არა ნაკლებ მიწის ნორმის ნახევრისა, ე. ი. პირობა არის ძირითადი პირობა შრომითი მეურნეობის არსებობისა, მაგრამ აშკარაა, რომ კომლის გაყრის ძირითადი პირობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ კომლის მეურნეობის არსებობა და განვითარება იქნეს უზრუნველყოფილი. აქ აქვს მნიშვნელობა მეორე პირობას. რომლის მოქმედება განსაზღვრავს კომლის მეურნეობის გაგრძელებას. იმ მეურნეობისთვის, რომელიც დროებით დაუძლეურებულია, დაშვებულია შესაძლებლობა მიწის იჯარით გაცემისა, მაგრამ მიწის იჯარით გაცემის კანონიერ შესაძლებლობას მოკლებულია ის კომლი. რომელიც ვერ ახერხებს მეურნეობის წარმოებას პირადი ძალებით. საიჯარო ვადის გასვლის შემდეგაც ასეთი შესაძლებლობის მოკლება იმ კომლისათვის, რომელსაც არა ყავს ძალები მეურნეობის წარმოებისათვის ან არა აქვს საშუალება აწარმოოს მეურნეობა დაქირავებული შრომის დახმარებითაც, მაუთითებს იმაზე, რომ აქ მიღებულია მხედველობაში როგორც მეურნეობის განვითარების ინტერესები, ისე მიწის შრომითი სარგებლობის ძირითადი პრინციპი — მეურნეობის პირადი შრომით წარმოება და აგრეთვე მიწით დაკმაყოფილების საჭიროება იმ მოქალაქეებისა. რომლებსაც არ აქვთ მიწა, ხოლო აქვთ სორვილი აწარმოონ სოფლის მეურნეობა საკუთარი შრომით. ყველა ეს თუ მიიღება ანგარიშიში მაშინ, როდესაც საქმე ეხება მიწის იჯარით გაცემას, მით უფრო მისაღებად მხედველობაში იმ შემთხვევაში. როდესაც საკითხი ისმება კომლის გაყრის შესახებ. ეს შეხედულება გამოსაყენებელია ყველა შემთხვევისათვის, როცა საკითხი ეხება კომლის არსებობისა და განვითარებას ინტერესებს. ამიტომ მეურნეობის წარმოების პირადი შესაძლებლობა უნდა იქნეს დაკავშირებული პირველ პირობასთან (კომლის მიწების ისეთ გაყოფასთან, რომ თვითიველს შეხვდეს მიწის ნორმის არა ნაკლებ ნახევარი ნორმის), რომ შეიძლებოდეს კომლის გაყრის საკითხი სწორედ იქნეს დასმული და დადამყვეტილი. ამ თალსაზრისით უნდა იქნეს განხილული ის საკითხი, შეიძლება თუ არა ცნობილ იქნეს ამა თუ იმ წევრის უფლება კომლს გაყრის მოთხოვნისა იმ პირობაში, როდესაც

წევრი აკმაყოფილებს ორ ძირითად პირობას (სრულწლოვანობა და მიწაზე უფლება). საკითხის ასე დაყენების დროს აუცილებელია ანგარიში გაეწიოს იმ გარემოებას, იღებდა თუ არა მონაწილეობას მეურნეობაში კომლის წევრი ან შეუძლია თუ არა კომლის წევრს მიიღოს ასეთი მონაწილეობა.

გარდა იმ საპატიო მიზეზებისა, რომლებსაც გამოკომლის წევრს ენახება უფლება მიწაზე და მიუხედავად იმისა, რომ მეურნეობაში არ იღებს მონაწილეობას, აქ უფლება კომლის გაყრა მოითხოვოს, არის სხვა საპატიო მიზეზები, რომლებსაც ძალით კომლის ამა თუ იმ წევრს არ ეარება უფლება მიწაზე იმის გამო, რომ ისინი არ იღებდნენ და არ იღებენ მონაწილეობას მეურნეობაში. ასეთ მიზეზებათ ითვლება მცირეწლოვანობა, მოხუცებულობა და წევრის მოურჩენელი ავადმყოფობა. მცირეწლოვან წევრს, რომელიც არ შეიძლება იქნეს გამოყენებული მეურნეობაში, არ აქვს უფლება კომლის გაყრა მოითხოვოს იმის გამო რომ ის მცირეწლოვანია. ამიტომ ეს შემთხვევა დასაშული საკითხის გადაწყვეტისათვის ინტერესს არ წარმოადგენს. მნიშვნელობას წარმოადგენს ორი დასახელებული მიზეზი — მოხუცებულობა და მუდმივი მოურჩენელი ავადმყოფობა. თვითიველი მათგანი აკლავს კომლს შესაძლებლობას მიიღოს მონაწილეობა მეურნეობაში. თუმცა არცერთი მათგანი არ იწვევს კომლის წევრის უფლებების დაკარგვას, მაგრამ კომლის იმ წევრს, რომელიც ამ მდგომარეობაში იმყოფება, ვერ მიეცემა უფლება კომლის გაყრის მოთხოვნისა, თუ ასეთ წევრს არ შეუძლია მიიღოს მონაწილეობა მეურნეობაში ისეთ საპატიო მიზეზით, რომელიც მუდამ მოქმედობს, მას არ შეუძლია აწარმოოს მეურნეობა პირადი ძალებით. აქ გამოსარიცხავია ის შემთხვევა, როდესაც ასეთი წევრი ოჯახის თავია და ამ ოჯახს ყავს წევრი ან წევრები, თუ იცა არა სრულწლოვანი, მაგრამ ისეთები, რომლებიც იღებენ ან შეუძლიანთ მიიღონ მონაწილეობა. ასეთი უნარ მოკლებულ წევრს ვერ წაერთმევა უფლება კომლის გაყრა მოითხოვოს, რადგანაც ის არ არის მოკლებული შესაძლებლობას მეურნეობა აწარმოოს ოჯახის წევრთა, ძალებით და იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ძალები არ არის საკმარისი მეურნეობის საწარმოებლად, აწარმოოს მეურნეობა დაქირავებულ შრომის დახმარებით. ასე რომ კომლის იმ წევრს, რომელსაც არ აქვს იმის შესაძლებლობა, რომ წააყვანოს მეურნეობა პირადი ან ოჯახის წევრთა ძალებით, ან დაქირავებული შრომის დახმარებით, ვერ მიეცემა უფლება კომლის გაყრა მოითხოვოს. მიზეზი საკითხისადმი ასე მიდგომისა ისაა, რაც არის იმ შემთხვევისათვის, როდესაც საქმე ეხება მიწის მალეხას სახელმწიფოსაგან შრომითი სარგებლობისათვის. მიწა ვერ მიეცემა შრომითი სარგებლობისათვის ისეთ მოქალაქეს, რომელსაც არ შეუძლია იმ დაამუშაოს ან მასზე სასოფლო მეურნეობა აწარმოოს პირადი შრომით. ეს პრინციპი ძირითადი პრინციპია, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხი ეხება შრომითი მეურნეობის დაარსებასა და წარმოებას. კანონი ვერ მისცემს უპირატესობას ამ სფეროში კომლის ასეთ წევრს იმ მიზეზით, რომ ის კომლის წევრია და რომ ის იღებდა მონაწილეობას კომლის მეურნეობაში თუნდაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში. აქედან ცხადია, რომ არ შეიძლება მიღებულ იქნეს მხედველობაში კომლის წევრის პირადი ინტერესი, დაწყარებული ისეთ მდგომარეობაზე, როგორაც არის, მაგ. კომლის მეურნეობაში ხანგრძლივი მუშაობა ან მონაწილეობა სახსრით, როდესაც ამ ინტერესს უპირისპირდება მეურნეობის ინტერესი და ორივე ერთმანეთთან არაან წინააღმდეგობაში. მეურნეობის ინტერესი, რომელიც უნდა ეთანხმებოდეს სახელმწიფო ინტერესს, მოითხოვს, რომ სასოფლო სამუშაო იქნეს წარმოებული იმის პირადი შრომით, ვისაც მიწა მიეცა შრომითი სარგებლობისათვის. ამ ინტერესთან იქნება წინააღმდეგობაში ის შემთხვევა, როცა მეურნეობის წარმოება გადაეცემა ისეთ პირს, რომელიც მოკლებულია შესაძლებ-



ბოლოს აწარმოოს ის პირადი შრომით. თუ ასეთი თვალსაზრისით მიუღებთ იმ წევრის მოთხოვნას კომლის გაყრის შესახებ, რომელსაც საჭიროდ აქვს დაკარგული უნარი აწარმოოს მეურნეობა პირადი შრომით, ძნელი არ იქნება იმის გაგება, რომ უარსაყუფია მისი უფლება კომლის გაყრის მოთხოვნისა.

მეურნეობის ინტერესს თვალსაზრისით უნდა მიუღვეთ კომლის გაყრის მოთხოვნას იმ პირთა მხრივ, რომლებიც განზენ კომლის წევრებათ მეკომპრობით ან ქორწინებით. ის გარემოება, რომ ეს თუ ის პირი, მეკომპრობის ან ქორწინების საფუძველით კომლში შესულია, არის კომლის წევრი, ვერ წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ მასზე ცნობილ იქნეს კომლის გაყრის უფლება, უკაცა-კანონის ის დადგენილება, რომელიც პირდაპირ თსაკითხს ეხება, ფორმალურად იძლევა საშუალებას გავიმცელოთ კომლის ყველა წევრზე დებულება, რომელიც განსაზღვრავს, ვის არ აქვს კომლის გაყრის მოთხოვნის უფლება, მაგრამ გამოყენება ფორმალური თვალსაზრისისა ყველა შემთხვევაში არ იქნება სწორი შრომითი მეურნეობის ინტერესის მიხედვით. კანონის ეს ნაკლი სასამართლოს პრაქტიკამ აღნიშნა. იგივე პრაქტიკა შეუდგა მის შევსებას, უკეთ რომ ვსთქვათ, მის გასწორებას. ასე მოიქცა რუსეთის უმაღლესი კონტროლის განსაკუთრებული კოლეგია რუსეთში. გამოქვეყნებულია განმარტება, რომლის მიხედვით საადგილმამულო სასამართლო უნდა შეუდგეს იმის განილვას, რა მონაწილეობა აქვთ მიღებული კომლის მეურნეობაში მეკომპრობის ან დაქორწინებით შესულ პირს და ამისა და სამეურნეო მიზანშეწონილობის მიხედვით გადასწყვიტოს საკითხი, აქვს თუ არა ასეთ პირს უფლება კომლის გაყრა მოითხოვოს*) ამ განმარტებიდან ნათელია, რომ ხსენებული დადგენილების მომარჯვების საკითხში ფორმალურად მიდგომა არ შეიძლება. კომლის გაყრის მოთხოვნის უფლების ცნობა მეკომპრობზე ან დაქორწინებით კომლში შესულ პირზე უპირატესობას შექმნის ასეთ წევრთათვის კომლის მკვიდრ წევრების წინაშე. იმას, ვისაც მეურნეობაში არ მიუღია არავითარი მონაწილეობა, მიეცემა უფლება კომლის გაყრისა იმ დროს, როდესაც ასეთ უფლებას მოკლებული არიან კომლის ძირითადი წევრები, რომლებსაც არა აქვთ ფიზიკური შესაძლებლობა დამოუკიდებელი მეურნეობა აწარმოონ. თუმცა მეკომპრობის ან დაქორწინებით კომლში მიღებულ პირს ხსენებულ კომლის წევრის წინაშე აქვს ის უპირატესობა, რომ მას შეუძლია პირადი შრომით მეურნეობა აწარმოოს, მაგრამ ამ გარემოებას არ შეიძლება მიეწეოს გადაწყვეტი მნიშვნელობა იმ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება უშუალოდ არა მარტო მეურნეობის წარმოების ინტერესს, არამედ იმ პირთა ინტერესებს, რომლების შრომით არის შექმნილი კომლის მეურნეობა.

მეკომპრობად და ქორწინებით კომლში მიღებული პირის ფიზიკური შესაძლებლობა მეურნეობის წარმოებისა არ შეიძლება იყოს საკმარისი იმისათვის, რომ ასეთი წევრის სრულწლოვანებასთან ერთად ცნობილ იქნეს უფლება კომლის გაყრის მოთხოვნისა. აქ სრულწლოვანობას უნდა დაუკავშიროთ სხვა მომენტი, რომელიც გამოხატავს სამართლიანობის პრინციპს. თუ კომლის მკვიდრ წევრზე კომლის გაყრის მოთხოვნის უფლების ცნობა თავის გამართლებას ჰპოულობს იმაში, რომ მეურნეობა არის შედგენილი იმ ოჯახის შრომისა, რომელსაც ეკუთვნის კომლის წევრი, ასეთი უფლების ცნობას კომლის იმ წევრზე, რომელიც შესულია კომლში მეკომპრობად ან დაქორწინებით, ვერაფრით ვერ გავამართლებთ, როდესაც ერთ მომენტს—სრულწლოვანობას არ უერთდება მეორე აუცილებელი მომენტი—მეურნეობაში მონაწილეობის ისეთი მიღება, რაც გამოხატავს ერთგვარ ღირებულებათა შექმნას. საქართველოს უზენაეს სასამართლოს პლენუმმა ეს საკითხი

*) იხ. რუსეთის ს. ფ. ს. რ. მიწის კოდექსის კომენტარი ნ. გენძახიძისა და ი. ნოვიციკის რედაქციით, 1927 წ. გამოც., 104 გვ. უმაღლესი კონტროლის განსაკუთრებული კოლეგიის განმარტება; კუნ. 3.

განმარტა შემდეგნაირად: „მიწის გაყოფის მოთხოვნა მათ შეუძლიათ მხოლოდ კომლში შესვლის მომენტიდან სამი წლის ვასკლის შემდეგ, თუ ისინი ამ წლების განმავლობაში პირადი შრომით და სახსრით მონაწილეობას იღებენ კომლის მეურნეობაში“*). ეს განმარტება არ გამოიმდინარეობს კანონის ხსენებული დადგენილების პირდაპირი აზრიდან. თუმცა მასში გამოთქმულია საესებით სამართლიანი პრინციპი, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ იმ საკითხის სწორად გადაწყვეტის დროს, რა პირობებში აქვს მეკომპრობად, დაქორწინებით კომლში მიღებულ პირს უფლება კომლის გაყრის მოთხოვნისა, ე. ი. ის პრინციპი, რომ ასეთ წევრს უნდა ჰქონდეს მონაწილეობა მეურნეობაში, მაგრამ განსაზღვრა იმ მონაწილეობისა სამი წლის ვადით წარმოადგენს კანონის შევსებას. თუ მივიღებთ მხედველობაში შრომითი მეურნეობის პრინციპს და ამ საკითხზე სასამართლოს აღნიშნულ პრაქტიკას, უდავოდ უნდა ვაღიაროთ, რომ კომლის არამკვიდრ წევრთა უფლება კომლის გაყრის მოთხოვნისა უნდა განვსაზღვროთ ორი გარემოებით—სრულწლოვანობით და მეურნეობაში მონაწილეობით. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვევ გვექნება საქმე შრომითი პრინციპის საწინააღმდეგო მდგომარეობასთან, რაც მოასწავებს კომლის მეურნეობის არა გაძლიერებას, არამედ მის დასუსტებას და დაქუცმაცებას.

კანონის შევსებას წარმოადგენს ეს განმარტებაც, რომლის მიხედვითაც კომლის გაყრის მოთხოვნის უფლება ენიჭება კომლის არა სრულწლოვან წევრსაც იმ შემთხვევაში, თუ ასეთი წევრი სრული ობოლია და მისი კომლში დარჩენა შეუძლებელია შექმნილი მდგომარეობის გამო (შკაცირი მოპყრობა, მანებელი გაკლენა კომლისა). ასეთი განმარტება ვერ პოულობს თავის გამართლებას იმ პრინციპში, რომლის მიხედვით მიწა უნდა ჰქონდეს შრომით სარგებლობაში იმას, ვისაც შეუძლია გამოიყენოს ის სოფლის მეურნეობის წარმოებისათვის პირადი ძალეებით. გარდა ამისა ეს განმარტება ეწინააღმდეგება შემდეგ უკუიღვრებულ უფლებას კომლის გაყრის მოთხოვნისა შეიძლება ყოველსა დაკავშირებულია პირის სრულწლოვანებასთან. აქედან ცხადია, რომ ეს უფლება იმის პირადი უფლებაა, ვინც აკმაყოფილებს ამ პირობას. მშობლების პირადი უფლება ვერ გადავა მის უფლებზე, მით უმეტეს, რომ ამ პირად უფლებას საფუძვლად აქვს შესაძლებლობა მეურნეობის დამოუკიდებლად წარმოებისა. აღნიშნული მდგომარეობიდან გამოსავალი უნდა ვეძიოთ, მაგრამ ეს გამოსავალი შრომითი მეურნეობის ინტერესს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს. თუ მკვირწლოვან სრული ობოლ წევრზე კომლის ყოფა-ცხოვრება ასეთ უარყოფით გავლენას ახდენს, რომ აღმზრდელითი თვალსაზრისით მათი იქ დატოვება შეუძლებელია, ასეთი მდგომარეობიდან გამოსავალი უნდა ვეძიოთ კანონიერ გზაში, რასაც წარმოადგენს კომლიდან მისი გამოყოფა.

11.

როგორც კომლის გაყრისას, ისე მისგან წევრის გამოყოფისას უნდა მოხდეს საერთო სარგებლობის ქონების განაწილება. საერთო ქონების შედგენილობის შესახებ საკითხს სწყვეტს ის დებულება, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს კომლის წევრის პირად ქონებათ, რაც უნდა იქნეს გამორიცხული ვასაყოფ ქონებიდან (მიწ. კოდექსი 51 მუხ.). კომლის წევრის პირად ქონებას შეადგენს ის, რაც მის პირად სარგებლობაშია და მას ხარჯზე შექმნილი. თუ ქონებისადმი კომლის წევრის დამოკიდებულებას არ ახასიათებს ეს ორი პირობა, ერთად აღებული, ის კომლის ცალკე წევრის კუთვნილებათ ვერ ჩაითვლება, მაგრამ იმისათვის, რომ კომლის ცალკე წევრის პირადი ქონება არ მოხდეს კომლის წევრთა შორის ვასაყოფ საგნების რიცხვში, საჭიროა, რომ ასეთმა წევრმა მოითხოვოს ვასა-

*) იხ. „საბჭოთა სამართლის“ 6 № გვ. 160.
 1) Циркуляр Наркомюста Р.С.Ф.С.Р. от 30 марта 1927 г. Еж. Сов. Юстиции за 1927 г. № 16.

ყოფი ქონებიდან მისი გამოორიცხვა. გასაყოფი ქონების შდგენილობაში ვერ შევა ის ქონებაც, რაც ითვლება, თანახმად ადგილობრივ ადათ-ჩვეულებიან, ცალკე პირთა კუთვნილებათ. აქედან ცხადია, რომ ყველა დანარჩენი ქონება უნდა განაწილდეს განაყოფთა შორის.

კანონში მოცემულია კომლის წევრთა საერთო სარგებლობის ქონების განაწილების ხერხი. პირველი დებულება ამის შესახებ ისაა, რომ ამ ქონების გაყოფა მოხდება ნატურად, მეორე კი ისაა, რომ ამ ქონების გაყოფის დროს შეიძლება ერთი საგანი ჩაითვალოს მეორე საგნის ანგარიშში და ანგარიშის გასწორება მოხდეს ფულით ან ქირხახულთ. გარდა ამისა მოცემულია ქონების განაწილების პრინციპი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ საერთო ქონება განაწილდება კომლის შემადგენელ ოჯახებისა და წევრთა შორის (47 მუხ.), მაგრამ არ არის მოცემული ის საფუძველი, რომლის მიხედვით უნდა მოხდეს ქონების განაწილება. უდავოდ უნდა ვიცნოთ ის დებულება, რომ კომლის გაყრის გამო განაწილება საერთო სარგებლობის იმ საგნებისა, რომლებიც ემსახურებიან უშუალოდ მეურნეობას, უნდა მოხდეს ისე, რომ თვითთულ განაყოფს უნდა ხედეს ისეთი წილი, რომელიც შეეფერება ახლად დასაარსებელ მეურნეობისა და ოჯახის შემადგენლობისა ინტერესებს. განაწილებაში არ შეიძლება გავატაროთ ის პრინციპი, რომ თვითთულ განაყოფს უნდა ხედეს თანაბარი ნაწილი საერთო სარგებლობის ქონებისა, რადგანაც თვითთული განაყოფი მეურნეობის თვალსაზრისით შეიძლება არ იყოს თანაბარი ღირებულებისა, ერთი განაყოფი შეიძლება შეადგენდეს ოჯახს, მეორე კი შესდგებოდეს ერთ პირისაგან და ს.ვ.

ქონების განაწილების პრინციპი იცვლება მაშინ, როდესაც კომლის გაყრა შეუძლებელია და ამის გამო ხდება გამოყოფა კომლიდან ზოგიერთ წევრებისა, ან კომლი საცხებით იშლება, მეურნეობას თავს ანებებს. პირველ შემთხვევაში ქონების განაწილება ემორჩილება იმ კომლის მეურნეობის ინტერესს, რომელიც განაგრძობს არსებობას. ამ მხრივ სახელმძღვანელო დებულებას წარმოადგენს ის ნორმა, რომელიც შეეხება ღონისძიებებს მეურნეობის დაქუცმაცების წინააღმდეგ (56 მუხ.) თუმცა აქ ლაპარაკია ისეთ შემთხვევაზე, როცა კომლს არა აქვს ნახევარ ნორმაზე მეტი მიწა, და ასეთ პირობაში კომლის გაყრა აკრძალულია, მაგრამ ეს დებულება, სრულებით უადგილო, გამოხატავს მეურნეობის დაქუცმაცების წინააღმდეგ მიმართულ პრინციპს, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული ყველა იმ შემთხვევაში, როცა კომლის გაყრა შეუძლებელია.

ამ პრინციპის მიხედვით მეურნეობის დაქუცმაცება შეიძლება იყოს ყველა იმ შემთხვევაში, როცა კომლიდან წილის ნატურად გამოყოფით შეიძლება დასუსტდეს მეურნეობა. ამიტომ იქ დროს, როდესაც კომლის გაყრის გამო საერთო სარგებლობის ქონების გაყოფა ნატურად დაშვებულია, საერთო ქონებიდან საგნების ნატურად გამოყოფას შეიძლება არც ჰქონდეს ადგილი, თუ კი ეს აგნებს მეურნეობას^{*)}. გარდა ამისა ქონების განაწილების საკითხში გატარებულია მეორე პრინციპი, დაკავშირებული ქონების ნატურათ გამოყოფის აკრძალვასთან, რაც გამოიხატება იმაში, რომ გამოყოფის მსურველს არ შეიძლება მიესაჯოს კომლის საერთო ქონების ღირებულების ერთ მესამედზე მეტი. კომლის მეურნეობის ინტერესის დაცვა წინააღმდეგ გამოყოფის მსურველის ინტერესისა იმაშიც გამოიხატება, რომ კომლში დარჩენილთა მოთხოვნით სასამართლოს შეუძლია გადასწყვიტოს განაყოფის დაკმაყოფილება ნაწილ-ნაწილ ხუთი წლის განმავლობაში უსარგებლოდ.

კანონის ის დადგენილება, რომ გამოყოფის მსურველს ვერ მიესჯება სასამართლოს წესით კომლის საერთო ქონების ღირებულების ერთ მესამედზე მეტი, მიუთით-

თებს იმას, რომ გამოყოფის თვითთულ მსურველს შეიძლება არ მიესაჯოს თანაბარი წილი. აქ უნდა განვიხილოთ ანგარიში იმას, ვის რამონაწილობა ჰქონდა მეურნეობაში. ცხადია, რომ ის წევრი, რომელიც კომლში შესულია მეკომურობის საფუძველით და რომელსაც კომლის მეურნეობაში მიღებული აქვს შეუძინველი მონაწილეობა, ვერ მიიღებს იმდენს, რაც უნდა ერგოს კომლის მკვიდრ წევრს. რომელიც კომლში ხანგრძლივი მუშაობით ხელს უწყობდა მეურნეობის არსებობას და ვადიერებას.

ქონების განაწილების აღნიშნული პრინციპები კომლის გაყრისა ან კომლიდან გამოყოფის შემთხვევებისათვის არ შეიძლება აღიარებულ იქნეს სავალდებულო მაშინ, როდესაც ქონების განაწილება სწარმოებს კომლის წევრთა შეთანხმებით. შეთანხმებამ შეიძლება გვერდი აუხვიოს განაწილების იმ პრინციპებს, რომლებიც სახელმძღვანელოა კომლის წევრთა შორის აღძრული დავის გადაწყვეტის დროს.

12.

კომლის გაყრას მაშინ აქვს იურიდიული მნიშვნელობა, როდესაც ის გატარებულია თემის აღმასკომის რეგისტრაციაში. როდესაც არსებობს შეთანხმება გაყრის შესახებ, უნდა იქნეს წარმოდგენილი თემის აღმასკომში გაყრის ქალაქი, რომელშიც აღინიშნება: ა) როდის და კომლის რომელ წევრთა შორის მოხდა შეთანხმება გაყოფის შესახებ, ბ) რომელი მიწის ნაკვეთია გასაყოფი (სახელწოდება, ზომა, რა და რა მიწაა და საზღვარი) და რომელ წევრს ხვდა წილად ან როგორ განაწილდა ის წევრებს შორის, გ) რა ქონებაა გასაყოფი და როგორ განაწილდა, დ) გაყოფის შესრულების ვადა და წესი, ე) სხვა პირობები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან კანონს და რომლის შეტანაც გაყრის ქალაქში საჭიროდ მიიჩნიათ შეთანხმების მონაწილეთ და ვ) მათი ხელის მოწერა. თემის აღმასკომს ეკუთვნის ზედამხედველობა იმაზე, რომ კომლის გაყრა ჩატარებული იქნეს კანონიერი მოთხოვნათან თანახმად. ამიტომ მას შეუძლია არ გაატაროს რეგისტრაციაში გაყრა, თუ დაინახა, რომ გაყრის პირობები კანონს ეწინააღმდეგებიან, მაგრამ უარის თქმა რეგისტრაციაში გატარებაზე შეიძლება განსაზღვრებულ იქნეს რაიონის საადგილმამულო სასამართლო კოლეგიაში 14 დღის განმავლობაში. გაყრის შესახებ სასამართლოს დადგენილება თემის აღმასკომისათვის სავალდებულოა.

კ. მიქელაძე.


საურავი საპანონდებლო აქტებსა და სასამართლო ორგანოების პრაქტიკაში

ამ წერილის მიზანია საურავის შესახებ ნაწილობრივი ცნობების შეჯამება როგორც საკანონმდებლო აქტებიდან, ისე სასამართლოს პრაქტიკიდან.

საურავმა ფართო გავრცელება მიიღო განსაკუთრებით სახელმწიფო დაწესებულებათა ყოველ-ღლიურ საქმიანობაში სავალდებულო დადგენილებების სახით, მაგ. ადგილობრივი აღმასკომები აწესებენ საურავს კომუნალური, საიჯარო, საბინაო ქირის თავის დროზე შეუტანლობისათვის და სხვ.—საურავის გამოყენება სწარმოებს აგრეთვე კერძო პირთა და სახელმწიფო დაწესებულებათა მიერ დადებულ ხელშეკრულებისათვისაც და ის წარმოადგენს ერთ-ერთ საშუალებას ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფისათვის.

ჩვეულებრივად საურავს აწესებენ განსაზღვრულ რაოდენობით ხელშეკრულების ძირითად თანხასთან შედარებით და მისი გადახდევინება სწარმოებს ყოველ გადაცილებულ დღისათვის ვალდებულების შესრულებამდე ან ხელშეკრულების დარღვევის მომენტამდე, რა დროიდანაც საერთოდ იწყებს მოქმედებას პირგაუტეხლობის ჯარიმა.

*) საქ. უზენაეს სასამართლოს პლენუმის განმარტება, „საბჭოთა სამართალი“ № 6, გვ. 161.



რევიზია სსხ. სასამართლოებში.

გამფლანგველების დაპატიმრება.

სახალხო სასამართლოებში ჩატარებულმა რევიზიამ აღმოაჩინა გაფლანგვა ტფილისის პირველი და მესამე უბნის სახალხო სასამართლოებში. პირველი უბნის სახალხო სასამართლოში გაფლანგულია 1246 მან. და 31 კაპ. რევიზია გრძელდება.

მესამე უბნის სსხ. სასამართლოში გაფლანგულია 1.233 მან. და 17 კაპ. გარდა ამისა აქლია დამამტკიცებელი საბუთები ერთი გირ. სტერლინგი, 5 დოლარი, 4 ოსმ. ოქროს ლირა. გარდა ამისა დაუდევრობის გამო არ იყო აკრეფილი თავის დროზე 2. 19 მან. და 75 კაპ. აღნიშნული სასამართლოების მდივნები ნიკოლოზ ფურცელაძე და გიორგი არჩუაშვილი მოხსნილი არიან თანამდებობიდან, მიცემული არიან პასუხისმგებლობაში და დაპატიმრებულ იქნენ.

ბოძს: „თამასუქის პატრონს, რომელიც პროტესტს მოახდენს შეუძლიან მოსთხოვოს როგორც თამასუქის გამცემს, ისე წამწერებს თამასუქის გადაუხდელი თანხა და სარგებელი 600 წლიურად, წლიურად გადახდის ვადის დღიდან ფულის გადახდის დღემდე“.

სხვათა შორის ზოგიერთ სასამართლოს პრაქტიკაში და საკანონმდებლო აქტებითაც კი (მაგ. რ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი 1925 წ. 31 დეკემბრიდან) დასაშვებიათ არის ცნ-ბილი ერთსა და იმავე დროს პირგაუტეტებლობის ჯარიმისა და საურავის გადახდევინება, რაც უნდა აღინიშნოს არ არის სავსებით მიზანშეწონილი და ჩვენ სამოქალაქო ცხოვრებასთან შესაბამეობის, რადგან საურავი თავისი იურიდიული ბუნებით ძირითადი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფი, ისეთივე აქცესორული ვალდებულებაა, როგორც პირგაუტეტებლობის ჯარიმა, ის ამ უკანასკნელის ერთ ერთი სახეთაგანია და ამიტომ ორივეს ერთად გადახდევინება არსებითად ორმაგი პირგაუტეტებლობის ჯარიმის გადახდევინება გამოვა და ასეთი გარემოება კი ჩვენის აზრით არ უნდა შეესაბამებოდეს საბჭოთა კანონმდებლობის ძირითად საწყისებს.

ყოველივე ზემოხსენებულიდან შემდეგი დასკვნა გამოიყვანება: საურავი ჯარიმის ერთ-ერთი სახეა ვალდებულების შესრულების ვადაზე გადაცილებისათვის დაწესებული და წარმოადგენს ძირითად ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფელ საშუალებას, და მასზე ვრცელდება ყველა ის წესები, რაც პირგაუტეტებლობის ჯარიმისათვის არის დადგენილი; ეს დებულება მიღებული როგორც რ. ს. ფ. ს. რ. უზენაეს სასამართლოს, ისე საქართველოს უზენაეს სასამართლოს პრაქტიკაშიც. 1927 წ. ივნისის 10—13-ს დადგენილებაში საქმეზე ტფილისის აღმასკომისიის სარჩელისა გამო ტერ-სიმონოვთან, საქ. უზენაეს სასამართლოს სამოქალაქო საკასაციო კოლეგია სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ საურავი ჯარიმის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს და სასამართლომ მასზე უნდა გააგრძელოს სამოქ. სამართ. კოდექსის 142 მუხლის მოთხოვნები, — რაც იმას ნიშნავს, რომ უკეთეს გადასახდელი საურავი მეტის მეტად დიდი და მოვალეთათვის საქმელი გადასახდელად იქნა ცნობილი, შესაძლებელია მისი შემცირება, ისევე როგორც სამოქ. სამართ. კოდ. 141 მუხლში გათვალისწინებული პირგაუტეტებლობის ჯარიმისა.

ბ. ფურცხვანიძე.

საურავის ცნებას რუსეთის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისია ერთ-ერთ თავის დადგენილებაში (1923 წ. აგვისტოს 23-ს, საქმეზე ისტორიული მუხეუმისა ცენტრო-არქივთან) შემდეგნაირათ განსაზღვრავს: „წარმოადგენს რა საშუალებას, რომ იძულებული გახდეს მოვალე თავის დროზე აწარმოოს ვადიანი ვალების გადახდა, — საურავი საერთოდ უთანასწორდება პირგაუტეტებლობის ჯარიმას და მას შეედარდება ყველა ის წესები, რაც დადგენილია პირგაუტეტებლობის ჯარიმისათვის“. საურავის ასეთივე განმარტებას საარბიტრაჟო კომისია იძლევა თავის სხვა დადგენილებებშიაც და ამ გვარათვე აქვს ის გარკვეული რ. ს. თ. ს. რ. უზენაეს სასამართლოსაც. აღნიშნულ ორ კომპეტენტურ ორგანოს შორის აზრთა სხვაობას იწვევს არა საურავის ცნებისა და მისი დანაშნულების განსაზღვრა, არამედ საკითხი საურავის გადახდის ვალდებულების წარმოშობის შესახებ, იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს სახელმწიფო ორგანოთა მიერ სავალდებულო დადგენილებით დაწესებულ საურავთან. რუსეთის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისია უარყოფს მხოლოდ სავალდებულო დადგენილების ძალით საურავის გადახდევინების შესაძლებლობას და ფიქრობს, რომ ერთად-ერთ წყაროთ საურავის მიღებისათვის ჩასათვალა მხოლოდ წერილობითი და ყველა ფორმალური მოწინებების დაცვით მხარეთა მიერ დადებული ხელშეკრულება, რომლის გარეშეც საურავის მისჯას არ უნდა აქონდეს ადგილი (დადგენილება საქმეზე № 177 — 1924 წ. გზათა კომისიისათვის სარჩელი მურომის ადგილობრივ მფრინობასთან). უზენაესი სასამართლო კი ამ საკითხის შესახებ მთლიანად საწინააღმდეგო მოსაზრებისაა და იმ ხაზს ატარებს, რომ სავალდებულო დადგენილებით (მაგ., ადგილობრივი აღმასკომის) დაწესებული საურავი კანონიერი პირგაუტეტებლობის ჯარიმაა და მისი გადახდევინება უნდა სწარმოებდეს იმის და მუხედკავით, იყო თუ არა მხარეთა შორის წინასწარ დადებული წერილობითი ხელშეკრულება (რ. ს. ფ. ს. რ. უზენაეს სასამართლოს პლენუმის 1924 წ. სექტემბრის 12-ის (ცირკულიარი 33 №-ით); უზენაეს სასამართლოს აღნიშნულ დებულების მთავარი მოტივი იმაში მდგომარეობს, რომ საურავზე უფლების წყაროთ შეიძლება იყოს არა მარტო ხელშეკრულება, არამედ კანონიც, რომლის თანაბარი ძალა აქვს აგრეთვე ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულება-დადგენილებებს თავის უწყების ფარგლებში; მაგ. არა საცხოვრებელი შენობების ქირავნობის პირობების მოწესრიგება აღმასკომების კომპეტენციაში შედის და მათ დადგენილებებს, რომლითაც განსაზღვრული იქნება აღნიშნულ შენობების იჯარის წესი და პირობა, სავალდებულო ძალა აქვს დღიდან მათი გამოქვეყნებისა, როგორც შენობის გამქარავებელ ორგანოსა, ისე დამქარავებელ პარისათვის. საარბიტრაჟო კომისიის მოსაზრება, სადაც საურავის ირგვლივ ხელშეკრულებითი თავისუფლების პრინციპები პირველ ადგილზეა დაყენებული, ჩვენს სინამდვილეში სრულიად მიუღებელია და დამახასიათებელია სამართლის ნორმების ბურჟუაზიული თვალსაზრისით ვაგება — გადაჭრისა, რა პირობებიც ცხადია საბჭოთა კავშირში სამოქალაქო ურთიერთობისათვის შესაფარდებლათ არ გამოდგება. აღნიშნულ საკითხის გადაჭრაში უპირატესობა უნდა მიეცეს რ. ს. ფ. ს. რ. უზენაეს სასამართლოს ზემოთ მოყვანილ ცირკულარში გატარებულ თვალსაზრისს (იხ. E. C. O. № 38 — 1924 წ. 30-ს სექტემბრიდან), როგორც არსებითად სწორს.

მართალია, ჩვენს სამოქ. სამართლის კოდექსში არაფერია ნათქვამი საურავის შესახებ და მას იშვიათად ვხვდებით აგრეთვე საკანონმდებლო აქტებშიაც, მაგრამ ზემოხსენებულიდან ნათელია, რომ სასამართლოების ყოველდღიური საქმიანობა საკმაოდ ადვილს უფობს საურავს; ცენტრალურ ორგანოების აქტებიდან შედარებით ვრცლად საურავზე სათამასუქო დებულებაშია ლაპარაკი (ხ. „მოამბე“ 1924 წ. № 11), რომლის მე-14 მუხლი ამ-

იუსტისხეობის მოწვეული თათბირი

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის განმარტების შესახებ.

ა. წ. აბრისის თემა იუსტიციის სახალხო კომისარიატთან მოწვეული იყო თათბირი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის განმარტების საკითხების დასაშუშავებლად.

თათბირს თავმჯდომარეობდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე აბხ. ა. კაჭარავა. თათბირში მონაწილეობას ლეზღობიდან იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1, მე-2 და მე-3 განყოფილებების, უზენაესი სასამართლოს, კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის და ქართულ დივიზიის ტრიბუნალების და პროკურატურის, სამაზრო სასამართლოს, სამაზრო პროკურატურის, სახალხო მოსამართლეთა და გამომძიებელთა წარმომადგენლები.

თათბირმა შედეგათ თავისი მუშაობისა გამოიტანა შემდეგი დადგენილებები.

მოკვლევის საკითხი.

1. თათბირმა საჭიროდ სცნო, რომ მოკვლევის წარმოება მილიციის ორგანოებში მიენდოს მილიციის არსებულ შტატიდან გამოყოფილ სათანადოთ მომზადებულ თანამშრომლებს, რათა მოკვლევის დარგში შეიქმნეს მილიციის ორგანოებში სათანადოთ მომზადებული კვალიფიციური კადრი.

2. იმ მიზნით, რომ მოკვლევის ორგანო დაუახლოვდეს საგამომძიებლო აპარატს და ასეთმა გაუწიოს უშუალო ხელმძღვანელობა, მოკვლევის ორგანო დაექვემდებაროს საგამომძიებლო აპარატს.

3. გამომძიებლებს მიენიჭოს უფლება იმ მოკვლევათა მოსპობისა, რომელიც მილიციის ორგანოთა მიერ წარმართული იქნება მოსასპობად, თანახმად სისხ. სამ. საპროც. კოდექსის 105 მუხ. პარაგრაფი პუნქტისა.

საგამომძიებლო აპარატის დაქვემდებარება პროკურატურისადმი.

ცნობილ იქნა საჭიროთ, რათა საგამომძიებლო აპარატი დაექვემდებაროს პროკურატურას მთლიანად, როგორც ადმინისტრატიული, ისე პროცესუალური მხრით და ამით აცილებულ იქნეს ის პარალელობა, რაიც დღემდე არსებობდა.

გამწესრიგებელი სხდომა

გაუქმებულ იქნეს გამწესრიგებელი სხდომა სასამართლოებში და მისი ფუნქციები დაეკისროს მოსამართლეებს ერთპიროვნულად.

საქმეების ერთპიროვნულად განხილვა სახალხო სასამართლოებში.

მთელ რიგ წვრილ სისხლის სამართლის დანაშაულთა შესახებ საქმეების განხილვა მიენდოს ერთპიროვნულად სახალხო მოსამართლეს, იმ დანაშაულთა შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული არიან ს. ს. კ. (ახალ რედაქციით) 61, 62, 67, 68, 79, 81, 85, 86, 88, 89, 90, 91, 92, 93, 98, 103, 108, 111, 112, 113, 130, 131, 132, 155, 156, 158, 166, 174, 175, 176, 177, „ა“ და „ბ“ და 178 მ.მ.

სასამართლოს ძიება.

1. სამაზრო და სახალხო სასამართლოებში სასამართლოს პროცესის (ძიების) მთლიანი სისტემის შესახებ თათბირმა მიზანშეწონილად ჩასთვალა, რათა ის წესი, რომელიც სისხ. სამ. საპროც. კოდექსის მიხედვით არსებობს სამაზრო სასამართლოსათვის გავრცელებულ იქნეს სახალხო სასამართლოებზედაც.

2. საკითხი მხარეების დაშვების შესახებ.

ა) იმ საქმეებზე, რომელიც პროკურატურის მიერ წარმართული არის სასამართლოში საბრალდებლო დასკვნით, პროკურორი ლეზღობას მონაწილეობას საჯარო

სხდომაზე თავის შეხედულობით. საქმეებზე წარმართულ არა საბრალდებლო დასკვნით პროკურორი ლეზღობას მონაწილეობას საქმის განხილვის დროს სასამართლოს დადგენილებით.

ბ) დამცველის მონაწილეობა აუცილებელია შემდეგ შემთხვევაში:

1) როდესაც საქმეში მონაწილეობას ლეზღობას პროკურორი, 2) როდესაც ბრალდებული შეპყრობილი არის ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლებობით, 3) როდესაც დამცველის დაშვებაზე შუამდგომლობენ პროცესუალური, პარტიული ან სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, 4) იმ შემთხვევაში, როდესაც პროკურორი არ ლეზღობას მონაწილეობას პროცესში, სასამართლოს ბრალდებულის შუამდგომლობით შეუძლია დაუშვას დამცველი ბრალდებულთან შეთანხმებით.

გ) მხარეთა კამათი განსაზღვრული უნდა იქნეს რეგლამენტით სასამართლოს შეხედულებით.

დ) რეპლიკების დაშვება შეიძლება სასამართლოს შეხედულებით.

ე) საზოგადო ბრალდებულის დაშვება პროცესში შეიძლება სასამართლოს თავმჯდომარის და პროკურორის შეთანხმებით.

3. როდესაც გამოირკვევა საქმის გადადების აუცილებლობა, სასამართლო ვალდებულია მაშინათვე დაინშინოს შემდეგი სხდომის დრო და აქვე გამოუცხადოს მხარეებს და მოწვევებს ხელწერილის ჩამორთმევით.

4. მიეცეს სასამართლოს უფლება იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა საქმის გადადება, მოახდინოს დაკითხვა გამოცხადებულ მოწვევების, რომლებსაც შემდეგში სასამართლო აღარ გამოიწვევს.

5. იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს ძიებაზე გამოირკვევა ახალი გარემოებანი, რომელნიც ცხადყოფენ ახალი, უფრო მძიმე ბრალდების წაყენების საჭიროებას, სასამართლო წაუყენებს ბრალდებულს ამ ბრალდებას, მოისმენს ბრალდებულის განმარტებას და იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული მოითხოვს საქმის გადადებას ახალი დამამტკიცებელ საბუთების წარმოდგენისათვის, სასამართლო განიხილავს საკითხს ან საქმის მოსმენის შესახებ იმავე სხდომაზე ან და გადადების და საქმის წარმართვის შესახებ წინასწარ გამოძიებისათვის.

6. ცნობილ იქნეს საჭიროთ, რათა წვრილ საქმეებზე სასამართლოს განაჩენი იქნეს საბოლოო, სახელდობრ იმ განაჩენებზე, რომლითაც შეფარდებული არის სოციალურ დაცვის ღონისძიება—ძილებითი მუშაობა 1 თვემდე, ჯარიმა 100 მანეთამდე და სხვა ამაზე დაბალი სოც. დაცვის ღონისძიებანი, როგორც საზოგადო განიკცება და სხვა.

7. სახალხო სასამართლოში განაჩენის დასაბუთება არ წარმოადგენს საჭიროებას (განაჩენი უნდა შეიცავდეს მხოლოდ აღწერილობით ნაწილს, რომელშიაც აღინიშნული იქნება რა დანაშაული ჩადინა ბრალდებულმა და შემდეგ სარეზოლიუციო ნაწილს, რომელშიაც იქნება აღნიშნული დანაშაულის კვალიფიკაცია სათანადო სოციალურ დაცვის ღონისძიების შეფარდებით).

8. იმ კერძო ბრალდების საქმეებზე, რომლის მოსპობა შეიძლება შერეობით—შეიძლება მოსპობა შერეობით აგრეთვე განაჩენის გამოტანის შემდეგაც განაჩენის ძალაში შესვლამდე.

9. სამაზრო სასამართლოსათვის საეალდებულოა განაჩენის დასაბუთება, ე. ი. აღწერა განაჩენში იმ მოსაზრებათა, რომლის მიხედვით სასამართლომ ამა თუ იმ მხილებათა და დამამტკიცებელ გარემოებათა შეფასებით სცნო ბრალდება დამამტკიცებულათ ან დაუმტკიცებულათ.

ამასთანავე სამაზრო სასამართლოს ეძლევა უფლება წინასწარ გამოიტანოს მხოლოდ მოკლე რეზოლიუცია, ბრალდების და სოციალურ დაცვის ღონისძიების აღნიშვნით. ამ შემთხვევაში საბოლოო განაჩენი გამოტანილ უნდა იქნეს არა უგვიანეს სამი დღისა. განაჩენს ხელს უნდა აწერდეს მხოლოდ თავმჯდომარე. ეს წესი არ ვრცელდება იმ საქმეებზე, რომელზედაც გამოტანილი იქნება უმაღლესი სოც. დაცვის ღონისძიება.

საკასაციო წარმოება.

1. დასაშვებია საკასაციო საჩივრის შეტანა ყოველგვარ გარემოებათა და მოტივების აღნიშვნით.
2. საკასაციო ინსტანციას აქვს უფლება შესცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი სოც. და-

ცვის ღონისძიების შემცირებით, უფლება აქვს დასწიოს სოციალურ დაცვის ღონისძიება უმდაბლეს სასოფლო-სამეურნეო და აგრეთვე შესცვალოს ასეთი პირობითი მსჯავრით.

რაც შეეხება სოციალურ დაცვის ღონისძიების გადღობას, ასეთის უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის განხილვა ხდება პროკურორის პროტესტის გამო.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც გამოირკვევა სრული უსაფუძვლობა საკასაციო საჩივრისა, საკასაციო ინსტანციას შეუძლიან გამოიტანოს დადგენილება ბრალდებულისათვის წინასწარ პატიმრობის ჩაუთვლელი შესახებ.

4. ვადა პროტესტის შეტანისათვის ზედამხედველობის წესით განისაზღვრება 6 თვით.

რედაქციისაგან.

იუსტიციის მუშაკთა საყურადღებოდ.

საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკებში სწარმოებს კამათი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა პროცესის გამარტივების ირგვლივ. ჩვენი ჟურნალიც ამ საკითხს დიდ ყურადღებას აქცევს და დიდად დაინტერესებულია იმაში, რომ საკმაო მასალა დაეგროვოს და ასეთი მიაწოდოს იუსტიციის სახ. კომისარიატის საკანონმდებლო განყოფილებას გასარჩევად და საპროცესო ნორმებში შესაფერცვლილებათა შესატანად. სარედაქციო კოლეგია ფიქრობს, რომ საჭიროება პროცესის გამარტივებისა გამოძინარეობს არა მარტო იმის გამო, რომ ბოლო უნდა მოელოს იმ ზღუდეებს, რომლებიც აბრკოლებენ სასამართლო ორგანოების მუშაობას და ართულებენ საქმეების მიმდინარეობას, არამედ იმის გამოც, რომ ზოგიერთი პროცესის უსალოო ნორმები შეიცავენ ფორმალური მნიშვნელობის მოთხოვნებს, რომლებსაც შესრულება სრულებით არ ეხმა-

რება საქმის გამოკვლევას და სწორ გადაწყვეტას. ამ საკითხის ირგვლივ საჭიროა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, სხვადასხვა შეხედულებათა გამოიმუშავება, დაგროვება მასალა მოწოდება, რათა უკვე დაგროვილ გამოცდილებასთან ერთად ამ მასალისა და აზრების განხილვის დროს შესაძლებელი იქნეს სადავო საკითხების სწორი გადაჭრა პრაქტიკულ საჭიროებასთან შეფარდებით.

ამ ნომერში ჩვენ ვაქვეყნებთ საქ. იუსტიციის სახალხო კომისარიატთან მოწვეულ თათბირის მიერ მიღებულ თეზისებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გამარტივებლად. ამ საკითხის გარშემო ვხსნით რა დისკუსიას, მიემართავთ თხოვნით იუსტიციის ყველა მუშაკებს—სახ. მოსამართლეებს, სახ. გამომძიებლებს, პროკურორებს, დამცველთა კოლეგიის წევრებს და ყველა იმათ, ვისაც პროცესის გამარტივების საკითხი აინტერესებთ—მოგვაწოდონ თავიანთი წერილები და შენიშვნები ამ საკითხის გარშემო.

რედაქცია.

კანონმდებლობის შიგომილვა

ამიერ კავკ. ს. უ. ს. რ. კანონმდებლობა

1928 წ. აპრილის 9-დან აპრილის 22-მდე

გოსსახლმობის აღმინისტრატისული აღკრძევა.

О дополнении положения о видах на жительство для иностранцев. (ა/კ. ც. ა. კის და ს. კ. ს-ის 1928 წ. აპრილის 11 დადგ. „ზარ. ვოსტ.“ აპრ. 21, № 92). უცხოელის ჩაწერა შეიძლება მარტოდენ წინასწარმის ბიერ გაცემულ საცხოვრებელი მოწმობის მიხედვით.

ა რ მ ი ა.

Об утверждении инструкции о порядке и условиях проведения в жизнь ст. 2 постановления 3-к. ЦИК об озаглавлении десятилетиями Красной армии. (ა/კ. ს. კ. ს-ის 1928 წ. აპრილის 5 დადგ. № 33—„ზარ. ვოსტ.“ აპრ. 20, № 91). ინსტრუქცია ენება ყოფილ წითელ პარტიზანთა და წითელ გვარდიელთა (აგრეთვე მათი სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ოჯახთა) მეურნეობისათვის დაწესებულ შეღავათების განხორციელებას. ინსტრუქციაში სამი კარია: 1. სათესლე სესხის დავალიანების მოხსნის შესახებ, 2. ზარისხული თესლეულის მიწოდების შესახებ, 3. მიწათმოწყობის დარგში დაწესებული შეღავათების შესახებ.

ჯანმრთელობის დაცვა.

Об обеспечении рабочих лесозаготовительных и сплавных работ медицинской помощью (ა/კ. ს. კ. ს-ის 1928 წ. მარტის 30 № 27—„ზარ. ვოსტ.“ აპრ. 12, № 85) ა/კ. სფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ს. ფ. ს-ებს წინადადება ეძლევათ დააკისრონ ჯანსახკომებს ამ დადგენილების სათურში აღნიშნულ მუშათა სამკურნალო დახმარების მოწყობა შემდეგ საფუძველზე: იმ რაიონში, სადაც არის საავადმყოფო და ამბულატორია, მუშებს სამკურნალო დახმარებას ეს დაწესებულებანი გაუწევენ; იქ, სადაც არც საავადმყოფო და არც ამბულატორია არ არის, ხოლო მუშათა რიცხვი 300 კაცს აღემატება, მოწყობილ უნდა იქნეს სამკურნალო-სამამულატორიო პუნქტი ქსენონით, ხოლო თუ მუშათა რიცხვი 150 კაცს აღემატება, 300 კაცზე ნაკლებია, მოწყობილ უნდა იქნეს საფერზლო პუნქტი. თუ მუ-

შათა რიცხვი 150 კაცზე ნაკლებია, დამკირავებელს უნდა ჰქონდეს სათანადო წამლების და სასანიტარო ჩანთა. აღმინისტრატისევე უნდა ჰქონდეს სატრანსპორტო საშუალებანი ავადმყოფის სამკურნალო დაწესებულებაში გასაგზავნად და სხვ.

შ რ მ ა ა.

О праздничных днях и особых днях отдыха и об отмене постановления от 5 декабря 1927 г. (ა.-კ. ც. ა. კის 1928 წ. მარტის 26 დადგ.—„ზარ. ვოსტ.“ აპრ. 14, № 37). შრომის კანონთა კოდექსის 111 და 112 მუხლი შეცვლილია. მუშაობა აკრძალულია: ა) უქმე დღეებში: ა) იანვრის 1-ს—ახალი წელი; ბ) იანვრის 22—1905 წ. იანვრის 9-ისა და ვ. ლენინის ხსოვნის დღე; გ) მარტის 12—თვითმპყრობელობის დამხობის დღე; დ) მარტის 18—პარიზის კომუნის დღე; ე) მაისის 1—ინტერნაციონალის დღე; ვ) ნოემბრის 7 და 8—პროლეტარული რევოლუციის დღე; ზ) ა.-კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალ რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეები—აპრილის 28—აზერბაიჯანის, ნოემბრის 29—სომხეთის და თებერვლის 25—საქართველოს ტერიტორიასზე; ზ) არასამუშაო დღეს სექტემბრის 20—26 ბაქოელ კომისართა ხსოვნის დღე. ამას გარდა წელიწადში არის ზეუთი დასვენების დღე.

О порядке использования особых фондов заработной платы и утановления персональных окладов и особых вознаграждений за выполнение специальных заданий работникам государственных учреждений и предприятий и акционерных смешанных обществ с преобладающим государственным капиталом. (ა.-კ. ს. კ. ს-ის 1928 წ. აპრილის 7, დადგ. № 26—„ზარ. ვოსტ.“ აპრ. 10, № 83). სახელმწიფო დაწესებულებათა და შერეულ, ხოლო სახელმწიფო კაპიტალის მეტობით მოქმედ სააქციო საზოგადოებათა მუშა-მოსამსახურეებს გასამრჯელო ეძლევათ კოლექტიური ხელშეკრულების, სატარიფო შეთანხმების ან სატარიფო ცბრილის ფარგლებში. ამანზე დიდი განაკვეთი პერსონალურ განაკვეთად ჩაითვლება. უწყების ხელმძღვანელს და ზემოაღნიშნულ სააქციო საზოგადოებათა გამგებებს უფლება აქვთ ნება მისცენ ქვემდებარე დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელებს დაუნიშნონ პერსონალური განაკვეთი არა უმეტეს 360 მანეთისა თვეში—ანა თუ იმ კვალიფიციურ მუშაკს, აგრეთვე გასცენ განსაკუთრებული გასამრჯელო საეციალური დავალების შესრულებისათვის. სათანადო ფონდს მტკიცე რა-

დენობით განსაზღვრავს უწყება, საწარმო და სააქციო საზოგადოება, ხოლო დაამტკიცებს სათანადო ფინსახკომი. ზემოაღნიშნულ მაქსიმუმზე მეტ განაკვეთს 500 მანეთამდე ამტკიცებს ა.კ. ფინსახკომი, ხოლო 500 მანეთზე მეტ განაკვეთს, საერთო-საკავშირო დაწესებულებათა და საწარმოთათვის კი ყველა იმ განაკვეთს, რაც 360 მანეთს აღემატება, ამტკიცებს სსრკ ფინსახკომი.

Об изменении и дополнении инструкции СНК ЗСФСР от 30 июня 1925 г. применения постановления СНК Союза ССР. об условиях применения подсобного наемного труда в крестьянских хозяйствах (ა.კ. ს. კ. ს-ის 1928 წ. მარტის 31 № 28—„ზარ. ვოსტ.“ აპრ. 13, № 86). შეცვლილია ინსტრუქციის 1, 2, 6, 11, 18 19, 20, 43 მუხ. და დამატებულია 9 და 36 მუხლს. დროებითი წესები ვრცელდება გლგნთა ყველა საშრომო მეურნეობაზე. რაც გლგნს აქვს შრომით მიწით სარგებლობისათვის მიცემულ მიწაზე ან იჯარით აღებულ მიწაზე, თუ ოჯახის ყველა შრომის უნარიანი წევრი პირად აღებულია და დაქირავებული მუშის შრომის (ვადით, მუდმივად, დროებით თუ შინა მუშაობისათვის დაქირავებულ იქნება იგი მუშა) აქვს მხოლოდ დამხმარე ხასიათი. გამომავალი შვიძლება მხოლოდ იქ, სადაც განსაკუთრებული გარემოების გამო შრომის უნარის მქონე ოჯახის წევრი ადგილობრივ არ იმყოფება. გლგნთა სამარწველო ტიპის მეურნეობაზე ვრცელდება საბჭოთა მეურნეობის შრომის პირობების კანონით; ამასთანავე განსაზღვრულია, რა ნიშნების მიხედვით ესა თუ ის მეურნეობა სამარწველო ხასიათის მეურნეობად უნდა ჩაითვალოს, და დადგენილია, რომ წლიური შემოსავლის უკიდურესი ნორმა და თვით მეურნეობის უკიდურესი სიდიდე (ესეც ნიშნებით) ამ შემთხვევაში განსაზღვრება რესპუბლიკების ს. კ. ს-ის დადგენილებით. დანარჩენი ცვლილება შეეხება მუშის დაქირავებას, არასამუშაო დღეებს, გასასვლელ დანებებას, სოციალურ ღირსებას და სხვ.

Об установлении Советами Народных Комиссаров республик, входящих в ЗСФСР, размеров крестьянских хозяйств, на которые не распространяются временные правила об условиях применения подсобного наемного труда и крестьянских хозяйств (ა.კ. ს. კ. ს-ის 1928 წ. მარტის 31 დადგ. № 30—„ზარ. ვოსტ.“ აპრ. 13, № 86). ეს დადგენილება გამოცემულია ზემოდ მოყვანილ დადგენილებასთან დაკავშირებით. ს. კ. ს-ის მეურნეობის წლიური შემოსავლის უკიდურესი ნორმა და მეურნეობის სიდიდე უნდა განსაზღვრონ არა უგვიანეს ა/წ. მაისის 1-ისა.

მ შ ე მ ე ლ ო ბ ა .

О дополнении постановления СНК ЗСФСР № 16 от 1 марта 1928 г. „о недопустимости приступа и строительным работам ранее надлежащего оформления их проектов“ (ა.კ. ს. კ. ს-ის 1928 წ. მარტის 30 დადგ. № 29—„ზარ. ვოსტ.“ აპრ. 14, № 37). ყველას, ვინც სამშენებლო სამუშაო პროექტის დაუმტკიცებლად ა/წ. მარტის 10-მდე დაიწყო, დევალა სამი თვის განმავლობაში დადგენილების გამოტყვევების დღიდან წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად სათანადო ორგანოს.

ს ა მ . ს . ს . რ . კ ა ნ ო ნ ე დ ე ბ ლ ო ბ ა

1928 წ. აპრილის 9-დან აპრილის 22-მდე

მ ო ს ა ხ ლ ო ბ ო ბ ის ა ლ მ ი ნ ის ტ რ ა ბ ი უ ლ ი ა ლ რ ი ო ც ხ ა .

ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში მოქალაქეთა ჩაწერვის შესახებ სახლის დავთარში (საქ. ს. კ. ს-ის 1928 წ. მარტის 23—კან. კრ. 1928 წ. № 4, მუხ. 37). ყოველი მოქალაქე, რომელიც მივა ქალაქში ან ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას საცხოვრებლად, თუნდაც დროებით, ხოლო სამ დღეზე მეტი ხნით, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს თავისი მისვლა სახლის სამთურაოს (სახლის პატრონს ან მოიჯარადრეს), სასტუმროს ან საცხოვრებლად მოწყობილი ოთახების პატრონს. სახლის სამთურაო, სახლის პატრონი ან მოიჯარადრე ვალდებულია 72 საათის განმავლობაში შეიტანოს ცნობა მოსულ პირის შესახებ სახლის დავთარში და ჩანაწერი გაატაროს სათანადო სამილიციის სამმართველოს (რაიონის ან მაზრის) რეგისტრაციის განყოფილებაში და საცხოვრებლად მოწყობილი ოთახების ადმინისტრაციამ ეს უნდა შეასრულოს 12 საათის განმავლობაში, თუ მდგომარეობა საცხოვრებლად რჩება არა ნაკლებ 24 საათისა. სახლის დავთარში ჩანაწერად საქართველოს ერთ-ერთი შემდეგი დოკუმენტი: ა) ვინაობის მოწმობა, ბ) საექტო (ან ძველი სამეტრიკო) ამონაწერი დაბადების ან ქორწინების შესახებ, გ) სანგარიშო წიგნაკი ან სხვა მოწმობა სამუშაოს ან სამსახურის აღვლინის, დ) პროკავშირის საწევრო წიგნაკი, ე) დოკუმენტი სასწავლებელში მოწაფედ ყოფნის ან კურსის დათმობის შესახებ, ვ) ვინაობის უვადო წიგნაკი თუ მისულ პირს არც ერთი ზემოაღნიშნული დოკუმენტი არ ექნება იგი შეიძლება დროებით, ხოლო არა უმეტეს სამი თვისა, ჩაიწეროს დავთარში მისივე წერილობითი განცხადების მიხედვით. სამხედრო ვალდებულებ უნდა მოეთხოვოს, სათანადო დოკუმენტის გარეშე, პირად წიგნაკი ან სხვა დოკუმენტი, საიდანაც ირკვევა დამოკიდებულება სამხედრო სამსახურთან, უცხოელი მოქალაქე ჩაიწერება უცხოელთათვის დაწესებულ საცხოვრებელი მოწმობის მიხედვით. მოქალაქის საცხოვრებელი მოწმობის მიხედვით. მოქალაქის საცხოვრებელი ადგილიდან წასვლა სახლის სამთურაომ 2 დღის განმავლობაში უნდა აღნიშნოს დავთარში და გაატაროს მილიციის სამმართველოს რეგისტრაციისში.

სამოქალაქო სამართალი.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 101 მუხ. შეცვლისა და შევსებისა და ამავე კოდექსიდან 101 მუხ. და მისი შენიშვნის ამოშლის შესახებ (სრ. საქ. ც. ა. კ-ის და ს. კ. ს-ის 1928 წ. მარტის 21, დადგ. № 15—კან. კრ. 1928 წ. № 4, მუხ. 31; „კომუნისტ“ აპრ. 18 № 89). მოვალის დაგირავებული ქონებისა, თუ სხვა მისი ქონება საკმარისი არ იქნება წარდგენილ გადასახადთა გასატყუარებლად, უპირატეს მოგირავების პრეტენზიებისა, დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს ქვემოაღნიშნული კატეგორიის გადასახადები: 1 რიგში—რკინის გზ-ს ის მოთხოვნა, რაც რ. გ. წესდების 68 მუხლიდან გამომდინარეობს; მე-2 რიგში—ის ვალი, რაც შესდგება მუშა-მოსამსახურეთა ხელფასისა, სოციალურ ფონის გადასახადისა და ალიმენტებისა; მე-3 რიგში—დაგირავებულ ქონებაზე დადებული სააქციო გადასახადები, თუ ეს ქონება იმ დროს არის დაქირავებული, როდესაც იგი წარმოების ალგასს, საბაზისო საწყობში ან საბაჟოში იყო; მე-4 რიგში—ის მოთხოვნა, რაც საკრედიტო-საკოოპერაციო ორგანიზაციებში შეტანილი ანბარის უნა დაბრუნებას შეეხება; მე-5 რიგში—საკრედიტო დაწესებულების მიერ საკრედიტო-საკოოპერაციო ორგანიზაციებთან მიმართული მოთხოვნა იმ სესხის გამო, რაც აღნიშნულმა ორგანიზაციებმა მიიღეს საკრედიტო დაწესებულებიდან სთვლის მეურნეთა, შინამარწველო და ხელოსნებისათვის სესხად დასარიგებლად (იმ სესხის გარდა, რაც მიცემულია ძირითადი ან სპეციალური კაპიტალის შესატყუარებლად; მე-6 რიგში—არსებული წესით მოამქმნელი საკრედიტო დაწესებულების ისეთი მოთხოვნა, რაც გირათითა უზრუნველყოფილი; მე-7 რიგში—ყოველგვარი, როგორც საერთო-სახელმწიფო, ისე ადგილობრივი გადასახადისა და გამოსადების ნარჩენი, საურავი, ჯარიანი და გადადღეობის გამოწვეული ხარჯი, რაც დაწესებულია გადასახადის და გამოსადების აკრების კანონით; აგრეთვე ასეთი სესხის ნარჩენი, რაც პირდაპირ საერთო-სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტებიდან არის გაცემული, და ბანკების პრეტენზია ისეთი სესხის გამო, რაც უზრუნველყოფილია ფინანსთა სახკომისარიატის საგარანტიო წერილებით. **ქ რ ე ღ ი ტ ი .**

საკვარტალო საკრედიტო გეგმების შემუშავების, შედგენისა და დამტკიცების შესახებ (საქ. ს. კ. ს-ის 1928 წ. აპრილის 3 დადგ. „კომუნისტ“ აპრ. 20, № 91). საქართველოს ფარგლებში მომქმნელ ყველა ბანკმა, აგრეთვე სამეურნეო ორგანიზაციამ უნდა წარუდგინოს საქ. სახელმწიფო საგეგმო კომისიას საკვარტალო საკრედიტო გეგმების შესადგენად საჭირო ცნობები თვეებრივით ადრე, ვიდრე შემდეგი მორიგი კვარტალი დაიწყებოდეს. საგეგმო კომისიის მიერ დამუშავებული მასალები წარედგინება ეკონომ. რომელიც დამტკიცებულ საორიენტაციო საკრედიტო გეგმას დაუგზავნის პაეტებში.

საადმინისტრაციო სამართალი.

დებულება საქართველოს სსრ მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის შესახებ (სრ. საქ. ც. ა. კ-ის და ს. კ. ს-ის 1928 წ. მარტის 21 დადგ. № 17—კან. კრ. 1928 წ. № 4, მუხ. 33). მიწისაგრობის სათავეში სტგას სახალხო კომისარიატი, რომელსაც ჰყავს მუდმივი მოადგილე მიწსაკრედიტო-არსებობის სათაბოთს ორგანო—ყოველგვარი, თავისი სამდივნოთი და მიწსაკრედიტო საგეგმო კომისიით და საადმინისტრაციო საბჭო. სახკომი განიყოფილება შემდეგ სამმართველოებად: 1) საადმინისტრაციო-საფინანსო, 2) სასოფლო-სამეურნეო, 3) მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო მამულებისა, 4) საგეტერინარო და 5) სატყეო. სახალხო მამულები (ტრესტებად მოწყობილი საბჭოთა მეურნეობანი) გაერთიანებულია მიწსაკრედიტო არსებულ, სამეურნეო ანგარიშით მომქმედ. სახალხო მამ. ტრესტში. **ს ო რ უ ლ ი ს მ ე უ რ ნ ო ბ ა .**

საქართველოს სსრ-ში საგაზაფხულო თევის კამპანიისათვის მეთვალყურეობისა და კონტროლის გაწევის შესახებ (საქ. ს. კ. ს-ის 1928 წ. მარტის 26 დადგ. კან. კრ. 1928 წ. № 4, მუხ. 38). საერთო მეთვალყურეობა და კონტროლი დაეკისრა ს. კ. ს-ის თავმჯდომარის მოადგილე ს. ჯ. ვლელს, რომელიც დაინიშნა ს. კ. ს-ის და ეკონომ. რწმუნებულად 1928 წ. საანგელო კამპანიის განხორციელებისათვის. მას უფლებია მიეცეს: მოსახლეობის ყველა ორგანოს ცნობა ამ კამპანიისათვის მიღებულ ღონისძიებათა და კამპანიის მსვლელობის შესახებ; წინადადება მისცეს ყველა დაწესებულებას, საწარმოს, ორგანიზაციას და თანამებლობის პირს—ააქციოდ საანგელო კამპანიისათვის მიღებულ ღონისძიებათა განხორციელების საქმეს ყოველგვარი ნაწილ და დაბრუნება და მოთხოვოს დამნაშავეს მიცემა პასუხისმგებანი: მოაწიოს, თუ საქირი იქნება, მიღებულ ღონისძიებათა გამოკვლევა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის 1928 წლის რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შესახებ (სრ. საქ. ც. ა. კ-ის 1928 წ. მარტის 26 დადგ. № 18—კან. კრ. 1928 წ. № 4, მუხ. 34). 1928 წ. რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსი შედგენილია სამოქმედოდ ა/წ. მაისის 1-დან მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, აუბაზეთის სსრ, აჭარისტანის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის აო ტერიტორიათ. დადგენილებაში გათვალისწინებულია, რა წესით ახალი კოდექსი შეფასებულ უნდა იქნეს მის შემოღებამდე აღძრულ საქმეთათვის.

ოფიციალური ნაწილი



შინაარსი: ამონაწერი ს. ს. რ. კავშირის ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებიდან. — წესი სანოტარო მოქმედების სასყიდლის გადახდისა. — ნუსხა სანოტარო სასყიდლისაგან განთავისუფლებული დაწესებულებების, პირებისა და დოკუმენტებისა. — ნიხრი სანოტარო მოქმედების სასყიდლისა. — ნიხრი სანოტარო კანტორებში წარმოებული ტექნიკური მუშაობის სასყიდლისა. — წესები დასკვნის გამოსატანად იმის შესახებ, თუ რამდენად მძიმეა სხეულის დაზიანება.

ა მ რ ნ ა წ ი რ ი

ს. ს. რ. კავშირის ც. ა. კ-ის პრეზიდიუმის 1928 წ. თებერვლის 29 სხდომის ოქმი № 41-დან.

მ ო მ მ ი ნ ე მ ს :

- ამ.კავკ. ს. ფ. ს. რ.—ც. ა. კ-ის პრეზიდიუმის წარდგენა:
 - ა) აზერბაიჯანის ს. ს. რ. საოლქო სასამართლოებისა და საოლქო პროკურატურის გაუქმებისა და უდიდეს საქმეთა სახალხო სასამართლოებისა და სამაზრო პროკურატურის დაარსების საკითხის გამო;
 - ბ) საქართველოს ს. ს. რ. საოლქო სასამართლოებისა და საოლქო პროკურატურის გაუქმებისა და სამაზრო სასამართლოებისა და სამაზრო პროკურატურის დაარსების საკითხის გამო (ს. ს. რ. კავკ. ც. ა. კ-ის სამდივნოს ოქმი № 33, 3, 10; ს. ს. რ. კავკ. ც. ა. კ-ის პრეზიდიუმის ოქმი № 15, 3, 12), საქმე № 347. 991 (12).

დ ა ა დ გ ი ნ ე მ ს :

- თანახმად ს. ს. რ. კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოს მოწყობის საფუძვლების მე-2 მუხლის შეზღუდვისა ამ.კავკ. ს. ფ. ს. რ. ც. ა. კ-ის პრეზიდიუმის მიერ უფლება:
 - ა) მოახდინოს აზერბაიჯანის ს. ს. რ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი სასამართლოს სისტემის რეორგანიზაცია იმ საფუძველზე, რაც გათვალისწინებულია ამ.კავკ. ს. ფ. ს. რ. ც. ა. კ-ის პრეზიდიუმის 1927 წ. დეკემბრის 5 დადგენილებაში, ისე, რომ უდიდეს საქმეთა სასამართლოების შედგენილობა ქ. ბაქოსა და განჯაშიც დაწესებულ იქნეს საერთო საფუძვლით სახალხო მსაჯულთა მონაწილეობით.
 - ბ) მოახდინოს საქართველოს ს. ს. რ. ტერიტორიაზე მოქმედი სასამართლოს სისტემის რეორგანიზაცია იმ საფუძველზე, რაც გათვალისწინებულია ამ.კავკ. ს. ფ. ს. რ. ც. ა. კ-ის პრეზიდიუმის 1927 წ. დეკემბრის 5 დადგენილებაში, ისე, რომ სამაზრო სასამართლოს შედგენილობა ქ. ტფილისისა და ქუთაისშიც დაწესებულ იქნეს საერთო საფუძვლით—სახალხო მსაჯულთა მონაწილეობით.
- საქართველოს ს. ს. რ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე ახლად მოწყობილ სამაზრო სასამართლოს გადაწყვეტილება, განაჩენი და დადგენილება კანონიერ ძალის მქონედ ჩაითვალოს იმ მომენტიდან, რაც ამ სასამართლებმა ფაქტიურად დაიწყეს მოქმედება.

ს. ს. რ. კ. კავშირის ც. ა. კ-ის მდივანი—**ენუქიძე.**

წ ე მ ი სანოტარო მოქმედების სასყიდლის გადახდისა.

- სახელმწიფო სანოტარო კანტორის ან სახალხო მოსამართლის მიერ შესრულებული ყოველი სანოტარო მოქმედებისათვის უნდა გადახდილ იქნეს სასყიდელი ამასთანავე დართული ნიხრით განსაზღვრული განაკვეთების მიხედვით.

შ ე ნ ი ვ ე ნ ა. სასყიდელი თემის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ შესრულებულ სანოტარო მოქმედებისათვის, უნდა გადახდილ იქნეს განსაკუთრებული ნიხრით.
- სასყიდელი სანოტარო მოქმედებისათვის არ გადახდება ისეთ გარიგებებს და დოკუმენტებს, რომელიც ჩამოთვლილია ამასთანავე დართული ნუსხის (სანოტარო სასყიდლისაგან განთავისუფლებული დაწესებულებების, დოკუმენტების და პირების ნუსხის) მე-2 ჩაწილში.
- აღნიშნული ნუსხის 1-ნაწილში ჩამოთვლილი პირნი და დაწესებულებანი არ განთავისუფლებებიან სანოტარო მოქმედების სასყიდლისაგან იმ შემთხვევაში, თუ მათთან ერთად ერთ მხარეზე გარიგებასა და დოკუმენტში მონაწილეობას იღებს ისეთი პირი, ვინც განთავისუფლებული არ არის სანოტარო სასყიდლისაგან.

ხოლო, თუ გარიგებაში მონაწილე ერთი მხარე განთავისუფლებულია სანოტარო სასყიდლისაგან, მეორე კი განთავისუფლებული არ არის, ეს უკან.სკნელი იხდის მხოლოდ იმდენ სასყიდელს, რაც მას შეეძლება.
- ნოტარს ან სანოტარო მოქმედების აღმასრულებელ სხვა პირს შეუძლიან სანოტარო სასყიდლისაგან განთავისუფლოს ისეთი

- პირიც, ვინც ნუსხაში არ არის აღნიშნული, თუ მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების—მიხედვით სკნობს, რომ მას უსასხროების გამო არ ძალუძს აღნიშნული სასყიდლის გადახდა. ეს წესი არ გავრცელდება გარიგებაზე.
- სანოტარო მოქმედების სასყიდელი უნდა გადახდილ იქნეს ამ მოქმედების შესრულებამდე.
- სანოტარო მოქმედების სასყიდლის ნაწილ-ნაწილ გადახდა არ შეიძლება.
- გარიგების თანხის გამოანგარიშება სანოტარო სასყიდლის გამოსარკვევად ხდება იმავე წესით, რითაც ხდება საღებო გამოსაღების გამოანგარიშება. ამასთან არა სრული ასი მანეთი სრულ ას მანეთად ჩაითვლება.
- თუ სანოტარო წესით დასამოწმებელი გარიგების თანხა გამორკვეული არ არის, დამოწმების დროს გადახდილ უნდა იქნეს ხუთი მანეთი (ნიხრის მე-6 მუხ.). თუ გამორკვეულია გარიგების თანხის რაიმე ნაწილი, სასყიდელი გადახდება ამ გამორკვეულ ნაწილს, ნიხრის სათანადო განაკვეთის მიხედვით. ხოლო შემდეგ, გარიგების თანხის გამორკვევისა და გვარად, სასყიდელი უნდა გადახდეს გამორკვეულ თანხაზე ორი კვირის განმავლობაში დღიდან გამორკვევისა იმ სათანადო განაკვეთის მიხედვით, რაც გამოუკვევის დღეს მოქმედობდა. ამ გარიგების დამოწმების დროს უკვე გადახდილი ხუთი მანეთი ჩაითვლება გარიგების თანხის მიხედვით გადასახდელ სასყიდელში.
- შ ე ნ ი ვ ე ნ ა. სანოტარო წესით დამოწმებული გარიგების ასლი, რომელზედაც უნდა გადახდებოდეს იქნეს დამატებითი სასყიდელი და ადგილობრივი განოსაღები, სანოტარო კონტორამ უნდა გაუგზავნოს, არა უგვიანეს ორი კვირისა გარიგების დამოწმების დღიდან, სათანადო ფინორგანოს, ეს უკანასკნელი თვითონ უშუალოა გადახდებოდეს დამატებითი სასყიდელს და შეიტანს მას იუსტიციის სახ. კომისარიატში სანოტარო სასყიდლის სახით შემოსულ სპეციალურ სახსრად.
- უკე თუ გარიგებაში მინაწილენი წინა მუხლში აღნიშნული ვადის განმავლობაში არ შეიტანენ დამატებით სასყიდელს, მათ, იმ მონაწილეს გამოკლებით, ვინც განთავისუფლებულია სანოტარო სასყიდლისაგან, გადასახდელი სასყიდლის გარდა, გადახდებთან სოლდარულად ჯარიმა აღნიშნული სასყიდლის რაოდენობით.

სახელმწიფო დაწესებულებას და ბარჯთ-ორიცხვია წესით მოქმედ სახელმწიფო საწარმოს სანოტარო სასყიდლის ვადაზე შეტანლობისათვის ჯარიმა არ დაედება, ხოლო ის თანამდებობის პირი, ვის გამოც აღნიშნული სასყიდელი ვადაზე არ იყო შეტანილი, მ სი უფროსის განკარგულებით, მიიცემა პასუხის გებაში სადიციპლინო წესით.
- სანოტარო კანტორები აწარმოებენ იმ გარიგებათა აღნუსხვას, რომელთაც, იუსტიციის სახ. კომისარიატის მიერ ფინანსთა ს.ხ. კომისარიატთან შეთანხმებით გამოცემული წესით, უნდა გადახდეთ დამატებითი სანოტარო სასყიდელი.
- უკე თუ სამაზრო საფინანსო განყოფილება აღმოაჩენს, რომ სანოტარო დამატებითი სასყიდელი ვადაზე არ ყოფილა შემოტანილი, იგი გამოიტანს დადგენილებას იმ პირთა დაჯარიმების შესახებ, ვინც ვადაზე არ შეიტანა სასყიდელი და გადასახდებინებს მათ სასყიდელს და ჯარიმას უდავო წესით „გადასახდა აკრფის დებულებაში“, კან. კრებ. 1925 წ. № 70, 153 მუხ. ამავე დროს, თუ აღნიშნული სასყიდელი თანამდებობის პირის მიხედვით არ იქნება ვადაზე შეტანილი, ეს ეცნობება ამ პირის უფროსს მის მისაცემად პასუხისგებაში სადიციპლინო წესით.
- საფინანსო განყოფილების დადგენილება შეიძლება ორი კვირის განმავლობაში განსაჩივრებულ იქნეს საქართველოს ს. ს. რ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატში. საჩივრის შეჯანაგ დახდებინებას ვერ შეაჩერებს, მაგრამ საფინანსო განყოფილებას უფლება აქვს შეეჩიროს გადასახდებინება.
- უკე თუ სანოტარო კანტორა აღმოაჩენს, რომ სანოტარო სასყიდელი ვადაზე არ ყოფილა შეტანილი, იგი გამოანგარიშებს იმ სასყიდელს და დასადებ ჯარიმას და თუ სათანადო მხარე არ გადინდის დაუყოვნებლოდ სასყიდელს და ჯარიმას, ამას სანოტარო კანტორა აცნობებს საფინანსო განყოფილებას გადასახდებინებლად უდავო წესით. თანამდებობის პირის მიერ ჩადენილი დარღვევა ეცნობება მის უფროსს.
- სანოტარო კანტორის მიერ სასყიდლის და ჯარიმის გამოანგარიშება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს სამაზრო სასამართლოში ს.მ.ოქ. 14. სპარ. კოდ. 231—233 მუხ. აღნიშნული საერთო წესით.
- სანოტარო მოქმედების დამატებითი სასყიდლის გადახდისთანავე უნდა შეტანილ იქნეს ამ სასყიდელზე ადგილობრივი სახსრის გასაძლიერებლად დაწესებული ზედნართი.

15. ზედმეტად გადახდილი სასყიდლო, აგრეთვე სასყიდლო, გადახდილი ისეთი აქტის გამო; რომლის ქმნაზე სანოტარო კანტორამ ან თვით მხარეებმა უარი სთქვეს, ან და ისეთი აქტის გამო, რომლის ქმნა სასამართლომ სწორად არა სცნო, კანტორამ უნდა დაუბრუნოს გადახმულს ან ჩაუთვალოს ახალი აქტის ქმნის დროს.

გადახმულს არ დაუბრუნდება მხოლოდ ის სასყიდლო, რაც გადახდილია ტენიკური სამშუღის შესრულებისათვის, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც აქტის ქმნა სასამართლომ სწორედ არა სცნო. გადახდილი სასყიდლის უკან დაბრუნების შესახებ განცხადების შეტანისათვის დაწესებულია ერთი წლის ვადა დღიდან სასყიდლის გადახდისა.

16. ამა წესების გამოცემისთანავე ძალას ჰკარგავს ყველა წინათ გამოცემული წესი სანოტარო მოქმედების სასყიდლის გადახდისა.

10 აპრილი 1928 წ.

იუსტიციის სახალხო კომისარი ვარძიელი.

ფინანსთა სახალხო კომისარი გ. მგალობლიშვილი.

ნ უ ს ხ ა

სანოტარო სასყიდლისაგან განთავისუფლებული დაწესებულებების, პირების და მოკუთმენებლისა.

I. სანოტარო სასყიდლისაგან განთავისუფლებული დაწესებულებანი და პირნი:

1. გლეხთა საურთიერთო დახმარების კომიტეტი.
2. სოციალური უზრუნველყოფის ორგანიზაცია მიერ მოწყობილი ინვალიდების კოოპერატიული შენაერთი.

3. ბავშვთა უპატრონობასთან საბრძოლველად დაარსებული

4. შრომის ბირჟის მიერ მოწყობილი და მის გამგებლობაში მყოფი საწარმოებელი და საკაპო საწარმო, აგრეთვე უმუშევართა შრომითი კოლექტივები და შრომის ბირჟასთან მოწყობილი საწარმოს ან კოლექტივის გამგებთა (სამართლებელი).

5. ის პირი, ვინც სამოქ. სამ. კოდ. 44 მუხლის „გ“ პუნქტით განთავისუფლებულია სასამართლო საქმეებზე გადასახდელ გამოსაღებისაგან, განთავისუფლებდა სანოტარო სასყიდლისაგან ისეთი დოკუმენტის და ასლის შემოწმების დროს, რომელიც უნდა წარადგინოს სასამართლო გამოსაღებისაგან განთავისუფლებულ საქმეებზე.

6. ის პირი, ვინც სოციალური უზრუნველყოფაზე იმყოფება.

7. ის პირი, ვინც სრულიად საქ. საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების ორგანიზაცია ნებართვით, მიემგზავრება საზღვარგარეთ ნათესავებთან, განთავისუფლებდა სანოტარო სასყიდლისაგან იმ დოკუმენტების შემოწმების დროს, რომელიც უნდა წარადგინოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს და უცხო ქვეყნის (საკონსულოს).

8. სახალხო მშენა აშენებელი, არტელი და სხვა შენაერთი.

9. წყალზე მამულთა ნებაყოფლობით საზოგადოება იმ დოკუმენტების შემოწმების დროს, რაც უკვე არსებულ და ახლად მოწყობილ საზოგადოებათა ორგანიზაციის რეგისტრაციას. ს. ს. რ. კ-რის კან. კრებ. 1925 წ. № 54, 433 მუხ.

10. საპატიმრო ადგილთა მუშური ნაწილები.

11. საურთიერთო დახმარების შრომითი სალარო.

12. წითელი ჯვარი და წითელი ნახევარმთვარი.

II. სანოტარო სასყიდლისაგან განთავისუფლებული დოკუმენტები:

1. საბინაო კოოპერაციის კავშირებისა და იმ ორგანიზაციების მიერ სადამშენებლო საქმიანობისათვის ქმნილი დოკუმენტები, ვინც მუშათა საბინაო-სადამშენებლო საქმეს ეწევა.

2. მოხალისეთა სახანძრო ორგანიზაციის ყველა ის დოკუმენტი, რაც კი დაკავშირებულია იმ ორგანიზაციის ჩამოყალიბებასთან.

3. მთავარ საკურორტო სამართლებლოსა და მის ორგანიზებთან, აგრეთვე ადგილობრივ საკურორტო შენაერთთან დადებული ხელშეკრულება სანატორიუმის და სხვა სამკურნალო საკურორტო დაწესებულების ან ამ სანატორიუმის თუ დაწესებულებაში ცალკე საწოდლის დაქირავების შესახებ მარტოდენ მუშების, მოსამსახურეების და ინვალიდების წამლობისათვის.

4. დოკუმენტი ისეთ საქმეზე, რაც დაკავშირებულია მოქალაქეთა გაწვევასთან სამხედრო სენსახურში და ამ სამსახურის მოხდასთან.

5. საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის ფინანსთა სან. კომისარიატის მიერ ოქროს შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულება, აგრეთვე ხელშეკრულება ოქროს შესყიდვის შესახებ, დადებული ფინანსთა სან. კომისარიატის კონტრაგენტის მიერ იმ მანდატის ძალით, რასაც აღნიშნული კომისარიატი მისცემს. ს. ს. რ. კ. სახალხო კომისარიატის 1924 წ. სექტემბრის 23-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ. დადგენილება „სახელმწიფო და კერძო მრეწველობის გაძლიერების შესახებ“ ს. ს. რ. კ. კან. კრებ. 1924 წ. № 15, 151 მუხ.

6. სახელმწიფო სათესლე სესხის ხელშეკრულება, დადებული უშუალოდ მოსახლეობასთან.

7. შრომის განყოფილებასა და სახელმწიფო ორგანოს შორის დადებული ხელშეკრულება ამ განყოფილების მიერ საზოგადოებრივ სამუშაოს შესრულების შესახებ.

8. ხელშეკრულება, დადებული ომის ინვალიდთა სრულიად საქართველოს კომიტეტის მიერ თვისი დებულების ფარგლებში.

9. სასოფლო-მეურნეობის ელექტროფიკაციის საქმიანობისათვის დადებული ხელშეკრულება ყოველგვარი ძირის, ელექტრო-მანქანების, ხელსაწყოების და მასალის მიწოდების შესახებ ელექტრო სადგურების და ქვე-სადგურების მოსაწყობად, ხელშეკრულება ელექტრო-გადამცემების, დაბალი და მაღალი ტენიის და დენის ქსელების ელექტროსიმბოლოების და ელექტროს ვენერაციით მომწოდებელი მანქანების მიწოდების შესახებ სოფლის მოსახლეობისათვის მათი სამეურნეო-სამრეწველო და კულტურული საქმიანობის დასაქმავიყოფილად, აგრეთვე ისეთი წვრილი სამეურნეო საწარმოსათვის, სადაც ხდება თვითდაპირველი გადამამუშავება სოფლის მეურნეობის ან შინამრეწველობის პროდუქციისა, და ბოლოს ხელშეკრულება ზემოთაღნიშნულ ელექტროდადგმულებათა აგებისა და მომართვის შესახებ; საკრედიტო გარიგება, დადებული სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციისათვის საჭირო ელექტროდადგმულების ასაგებად და მომართვად; ხელშეკრულება სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციისათვის საჭირო ქონების იჯარის შესახებ. ს. ს. რ. კ. კან. კრებ. 19 6 წ. № 3,63 მუხ.

10. ყოველგვარი დოკუმენტი, რომელიც ეხება სამუშაო ხელფასის და მასთან გათანაბრებული გადასახდელის, სარჩოი, აგრეთვე სოციალური უზრუნველყოფის და დასვენების პენსიების და დახმარების მიღებას და გ დახდევინებას.

11. შენობის და აღნაგობის უფლების შეკვრა და ამის შესახებ ცნობის მიცემა უდავო წესით გადამდევინებელი სახელმწიფო ორგანოსა და თანამდებობის პირისათვის სისხლის სამართლის საქმეებზე და აგრეთვე იმ პირის საქმეზე, ვინც სასამართლოს მიერ, სამოქ. სამ. კოდ. 44 მუხ. „გ“ პუნქტის ძალით ხელმოკლედ იქნება ცნობილი.

12. ისეთი გარიგება, სადაც მონაწილეობას იღებს რევოლუციის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ზაზოგადოება, თუ კანონით იმ გარიგების სანოტარო წესით დამოწმება საკლებელია; აგრეთვე გარიგება, დადებული საგადაცემო-ქიმიური თვითდაცემისათვის დამხმარე საზოგადოების მიერ.

13. ამა წესების გამოცემისთანავე ძალას ჰკარგავს ყველა წინათ გამოცემული წესა „სანოტარო სასყიდლისაგან განთავისუფლებულ დაწესებულებების, პირების და დოკუმენტებისა“.

10 აპრილი 1928 წ. კ. თბილისი.

იუსტიციის სახალხო კომისარი ვარძიელი.

ფინანსთა სახალხო კომისარი გ. მგალობლიშვილი.

ნ ი ხ რ ი

სანოტარო მოქმედების სასყიდლისა.

I. სანოტარო წესით დამოწმებისათვის გადახდილ უნდა იქნება:
ა) სესხის ხელშეკრულების დამოწმებისათვის (თამასუქის, სესხის და სხვა სახელი ვალდებულებისა), და ანგარიშების და სხვა შემოწმებისათვის—გარიგების თანხის 1/2%, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ ერთი მანეთისა.

ბ. წინასწარი ნასყიდობის და სხვა წინასწარი ხელშეკრულებების, აგრეთვე ისეთი გირავნობის ხელშეკრულების დამოწმებისათვის რაც დადებულია სანოტარო წესით დამოწმებული გარიგებიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველსაყოფად-გარიგების თანხის 1/2%, მაგრამ არა ნაკლებ 5 მანეთისა.

2. ისეთი გირავნობის ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისათვის, რაც დადებულ იქნება მშენებლობის საქმიანობისათვის ხელშეკრულებისა—გარიგების თანხის 1/4%, მაგრამ არა ნაკლებ მანეთისა.

3. სანოტარო წესით დამოწმებისათვის:
ა. ამხანაგობისა (სრული და ნდობის) შენაერთი კაპიტალის 1%, მაგრამ არა ნაკლებ 20 მანეთისა.

ბ) ამხანაგობისა (მარტივი—შენაერთი კაპიტალის 1%, მაგრამ არა ნაკლებ 5 მანეთისა).

გ. ამხანაგობისა (მარტივი, სრული და ნდობის), სადაც თუნდაც ერთ მხარედ მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციები ან სახელმწიფო ორგანიზაციის თანხარის სხვა ორგანიზაცია—ხელშეკრულების თანხის 1/2%, მაგრამ არა ნაკლებ 5 მანეთისა.

4. ისეთი ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისათვის, რაც დადებულ იქნება საქმიან საზოგადოების (საპაო ან მანაგობის) დასაარსებლად და აგრეთვე ამხანაგობისა შესრულებული მასშინსმგებლობით—100 მან.

5. ისეთი ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისათვის, რაც დადებულ იქნება საქართველოს სან. მეურ. უმაღლესი საბჭოს მიერ სამთო სამრეწველო საწარმოსთან ამ უკანასკნელისათვის უკვე აღმოჩენილი მთამადნეულის საბადოს იჯარით გადაცემის შესახებ (25 მუხ. დებულებისა „წყლისა და მისი დამუშავების შესახებ“ ს. ს. რ. კ-რის მუშათა და გლეხ. მთავრობის „მუშაყველი“ № 1,

19 მუხ.) და აგრეთვე „მანდელულობა-ლითონის ვაჭრობა“ („руде-
таиторг“) — თან დადებულ ხელშეკრულებისა — ხელშეკრულების თან-
ხის 1/16%, მაგრამ არა ნაკლებ — 3 მანეთისა.

6. სანოტარო წესით დამოწმებისათვის:
ა. ისეთი გარიგებისა, რომლის შეფასებაც არ შეიძლება — 5 მან.

ბ. აღნაგობის უფლების დასამყარებლად დადებული ხელშეკრულებისა — ხელშეკრულების თანხის 1/4%, მაგრამ არა ნაკლებ 1 მანეთისა, ხოლო თუ აღმწავი, ხელშეკრულების პირობების თანხის მიხედვით, ინდის მხლოდ იმდენ საიჯარო ქირას, რამდენიც უდრის ძირითადი და დამატებითი საადგილმამულო რენტის განაკვეთს-1 მან.

შენიშვნა. ისეთი ხელშეკრულების დამოწმებისათვის, რომელიც მყარდება აღნაგობის უფლება მუშა-მოსამსახურეთა სასარგებლოდ ხელშეკრულების თანხის 1/10%, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ 1 მანეთისა.

7. სანოტარო წესით დამოწმებისათვის:
ა. ანდერძისა — 5 მან.

ბ. სამედიცინო ხელწერილისა — მხარეთა მიერ განცხადებული თანხის 1/2%, მაგრამ არა უმეტეს — 5 მანეთისა.

გ. გაყუთის შესახებ დადებული ხელშეკრულებისა — მხარეთა მიერ განცხადებული თანხის 1/2%, მაგრამ არა ნაკლებ 5 მანეთისა. მინდობილობის ხელშეკრულებისა — 3 მან.

8. ისეთი გარიგების სანოტარო წესით დამოწმებისათვის, რომელზედაც არა ვრცელდება 2.7 მუხ. და რომელშიც თუნდაც ერთ მხარედ მონაწილეობას იღებს სახელმწიფო ან კოლონიატური ორგანო, ან და საზოგადოებრივი ორგანიზაცია — გარიგების თანხის 0,4%, მაგრამ არა ნაკლებ ერთი მანეთისა.

9. სანოტარო წესით დამოწმებისათვის:

ა. შენობის გაჩუქების, გასხვისების და გაცეცილობის აქტისა — შენობის უმალესი შეფასების თანხის 1/2%, ხოლო სხვა ქონების გაჩუქების, გასხვისების, აღნაგობის უფლების, შენობის დაგვირგვინების და საჯარო ვაჭრობის შენობის აქტისა — გარიგების თანხის 0,6%, მაგრამ არა ნაკლებ 5 მანეთისა ყველა შემთხვევაში.

შენიშვნა. მუშა-მოსამსახურეთა მიერ აღნაგობის უფლების შექმნის აქტისა — გარიგების თანხის 0,2%, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ 1 მანეთისა.

ბ. ამავე გარიგებისა (რაც კი ამა მუხ. „ა“ პუნქტშია აღნიშნული), თუ იქ, თუნდაც ერთ მხარედ მონაწილეობას იღებდეს სახელმწიფო ან კოლონიატური ორგანო, ან და საზოგადოებრივი ორგანიზაცია — შეფასების თანხის ან მხარეთა მიერ განცხადებული თანხის 1/4%, ხოლო არა ნაკლებ 3 მან.

გ. ყველა სხვა გარიგებისა, ამა მუხლეს „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნულ გარიგებათა გარდა, როგორც არის: ყოველგვარი ქონების, შენობების გარდა, გირავნობა. გასხვისება და გაცეცილობა, ქირავნობა, საწარმოს, სადგომის და სხვა ქონების, მათ შორის შენობების დაქირავება და იჯარა, ნარდად მუშაობა, მიწოდებით ყიდვა, საკომისიო ხელშეკრულება და სხვ. — გარიგების თანხის 0,6%, მაგრამ არა ნაკლებ 1 მანეთისა.

10. გარიგებაზე წარწერის გაკეთებისათვის:
ა. გადაცემის წარწერისა — პირვანდელი განაკვეთის 50% გადასაცემი უფლება-მოვალეობის თანხის მიხედვით.

ბ. ისეთი წარწერისა, რითაც გარიგების შინაარსი იცვლება. (გარიგების განსაკითხებლად, შესავსებად და განსამარტავად გაკეთებული წარწერისა):

1. თუ გადიდებულია თანხა — სასყიდელი გადახდება იმ თანხას, რამდენათაც გარიგების თანხა გადიდდა, პირვანდელი სასყიდლის განაკვეთის მიხედვით.

2. თუ გარიგების თანხა არ არის გადიდებული — 1 მანეთი.

3. თუ წარწერა გაკეთებულია გარიგების მისამუდოდ, მოსახლებად ან მასზე ანგარიშის განსწორებლად — 1 მან.

გ. სრული ან ნდობის ამხანაგობის ხელშეკრულებაზე გაკეთებული წარწერის: ხელშეკრულების თანხის გაუდიდებლად — 10 მან. ხოლო გადიდების დროს სასყიდელი გადახდება იმ თანხას, რამდენითაც ხელშეკრულების თანხა გადიდდა, პირვანდელი სასყიდლის განაკვეთის მიხედვით.

დ. მარტივი ამხანაგობის ხელშეკრულებაზე გაკეთებული წარწერისა — ხელშეკრულების თანხის გაუდიდებლად — 1 მან. ხოლო გადიდების დროს სასყიდელი გადახდება იმ თანხას, რამდენითაც ხელშეკრულების თანხა გადიდდა, პირვანდელი სასყიდლის განაკვეთის მიხედვით.

11. რწმუნებულების სანოტარო წესით დამოწმებისათვის:

ა. ქონების განსაგებად მიცემული რწმუნებულებისა, შრომითი სამიწათმოქმედო მეურნეობის (კომლის) ქონების გარდა — 5 მან.,

ბ. შრომითი სამიწათმოქმედო მეურნეობის (კომლის) ქონების განსაგებად მიცემული რწმუნებულებისა — 50 კაპ.,

გ. საეკორად მიცემული:

1. საერთო რწმუნებულებისა — 5 მან.,

2. ცალკე მოქმედების შესასრულებლად მიცემული რწმუნებულებისა — 3 მან.,

დ. ფულის, აწანათის, დაკეთილი და სხვა კორესპონდენციის-მისაღებად: ყოველ ცალკე შემთხვევაში მიცემული რწმუნებულებისა — 10 კ., ხოლო საერთო რწმუნებულებისა — 1 მან.,

ე. ბანკის მეშვეობით გაგზავნილი ფულის მისაღებად მიცემული რწმუნებულებისა — ყოველ ცალკე შემთხვევაში — 1 მან., ხოლო საერთო რწმუნებულებისა — 5 მან.

ვ. ყველა სხვა რწმუნებულებისა — 1 მან.

ბ. უკეთუ რწმუნებულება რამდენიმე პირს (ფიზიკურ ან კორპორაციულ) ეძლევა, იმ სასყიდლის გარდა, რაც დაწესებულია „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ პუნქტებით, ყველა ამ პირს, პირველის გამოკლებით, გადახდება 50 კაპ., მათვე გადახდებთ „ბ“ და „დ“ პუნქტებით დაწესებული სასყიდლის გარდა — 5 კაპ.

12. რწმუნების წარწერის შემოწმებისათვის:
ა. საფოსტო უწყებაზე, დუბლირებულ ფულის გასაგზავნ ბარათზე და სხვ, გარდა ბანკის მეშვეობით ფულის გასაგზავნ ბარათისა — 10 კ.

ბ. ყველა სხვა რწმუნების წარწერისა — 1 მან.

13. თამაშუქისა და სასაქონლო საწყობიდან გაკემული გირავნობის მოწმობის (ვარანტის) პროტესტისათვის — 1 მან. და გარდა, ამისა თამაშუქის ან ვარანტის თანხის 1/10%.

14. სახლგო პროტესტის შედგენისათვის — 30 მან.

15. სანოტარო წესით დამოწმებულ გარიგებასა და პროტესტ-ქმნილ თამაშუქზე სანოტარო კანტორის მიერ აღსრულების წარწერის გაკეთებისათვის 50 კაპ. და გარდა ამისა გადასაღდენებელი თანხის, ან დასაბუქნებელი თუ გადასაცემი ქონების ღირებულების 1/10%.

16. ა) გირავნობის მოწმობის გაცემისათვის — 3 მან. ისეთი გირავნობის მოწმობის გაცემისათვის, რომელიც უნდა წარდგენილ იქნეს კომუნალურ ბანკში საბინაო მშენებლობისათვის მიცემული სესხის მისაღებად — 1 მან.

ბ. საკრედიტო ან სხვა დაწესებულებების მიერ იმ ქონების მიღების დროს, რაც ნაჩვენებია გირავნობის მოწმობაში სესხის ან ნარდად მუშაობისა და მიწოდებით ყიდვის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად, უნდა გადახდებულ იქნეს სესხის 1/10%.

ეს თანხა საკრედიტო ან სხვა დაწესებულებამ უნდა გადახდევინოს სესხის მიცემის დროს და გაუზღავნოს გირავნობის მოწმობის გამცემ სანოტარო ორგანოს ცნობით გირავნოს მიღებისა და გირავნობით მიღებული ქონების შეყვრის შესახებ.

17. ისეთი წინადადების სანოტარო წესით დამოწმებისათვის რომელიც მიცემულ იქნება ხელშეკრულების დასადებათ სხვაგან კონტრაგენტთან (სამოქ. სამ. კოდ. 132 მუხ.) 3 მან.

შენიშვნა. ხელშეკრულების დასადებად მიცემული წინადადების პასუხის (სამოქ. სამ. კოდ. 133 მუხ.) სანოტარო წესით დამოწმებისათვის დაწესებულია ისეთივე სასყიდელი, რაც გარიგების დამოწმებისათვისა დაწესებული.

18. ასლის და აღნაწერის სისწრაფის შემოწმებისათვის:

ა. ქონებრივი ხასიათის დოკუმენტისა, აგრეთვე სანოტარო წესით დადოწმებული გარიგების შესაბამისად — 1 მან. თვითუფლებელში.

ბ. არაქონებრივი ხასიათის დოკუმენტისა — 50 კაპ. თვითუფლებელში.

გ. იმ დოკუმენტისა, რომელიც სასწავლებელში წარსადგინი ამ სასწავლებელში შესვლის დროს ან დაკავშირებულია სწავლება-სთან — 25 კაპ თვითუფლებელში (იმისდა მიუხედავად, თუ რამდენი გვერდია ამ დოკუმენტში).

შენიშვნა. გვერდად იჯულისხმება 35 სტრიქონი, ამასთან არა სრული გვერდი უნდა სრულად ჩაითვალოს. ასლის შემოწმების სასყიდელი იმავე მტრი არ შეიძლება იყოს, რაც დედნის შემოწმებისათვისა დაწესებული.

ეს წესი გავრცელდება აგრეთვე საწარმო და თემ.ს აღმასკომებში დამოწმებული დოკუმენტების ასლებზედაც.

19. ა) ისეთ დოკუმენტზე ხელმოწერის სინამდვილის შემოწმებისათვის, რასაც გარიგების ხასიათი არა აქვს, აგრეთვე იმ პირის ხელმოწერის შემოწმებისათვის, რომელმაც ხელი პოაწერა გარიგებაზე იმის მაგიერ, ვისაც სამოქ. სამ. კოდ. 28 მუხლში აღნიშნული მიზნით, არ შეუძლიან ხელისმოწერა, თუ ამასთან არა მოწმდება თვით გარიგება — 50 კაპ. თვითუფლებელში.

ბ. იმ პირის ხელმოწერის სინამდვილის შემოწმებისათვის, ვინც ხელი მოაწერა წარაკითხვის უტოდინარ გლეხების მაგიერ ისეთ ვალდებულებაზე, რაც ეს უკანასკნელი მისცემს სასოფლო სამეურნეო მანქანების ცალობით და ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდით ყიდვის დროს, თუ ამასთან არა მოწმდება თვით გარიგება — 25 კ. თვითუფლებელში.

გ. ქართული ენიდან რუსულსა და ს. ს. რ.-ის რომელიმე რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე და ამ ენებიდან ქართულ ენაზე თარგმანის სისწრაფის შემოწმებისათვის დაწესებულია:

1. არაქონებრივი ხასიათის დოკუმენტის თარგმანისათვის — 50 კ. გვერდში.

2. ქონებრივი ხასიათის დოკუმენტისა, მათ შორის პატენტის, საეკორად გაცემული სარეწავი და სააქციო მოწმობის, სხვადასხვა მოწმობის შენობებისა და სხვა ქონების შესახებ, აღსრულების ფურცლის, სასამართლოს გადაწყვეტილების, რწმუნებულებისა და სხვ. — 1 მან. გვერდში.

20. დოკუმენტის წარდგენის დროს შემოწმებისათვის — 1 მან. დოკუმენტში.

21. წიგნის რეგისტრაციისათვის — 1 კ. თვითუფლებელში, მაგრამ არა ნაკლებ — 1 მანეთისა მთელ წიგნში.

22. ერთი პირის განცხადების მეორე პირზე გადაცემისათვის — 2 მან., ამის შესახებ მოწმობის გაცემისათვის მოწმობაში განცხადების პაბუქის შეტანით — 1 მან.

23. დოკუმენტების შენახვისათვის, მათ შორის პროტესტქმნილი თამასუქის შენახვისათვის, თუ იგი არ იქნა წალბეული პროტესტის მოხდენის დღიდან 7 დღის განმავლობაში, დაწესებულია თვითულ დოკუმენტზე 50 კაპ. თვეში, ამასთან არა სრული თვე სრულ თვედ უნდა ჩაითვალოს.

24. კრებულსა და აღმადგენელ შენობების და აღმადგენელ შენობების შეკვრის შეტანისათვის და აგრეთვე შეკვრის მოხსნისათვის—1 მან. თვითული შეკვრის შეტანისა ან მოხსნისათვის.

შეკვრის შესახებ დაინტერესებულ პირთა შეკითხვაზე ცნობის გაცემისა ან გაგზავნისათვის, იმ შემთხვევებზე გარდა, როდესაც ეს ცნობა მოთხოვნილია სასამართლოს, პროკურატურის, სანოტარო კანტორის ან ხელისუფლების ორგანოთა მიერ სახელმწიფო ინტერესების დასაცავად—1 მანეთი.

შენიშვნა ა. გირავნობის მოწოდების გაცემის გამო ქონების შეკვრისათვის, აგრეთვე იმ ქონების შეკვრისათვის, რაც აღნიშნულია საკრედიტო ან სხვა დაწესებულების მიერ თვისი ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად მიღებულ გირავნობის მოწოდებაში, განსაკუთრებული სასყიდელი არ არის დაწესებული.

25. უკეთეს სანოტარო მოქმედება დაინტერესებული პირის სრულით სანოტარო კონტროლის გარე სრულდება ძირითადი სასყიდლის გარდა უნდა გადახდებოდეს იქნეს დამატებით ძირითადი სანოტარო გამოსაღების 100%^ა, მაგრამ არა ნაკლებ 3 მანეთისა, და ის ხარჯი, რაც ნამდვილად იქნება გაწეული აღნიშნული მოქმედების შესასრულებლად გაგზავნილი პირის მიერ.

26. ამა ნიხრის გამოცემისთანავე უქმდება ყველა წინათ გამოცემული ნიხრი სანოტარო მოქმედებების სასყიდლისა.

10 აპრილი 1928 წ. ქ. თბილისი.

იუსტიციის სახალხო კომისარი **ი. ვარძიელი**

ფინანსთა სახალხო კომისარი **გ. მაგალობლიშვილი.**

ნ ი ხ რ ი

სანოტარო კანტორებში წარმოებული ტექნიკური მუშაობის სასყიდლისა.

1. გარიგების პროექტის შედგენისათვის, სავალო ვალდებულების გარდა, უნდა გადახდებოდეს იქნეს:

ა. თუ გარიგების თანხა	100 მანეთამდე	. . .	1 მან.
ბ. „ „ „	100 მან. 300 მანეთამდე	. . .	3 მან.
გ. „ „ „	300 „ 1000 „	. . .	5 მან.
დ. „ „ „	1000 „ 5000 „	. . .	10 მან.
ე. „ „ „	5000 „ 15000 „	. . .	15 მან.
ვ. „ „ „	15000 მანეთზე მეტია	. . .	25 მან.
თ. „ „ „	გამორკვეული არ არის	. . .	10 მან.
ზ. სავალო ვალდებულების დაწერისათვის	1 მან.

ი. აღმადგენის უფლების დასაყვარებლად და შეაძენად დადებული ხელშეკრულების პროექტის შედგენისათვის მუშა-თანამშრომლებს გადახდებოდათ ხელშეკრულების თანხის 1/10%^ა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ 1 მანეთისა და არა უმეტეს—15 მან.

2. გარიგებაზე წარწერის პროექტის შედგენისათვის უფლების გაცემისა, ხელშეკრულების მოშლისა, ანგარიშის გასწორებისა და სხვ. შესახებ, უნდა გადახდებოდეს იქნეს იმ სასყიდლის 50%^ა, რაც დაწესებულია თვით გარიგების შედგენისათვის, მაგრამ არა უმეტეს—3 მანეთისა.

3. რწმუნებულების პროექტის შედგენისათვის: ა) საკაპროდ და ქონების სამართავად გაცემული რწმუნებულებისა (საერთო რწმუნებულებისა ან ყოველი მოქმედებისთვის ცალკე) 2 მან. ბ) სასამართლო და სადამინისტრაციო საქმის საწარმოებლად—1 მან.; გ) კონლის ქონების სამართავად გაცემული რწმუნებულებისა და აგრეთვე საღებო გამოსაღებისაგან განთავისუფლებული რწმუნებულებისა—50 კაპ.

4. რწმუნებულების ბლანკისათვის—25 კაპ., ხოლო ამ ბლანკის შეგებისათვის—50 კაპ.,

5. ანდერძის პროექტის შედგენისათვის—5 მან.

6. ერთი მხარისაგან მეორე მხარისათვის გადასაცემი განცხადების შედგენისათვის—2 მან., ხოლო შესასრულებელ სანდტარო მოქმედების შესახებ განცხადების შედგენისათვის—50 კაპ.

შენიშვნა. სამ. მანეთზე არა უმეტესი თანხის დეპოზიტად შეტანის შესახებ განცხადების შედგენისათვის სასყიდელი არ გადახდებოდა.

7. ვალდებულების საგნის (ფუძის და ფასეულობის) დეპოზიტად მიღებისათვის კუთვნილებისამებრ გადასაცემად:

ა. თუ ვალდებულების საგნის ღირებულება 3 მანეთამდეა, იგი მიიღობ უფასოდ.

ბ. „ „ „	3 მანეთამდეა	100 მანეთამდე	50 კ.
გ. „ „ „	100 „	500 „	2 მან.
დ. „ „ „	500 მანეთს აღემატება	„	5 მან.

8. ნოტარიულად დასამოწმებელ გარიგებაში ან შესამოწმებელ დოკუმენტში მონაწილე პირთათვის მათივე დავლებით იმ ცნობის მიღება, რაც კი საჭიროა სანოტარო მოქმედებისათვის—2 მან. თვითულ ცნობაში.

9. კლიენტის დავლებით და მისივე მიერ ნაჩვენები ნიხრით დოკუმენტების გადაგზავნისათვის—1 მან. და სწავლა ხარჯი

10. დოკუმენტის გადაწერისათვის—50 კ. თვითულ გვერდში

11. სასწავლებელში წარსადგენი სწავლებისათვის საჭირო დოკუმენტების გადაწერისათვის—25 კ. თვითულ გვერდში.

12. სახელმწიფო ბანკისა და სააქციო საზოგადოების აქტივების აღრიცხვა. თვის პროტესტქმნილ თამასუქების შესახებ ცნობების გაგზავნისათვის—5 კ. თვითულ ცნობაში თვითული თამასუქის შესახებ და გარდა ამისა—საფოსტო ხარჯიც. ამავე ცნობების გაგზავნისათვის სხვა დაწესებულებებში—10 კაპ. თითო-ცნობაში თვითულ თამასუქის შესახებ და საფოსტო ხარჯი.

13. საპროტესტოდ წარდგენილი თამასუქით გადახდის მოთხოვნის მიტანისათვის, აგრეთვე ერთი პირის განცხადების მიტანისათვის მეორე პირთან და კანტორის მიერ შესატყობინებლის, განცხადების და უწყველ განგზავნისათვის (5—6 მუხ.) 20 კაპ. თვითულ განცხადებაში (შესატყობინებელსა, განცხადებასა და უწყველს) და ამის გარდა 10 კაპ. კონტროლის შიგრიის სასარგებლოდ.

14. კონტროლის მიერ ქართული ენიდან რუსულსა ან ს.ს.რ. ქართულ ენაზე სახელმწიფო ენაზე, აგრეთვე ამ ენიებიდან ქართულ ენაზე გადათარგმნისათვის:

ა. არა ქონებრივი ხასიათის დოკუმენტის გადათარგმნისათვის 50 კაპ გვერდში.

ბ. ქონებრივი ხასიათის დოკუმენტისა—2 მან. გვერდში.

გ. ქართული ან სხვა ენიდან უცხო ენაზე და ამ ენიდან ქართულ ან სხვა ენაზე გადათარგმნისათვის—უნდა გადახდებოდეს იქნეს ორჯერ მეტი.

15. ნოტარიუსს შეუძლიან არ გადაახდებინან ტექნიკური მუშაობის სასყიდელი ისეთი დოკუმენტისათვის, რაც განთავისუფლებულია სანოტარო მოქმედებისათვის დაწესებულ სასყიდლისაგან.

შენიშვნა. ამა ნიხრით გათვალისწინებულ ყველა შემთხვევაში საჭირო ქალაქის ფორმატის გვერდად იგულისხმება 35 სტრიქონი, ამასთან თუ გვერდი სრული არ არის, იგი სრულად უნდა ჩაითვალოს.

16. ამა ნიხრის გამოცემისთანავე ძალას ჰკარგავს ყველა წინათ გამოცემული ნიხრი სანოტარო კონტორებში წარმოებული მუშაობის სასყიდლისა.

10 აპრილი 1928 წ. ქ. თბილისი.

იუსტიციის სახალხო კომისარი **ი. ვარძიელი.**

ფინანსთა სახალხო კომისარი **გ. მაგალობლიშვილი.**

წ ე ს ე ბ ი

დასკვნის გამოსათანად იმის შესახებ, თუ რამდენად მიიღება სხეულის დაზიანება (სამეცნიერო საბჭოს შემწერებით).

1. სხეულის დაზიანება ჩაითვლება ადამიანის სხეულის ქსოვილის ან ორგანოს ანატომიური მთლიანობის დარღვევად, ან მათი ფიზიოლოგიური ფუნქციის მოშლა, რაც შეიძლება გამოწვეულ იქნეს მექანიკური, ფიზიკური, ქიმიური და ინფექციური ფაქტორებით, ან და რაიმე ფსიქიური ინსულტის ზეგავლენით.

სხეულის დაზიანება შეიძლება იყოს სისიკვილო და არა სისიკვილო.

სისიკვილო დაზიანებად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ისეთი დაზიანება, რომელიც ამ შემთხვევაში ხდება სიკვილის მიზნად მიუხედავად იმისა, მოჰყვება ამ დაზიანებას სიკვილი უშუალოდ თუ არა უშუალოდ.

4. აუცილებლად სისიკვილო დაზიანება ეწოდება ისეთ დაზიანებას, რომელიც ყოველთვის და ყველა ადამიანისათვის თავდება სიკვილით (გულის გასკვლამა, მოგრძო ტვინის მთლიანობის დარღვევა და სხვა), დანარჩენი დაზიანება კი ითვლება შემთხვევით ან პირობითი სისიკვილოდ, ესეთია:

ა. დაზიანება, რომელსაც მოჰყვება სიკვილი ორგანიზმის ინდივიდუალური თავისებურების გამო, ან და იმის გამო, რომ ორგანიზმში დაზიანების მიღებამდე იყო დავადებული, მაგალითად: თუ აორტა დაავადებულია ანევრიზმით, მაშინ გულმკერდის არემი მუხტზე შემოკვრასაც შეუძლიან გამოიწვიოს აორტის ანევრიზმის გაგლეჯვა.

ბ. დაზიანება, რომელსაც მოჰყვება სიკვილი იმ შემთხვევითი გარემოების გამო, რაც თან დევრობს დაზიანებას, მაგალითად: ადამიანმა ზამთარში მოიტეხა ფეხი. ვეღარ შესძლო მისულიყო თავის ბინაზე და მოკვდა სიცივის გამო. სიკვილის შემთხვევითი მიზეზით უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ქრილობის ინფექცია, რომელსაც მოჰყვება სექტიკო-პიემიური პროცესი.

შენიშვნა 1. ტრავმატიული დაზიანების დროს სიკვილის უახლოესი მიზეზი შეიძლება იყოს: 1) მოსაზრება ან ტრანჟი დაზიანება სიკვილისათვის აუცილებელი ორგანოებისა, 2) სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი ორგანოს ფუნქციების მექანიკური მოშლა; მაგალითად: ქალის ან გულის დოზში ჩაქვეული სისხლის ტენიზე ან გულზე დაწოლა. 3) სისხლის დენა ორგანიზმის გარეთ ან სხეულის ღრუებში. 4) შიკრი. დაზიანება ა. მაგალითად: სისხლით, რომელიც ჩავიდა



სასუნტქი მიღებში გაჭირვებული კისრის სისხლის მიღებიდან. 6) მეორედ არა ინფექციური დაავადება მაგალითად: გულის ტრავმატიული მანკი, ფიბრინის კოაგულბი გამოწვეული ტრომბოზი და ემბოლია, აგრეთვე ჰაერით და ცხიმით ემბოლია. 7) ადგილობრივი და ზოგადი დაავადება, ინფექციის თანდართვის გამო, (ტინის აპკის ანთიმე, ტრავმატიული პნევმონია, სეპტიკოპიემია, ტეტანუსი და სხვა).

შენიშვნა 2. ზოგიერთ შემთხვევაში გვამის გაკვეთის

დროს შესაძლებელია აღმოჩნდეს, რომ სიკვდილი წარმოიშვა იმ დაზიანების გამო კი არა, რომელიც შეიძლება ჩათვლილი იყო სასიკვდილოდ, არამედ უკვე აღრევე არსებული ავადმყოფობისაგან; მაგალითად: აორტის ანევრიზმის თავის თავად გაგლეჯის დროს, რაც აუცილებლად სასიკვდილოა. ადამიანი წაიქცა, დაჰკრა თავი რაიმე მგვირი საგანს, გაუსყვდა თავის ქალა და ჩაქცა ქალას ღრუში სისხლი.

5. გვამის დაზიანების გამოკვლევის დროს ექსპერტმა უნდა გამოარკვიოს შემდეგი კითხვები:

ა. დაზიანება აუცილებლად სასიკვდილოა, თუ შემთხვევითი (პირობითი) სასიკვდილოა:

ბ. რა არის სიკვდილის უახლოესი მიზეზი?

გ. რამდენიმე დაზიანების შორის, სახედობრს რომელი იყო სიკვდილის მიზეზი;

დ. რამდენიმე დაზიანების შორის რომელი იყო მიყენებული სხეებზე ადრე;

ე. თუ რამდენიმე დაზიანების შორის არც ერთს არ შეეძლო თავის თავად, გამოეწვია სიკვდილი, შესაძლებელი იყო, თუ არა სიკვდილის მიზეზად გამხდარიყო ყველა აღმოჩენილი დაზიანება ერთად;

ვ. სიკვდილის მიზეზი იყო თუ არა დაზიანება და ხომ არ გაჩნდა იგი შემთხვევით, ავონიის დროს, სიკვდილის წინ, სხვა მიზეზების გამო, ან შეიძლება სიკვდილის შემდეგაც.

6. არა სასიკვდილო დაზიანების დროს ექსპერტი მოვალეა გამოარკვიოს:

ა. მედიკური თვალსაზრისით რაგვარ დაზიანებას აქვს ადგილი ამ შემთხვევაში. (მაგალი: ჭრილობა, ძვლის მოტეხილობა, ძვლის ამოვარდნილობა, სიღამწევა და სხვა);

ბ. რამდენი ხანი გავიდა დაზიანების შემდეგ;

გ. რანაირად იმოქმედა დაზიანებამ დაზიანებულის ჯანმრთელობაზე; მოსარჩენია თუ არა დაზიანება, რამდენად შეარყვია ჯანმრთელობა მიყენებულმა დაზიანებამ და რამდენად არის იგი საშიში სიცოცხლისათვის.

7. ყოველგვარი დაზიანების შესახებ, იმისდა მიუხედავად სასიკვდილოა იგი თუ არა, ექსპერტმა აუცილებლად უნდა მისცეს დასკვნა-რა იარაღით ან საშუალებით ანდა როგორ არის მიყენებული ეს დაზიანება.

შენიშვნა. სასურველია, რომ ექსპერტმა შეძლებისამებრ აღადგინოს დაზიანების წარმოშობის ობიექტური სურათი, რისთვისაც საჭიროა შემთხვევის მთელი ვითარების სრული და დაწვრილებითი გაცნობა.

8. გარდა ამისა ექსპერტი მოვალეა, მართლ-მსაჯულების საქმისათვის, გამოარკვიოს, რამდენად სისხლის სამართლის კოდექსში მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით მძიმეა დაზიანება.

9. საქართველოს ს. ს. რ. სისხლის სამართლის კოდექსით, სხეულის დაზიანება განიყოფება: მძიმე, ნაკლებად მძიმე და მსუბუქ დაზიანებად. (151, 152, 155 მუხ.).

ა. მძიმე დაზიანებად ჩაითვლება: სიცოცხლისათვის საშიში შერყევა ჯანმრთელობისა, სულით ავადმყოფობა, დაბრმავება, დაყრუვება, დამუხრება, ან ხელის, ფეხის, სქესობრივი უნარის დაკარგვა და წარუხტველი დამაზიანება.

ბ. ნაკლებად მძიმე დაზიანებად ჩაითვლება ისეთი დაზიანება, რომელიც სიცოცხლისათვის თუმცა საშიში არ არის, მაგრამ რომელსაც მოჰყვა ჯანმრთელობის სამუდამო შერყევა ან ხანგრძლივად რომელიმე ორგანოს ფუნქციის დარღვევა.

გ. მსუბუქ დაზიანებად ჩაითვლება ყველა დანარჩენი დაზიანება გარდა ზემოაღნიშნულისა.

შენიშვნა 1. ექსპერტი მოვალეა გამოარკვიოს იყო სიკვდილი შედეგი მძიმე, ნაკლებად მძიმე თუ მსუბუქი დაზიანებისა, ორგანიზმის მძიმე შერყევა ხომ არ იყო შედეგი მსუბუქი დაზიანებისა.

შენიშვნა 2. დაზიანების შეფასების დროს ექსპერტმა ჯანმრთელობის შერყევა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა

სცნოს „სიცოცხლისათვის საშიშარ“ თუ დაზიანებულს ნამდვილად აღმოაჩნდა ისეთი სიმპტომები, რომელთა მიხედვით, დაზიანებულის სიცოცხლე, ექიმის აზრით, სახიფათო მდგომარეობაშია.

შენიშვნა 3. „მხედველობის და სმენის დაკარგვად“ იგულისხმება არა მხოლოდ სრულიად განუკურნავი დაბრმავება და დაყრუვება, არამედ ისეთი მდგომარეობაც, როცა დაზარალებული ახლო მანძილზე ვერ არჩევს საგნების მიხაზულებას და არ ესმის ხმამალალი ლაპარაკი. ერთი თვალით მხედველობის სრული დაკარგვა შეიძლება ჩაითვალოს მძიმე დაზიანებად, თუ ადგილი აქვს თვალის კაკლის ან ქუთუთოების დაკარგვას ან დეფორმაციას, რაც კანონით ეთანბრება სხვის დამაზიანებას.

შენიშვნა 4. „მეტყველობის დაკარგვა“ იგულისხმება ლაპარაკის უნარის განუკურნავი დაკარგვა, ე. ი. როცა იკარგება უნარი აზრების გამოთქმისა სათანადო შეწყობილი ბგერით, რომელიც გასაგებია სხისათვის.

შენიშვნა 5. „ხელის ან ფეხის დაკარგვად“ ჩაითვლება როგორც ხელის ან ფეხის ტანინან სრულიად მოშორება, აგრეთვე ფეხის ან ხელის მოძრაობის უნარის, დაკარგვა.

შენიშვნა 6. „სქესობრივი უნარის“ დაკარგვად ჩაითვლება, როგორც სქესობრივი აქტის დაკარგვა, ისე დაკარგვა განაყოფიერების, ორსულობის და შრომის უნარისაც.

შენიშვნა 7. როდესაც სწყდება საკითხი აქვს თუ არა ადგილი სხვის წარუხტველ დამაზიანებას, ექსპერტი მოვალეა მხოლოდ გამოარკვიოს განიკურნება ან გასწორდება თუ არა დაზიანება, რომელიც იწვევს სხვის დამაზიანებას, მაგრამ რამდენად ამახინჯებს ეს დაზიანება ამ დაზიანებულის სხეს, ეს უნდა გადასწყვიტოს მისამართლემ და არა ექიმმა.

შენიშვნა 8. „ჯანმრთელობის სამუდამო, მაგრამ სიცოცხლისათვის არა სახიფათო შერყევად“, ჩაითვლება ჯანმრთელობის იმგვარი შერყევა, როდესაც დაზიანებული, თუმცა მას არ აღმოაჩნდება სიცოცხლისათვის საშიში სენის სიმპტომები, დაავადებულია განუკურნავი ან ხანგრძლივი, ქრონიკული ავადმყოფობით, მაგალითად: თიაქარი, შარდის და განავალის ფისტულა, საშვილოსნოს გამოვარდნა, ტრავმატიული ნევროზები და სხვ. „ორგანოს ფუნქციის დარღვევად“ ჩაითვლება ამ ორგანოს არა სრულიად დაკარგვა; არამედ მისი მოქმედების ცოტად თუ მეტად შესუსტება, მაგალითად: მხედველობისა, სმენისა, მეტყველობისა, ხელის ან ფეხის მოძრაობისა და სხ. იმისდა მიხედვით, თუ რამდენად შესუსტებულია ამ ორგანოების ფუნქციები, დაზიანება შეიძლება ჩაითვალოს ნაკლებად მძიმე ან მსუბუქ დაზიანებად.

შენიშვნა 9. „ცემა“, „გვემა“ ან „წვალება“ არ არის დაზიანების განსაკუთრებული სახე იგი მოწმობს მხოლოდ იმას, თუ საიდან წარმოიშვა დაზიანება ან რით იყო იგი მიყენებული.

„ცემა“ ნიშნავს მრავალჯერ დარტყმას. „გვემა“—გაროზგავს, ჩქმეტვ და საერთოდ ისეთ მოქმედებას, რაც მეტად მწვავე ტკივილს იწვევს. „წვალება“—მსხვერპლის დატანჯვის საქმელ-სასმელის, სითბოსი და თავისუფლების მოკლებით, ამასთან ისეთი დაზიანებით, რაც მსხვერპლის სიცოცხლეს განსაცდელოში აგდებს. (სისხ. სამ. კოდ. 158 და 159 მუხ.).

10. თუ შეუძლებელია წინასწარ დანმდვილებით გამოირკვეს რანაირი შედეგი მოჰყვება შესამოწმებელ დაზიანებას და ამასთან დაკავშირებით ძნელია აგრეთვე იმის გამოირკვევაც, თუ რამდენათ მძიმეა თვით დაზიანება, ექსპერტი მოვალეა აღნიშნოს ეს გარემოება თავის დასკვნაში და თანაც დაახლოებით განსაზღვროს ვადარომლის შემდეგ საჭიროა დაზარალებულის ხელმეორედ შემოწმება.

11. თუ დაზიანება რთული და ბუნდოვანია, ექსპერტს შეუძლიან თავის დასკვნაში აღნიშნოს მხოლოდ დაზიანების თვისება, როგორ მოქმედებს იგი ჯანმრთელობაზე და რამდენად სახიფათოა სიცოცხლისათვის ან ჟამად.

12. თუ გარკვეული დასკვნის გამოტანა შეუძლებელია იმის გამო, როდესაც დაზიანება განსაკუთრებული, სპეციალური ხასიათისაა, ექსპერტს შეუძლიან მართხოვოს ექსპერტიზაში მონაწილეობის მისაღებად-სათანადო სპეციალისტი ექიმები.

19 აპრილი 1928 წ.

იუსტიციის სახალხო კო მ ი ს ა რ ი ი. ვარძიელი, ჯანმრთელობის სახალხო კო მ ი ს ა რ ი კუჭაიძე.

გამომცემელი:

საბჭ. ს. ს. რ. იუსტიციის სახალხო კომისარიატი.

პასუხისმგებელი რედაქტორი: ი. ვარძიელი. სარედაქციო კოლეგია: ა. კაჭარავა, თ. დოლიძე, ი. როინაშვილი, პროფ. შ. ნუცუბიძე, ზ. ჯაფარიძე, კ. მიქელაძე, პ. ქავთარაძე.



საქ. ს. ს. რ. იუსტსახკომის გამოცემლობა

დაიბეჭდა

კოკულაჩული იურიდიული გიგლიოთაძის მორიგი ბროშურა

მ. ორჯონიძის და ვ. ბეჟაძის

„სახალხო მსაჯული და მიწი უფლება მთავალეხანი“

წიგნი იუიღება სახელგამის ეველა მაღაზიებში და ავრეთვე მასრის ცენტრებში სახალხო მოსამართლეებთან. ბითუმაღ იუსტსახკომის გამომცემლობის საწეობში.

შეკვეთით უნდა მიმართონ: ტფილისი, ტრიბუნალის ქ. № 32. იუსტსახკომის გამომცემლობას. ტელეფონი 13—68

საქართველ. ს.ს.რ. იუსტსახკომის გამოცემლობა

ი ყ ი ღ ე ბ ა

საქ. სოხ. საბჭ. რესპუბლიკის

სისხლის სამართლის კოდექსი

1928 წ. რედაქციით

ფასი 65 კაპ.

წიგნი იყიდება სახელგამის შველა მაღაზიებში და ავრეთვე მაზრის ცენტრებში სახალხო მოსამართლეებთან, ბითუმაღ იუსტსახკომის გამომცემლობის საწეობში.

შეკვეთით უნდა მიმართონ: ტფილისი, ტრიბუნალის ქ. № 32, იუსტსახკომის გამომცემლობას.